

ჩ ვ ე ნ ი თ ა თ ბ ა

12 759

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური შუბნალი

№ 5-6

მ ა ი ს ი - ი ვ ე ნ ი ს ი



თ ბ ი ლ ი ს ი * 1 9 3 7

	83
ლ. პ. ბერია — საქართველოს პოლმედიკების X ყრილობის შედეგები	3
ლ. პ. ბერია — საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება (1937 წლის 5 მაისის საქართ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე წაკით- ხულ მოხსენებიდან)	13
ილია ჭავჭავაძე — პოეზიის ახალგაზრდა მო- ყვარულთ	23
ანდ. სიკინავა — ილიას	26
ბ. კალანდაძე — თერგდალეული.	27
ხევ. ისიანი — ილია ჭავჭავაძეს	28
გრ. აბაშიძე — ილია ჭავჭავაძე და ახალგაზ- რდა მწერლები	30
ვ. კოტეტიშვილი — ილია ჭავჭავაძე და ხალ- ხური შემოქმედება	35
რევაზ მარგიანი — ყვარულში	46
ან. თევზაძე — შენი სახელი	47
გ. ვიახელი — ილია ჭავჭავაძეს	48
ალო არსენიშვილი — ილია ჭავჭავაძე	50
ვლ. ასათიანი — მე-60-ე წლები და ილია ჭავჭავაძე	57
აპ. მახარაძე — ილიას	73
ვერა შუბლაძე — დიდო მგოსანო	74
ნიკ. კობალიანი — წიწამურთან	75
გრ. ცხვედიანი — ილიას	76
სიმონ ჩიქოვანი — ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა	78
პ. ბერაძე — შაირისა და გრძელი შაირის გა- მოყენების კანონზომიერება „ვეფხის- ტყაოსანში“	114



მ ა ვ ლ დ ე ბ ი ბ ე რ ი ა

საქართველოს

ბოლშევიკების

X ყრილობის შედეგები

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობამ, რომელიც ამა წლის 15 — 21 მაისს მიმდინარეობდა, შეაჯამა საქართველოს ბოლშევიკების მიერ უკანასკნელი სამხახევარი წლის მანძილზე გაწეული დიდი მუშაობის შედეგები.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ განსაზღვრეს შინაარსი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მთელი მოსამზადებელი მუშაობისა ყრილობისათვის.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში უღრმესი სიცხადით გამოავლინა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ყველა ნაკლი და დასახა გზები და ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

საქართველოს ბოლშევიკებმა თავისი X ყრილობა ჩაატარეს ამხანაგ სტალინის მითითებათა რეალიზაციის ნიშნით.

ამ მითითებათა საფუძველზე გადასინჯა ყრილობამ მთელი გაწეული მუშაობა და დასახა ღონისძიებანი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის ყრველ უბანზე.

მარტისა და აპრილის განმავლობაში ჩატარდა პირველად პარტიული ორგანიზაციების ანგარიშები და არჩევნები, აგრეთვე სარაიონო, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. ყველა მათ ჩაიარეს აქტიურად და დიდი აღფრთოვანებით. პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომების მდივნების საანგარიშო მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 21 ათასზე მეტი კაცი, ანუ ყველა დამსწრეთა 63 პროცენტამდე. სარაიონო და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე კამათში გამოვიდა 2 ათასზე მეტი კაცი, ანუ ყველა დამსწრე დელეგატის დაახლოებით შესამედი.

სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული შინაპარტიული დემოკრატიზმის დარღვევის ფაქტები, სიფხიზლის მოღუნებისა და ხალხის მტრების მიმართ პოლიტიკური სიბრძნის ფაქტები.

მკაცრად აკრიტიკებდნენ კომუნისტები პარტიული, საბჭოთა და სა-
მეუფო საოგანის საციების ცალკეულ ხელმძღვანელებს მასებთან სუსტი
კავშირისათვის და მკვეთრად ეხმაურებოდნენ ყველა გამოვლინებულ შემ-
თავევას სიფსიზლის სოდუხებისა და ხალხის ძტრებისადმი ლიბერალური
დამოკიდებულებისა პარტიის წევრების მხრივ, დამოუკიდებლად იმისა,
თუ რა ძდგომარეობა ეკავათ მათ.

პარტიულ კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე სერიოზული ყუ-
რადღება მიეკცა ანტისაბჭოთა პარტიების — მენშევიკების, ნაციონალ-
დემოკრატიების, ფედერალისტებისა და სხვათა ნაშთების კონტრევოლუ-
ციური ძირგამომთხრელი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამოვ-
ლინებას.

კომუნისტების საგრძნობლად გაზრდილი აქტივობის შედეგად პარ-
ტიული კომიტეტების და სარაიონო და საქალაქო კომიტეტების პლენუ-
მების შემადგენლობაში არჩეულ იქნა ახალ ადამიანთა დიდი რაოდენო-
ბა. პირველადი ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების 2.807 წევრის
საერთო რაოდენობიდან პარტკომების წევრებად პირველად იქნა არ-
ჩეული 784 ამხანაგი; სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტების
პლენუმთა 2.522 წევრიდან პირველად იქნა არჩეული 643 ამხანაგი.

პარტიული მასა უადრესად გულმოდგინედ და ყოველმხრივ იხილავე-
და პარტიული ორგანოების არჩევისას წამოყენებულ ამხანაგთა კანდიდა-
ტურებს. თუ კრებაზე ირკვეოდა წამოყენებულ აცილებათა სისწორე, და-
სახული კანდიდატურა შავდებოდა. ასე, მაგალითად, სარაიონო და საქა-
ლაქო კომიტეტების წევრთა და კანდიდატთა 4.464 კანდიდატურიდან
ღია კენჭისყრით აცილება მისცეს 514 კაცს.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნაკ-
ლოვანებათა ბოლშევიკური თვითკრიტიკა და კრიტიკა იზრდებოდა თვი-
თეულ კონფერენციასთან ერთად და განსაკუთრებული ძალითა და გაქა-
ნებით გაიშალა ყრილობაზე.

საქართველოს ბოლშევიკების ყრილობას დაესწრო 547 დელეგატი
გადამწყვეტი ხმით და 87 — სათათბირო ხმით. ამათგან ყრილობის დე-
ლეგატებად პირველად იყო არჩეული 340 კაცი.

ყრილობამ მოისმინა საანგარიშო მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე 1934 წლის იანვრიდან 1937 წლის
მაისამდე განვლილ პერიოდში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში მოყ-
ვანილმა ფაქტებმა და ციფრებმა ცხადჰყვეს, რომ საქართველოს ბოლშე-
ვიკებმა, რომლებიც განუხრელად ახორციელებდნენ საანგარიშო პე-
როოდში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და
ამხანაგ სტალინის მითითებებს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს
სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად. მრეწ-
ველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო
პროდუქციაში 59,8 პროცენტიდან 1933 წ. ავიდა 75,2 პროცენტამდე.

1936 წელს და ამავე დროს საგრძნობლად გაიზარდა აბსოლუტურად სოფლის მეურნეობის პროდუქცია, განსაკუთრებით ძვირფასი კულტურებისა (ჩაის, ციტრუსების, ტუნგოსი, ყუონის, თამბაქოსი და ა. შ.).

მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით მეორე ხუთწლიანი გეგმა საქართველოში ვადამდე სრულდება. ასე მაგალითად, სამრეწველო სახალხო კომისარიატებს მეორე ხუთწლედში მიმდინარე წლის დამლევისათვის უნდა მოეცათ 1.783 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, მეორე კვარტალის დამლევს კი მივიღებთ უკვე 1.813 მილიონი მანეთის პროდუქციას. სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს 1937 წელს უნდა მოეცა 252 მილიონი მანეთის პროდუქცია, მაგრამ უკვე 1936 წელს ფაქტიურად მოგვცა 260 მილიონი მანეთისა.

1936 წელს საქართველოში გამომუშავებულ იქნა 422 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ნაცვლად 1933 წლის 157 მილიონისა.

იმ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე, რომლებიც ამჟამად შენდება (აწვესი, ხრამჭესი, ტყვარჩელჭესი და სხვ.), შეადგენს 182 ათას კილოვატს, უკვე მომუშავე ყველა სადგურის სიმძლავრე კი უდრის 91 ათას კილოვატს. აშენდა, შენდება და წელს დამთავრდება სასოფლო ელექტროსადგურები საქართველოს 21 რაიონში.

საქართველოს უმნიშვნელოვანესმა სამრეწველო საწარმოებმა საანგარიზო პერიოდში თვალსაჩინოდ გააღიღეს თავისი პროდუქცია.

ჭიათურის მარგანეცის მალარობები ძირფესვიანად რეკონსტრუირებულია. მარგანეცის მექანიზებული ამოღების პროცენტი 1936 წელს შეადგენდა 83-ს ნაცვლად 9-ისა 1933 წელს. 1936 წელს ამოღებული იყო 1.502 ათასი ტონა მარგანეცის სასაქონლო პროდუქცია, ნაცვლად 470 ათასი ტონისა 1933 წელს.

ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანამ — ერთერთმა საბჭოთა კავშირში არსებული სამი ამგვარი ტიპის ქარხნიდან — ფერომარგანეცის წარმოებასთან ერთად აითვისა სხვა ფეროშენადნობთა წარმოებაც და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ერთიორად და უფრო მეტად გააღიღდა თავისი საერთო პროდუქცია.

თითქმის გაორკეცდა ტყიბულის ქვანახშირის, ბარიტისა და დიატომიტის ამოღება, გასამკეცდა გუმბრინის ამოღება.

ფულადი გამოხატულებით საქართველოს მთელი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1936 წელს საორიენტირო გამოანგარიშებით მიიღწია 790 მილიონ მანეთს, ნაცვლად 489 მილიონი მანეთისა 1933 წელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებითი ზრდის საქმეში გადაწყვეტ პირობად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო არტილის სტალინური წესდების გამოყენება. 1937 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში კოლექტივიზებული იყო ყველა გლეხური მეურნეობის 75,8 პროც. ნაცვლად 36,3 პროცენტისა 1934 წლის 1 იანვრისათვის.

საქართველოს კოლმეურნეობანი წარმოადგენენ მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს, ტუნგოს, რამის, ქარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულ-

ტურების ძირითად მწარმოებლებს. კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობის ხელში, თავმოყრილია მთელი სათესი ფართობის 75,4 პროცენტი. კოლმეურნეობანი გაიზარდნენ და მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად.

1936 წელს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გაიზარდა 234 მილიონ მანეთამდე, ნაცვლად 79 მილიონი მანეთისა 1933 წელს. შრომადღის საშუალო ღირებულება საქართველოს კოლმეურნეობებში 82 კაპიკიდან 1934 წელს გაიზარდა 1 მან. 80 კაპიკამდე 1936 წელს.

საქართველოში 1936 წელს რამდენიმე ათასმა კოლმეურნემ გამოიმუშავებულ შრომადღეებში ფულად მიიღო 5, 10, 20 და 40 ათასი მანეთიც კი, იღებდა რა შრომადღეში 20 მანეთამდე, ნატურის ჩაუთვლელად.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საშუალოდ რაიონში შრომადღეზე ეძლეოდათ 5 მანეთზე მეტი.

ასე, მაგალითად, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში შრომადღის ღირებულება საშუალოდ გაიზარდა 4 მან. 90 კაპიკიდან 1934 წელს 7 მან. 70 კაპიკამდე 1936 წელს; ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში — 2 მან. 30 კაპიკიდან 7 მანეთამდე; მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში — 1 მან. 04 კაპიკიდან 5 მან. 60 კაპიკამდე საშუალოდ შრომადღეზე რაიონში.

ამ წარმატებებს საქართველოს კოლმეურნეობებმა მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორი გამოყენების საფუძველზე. საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ურყევი კანონის სწორი განხორციელების საკითხს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდა, ყოველდღე სისტემატურად და ოპერატიულად ასწორებდა დამახინჯებებს საკოლმეურნეო წესდების გატარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებანი მდგომარეობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვანებაში.

პარტიის ბელადი ამხანაგი სტალინი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უდიდეს დანხარებას გვიწევდნენ და გვიწევენ ძვირფას კულტურათა განვითარების საქმეში, რომელნიც წარმოადგენენ საქართველოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდისა და გაუმჯობესების წყაროს, და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

ამჟამად ჩაის პლანტაციებს საქართველოში უკავიათ დაახლოვებით 40 ათასი ჰექტარი. 1936 წელს ჩაის მოსავლიანობამ თითო ჰექტარზე მიაღწია 1.620 კილოგრამს: მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 20 ათასამდე ტონა ჩაის ფოთოლი.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ციტრუსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად, გულმოდგინედაა შესწავლილი საქართველოს ცალკეული რაიონებისა და სოფლების ნიადაგობრივი

და კლიმატური პირობები. სრულდება შედგენილი ხუთწლიანი გეგმა ციტრუსების გაშენებისა და ციტრუსების ფართობი ამჟამად უკვე აღემატება 6 ათას ჰექტარს.

წლითიწლოებით მატულობს ზამბაქოს მოსავლიანობა და იზრდება მისი ფართობი. ზამბაქოს საქართველოში ამჟამად უკავია დაახლოებით 20 ათასი ჰექტარი. ჯერ კიდევ 5-6 წლის წინათ ზამბაქოს მოსავალი თითო ჰექტარზე არ აღემატებოდა 2-3 ცენტნერს. 1936 წელს ზამბაქოს მოსავლიანობა საქართველოში გადიდა 7,9 ცენტნერამდე. მნიშვნელოვნად ამაღლდა ზამბაქოს ხარისხი და მისი გამოსავალი ხარისხების მიხედვით. ამის შედეგად 1936 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 15.460 ტონა ზამბაქო 67 მილიონ მანეთზე მეტი თანხისა, ნაცვლად 12.131 ტონისა 1933 წელს, რაც ღირდა დაახლოებით 28 მილიონი მანეთი.

1936 წელს საქართველოს სს რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდა აზოვ-შავი ზღვის მხარესთან გამართული სოციალისტური შეჯიბრებიდან მეთამბაქოების განვითარებაზე.

საქართველოში 40 ათას ჰექტარზე მეტი უკავია ვენახებს, აქედან საანგარიშო პერიოდში გაშენდა 4.500 ჰექტარზე მეტი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დავალება — აყვანილ იქნეს 1940 წლისათვის ვენახების ფართობი 60 ათას ჰექტარამდე და გაორკეცდეს ამავე ვადისათვის მოსავლიანობა — შესრულებული იქნება.

საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა ტუნგოს კულტურა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობისათვის. თუ 1933 წელს ტუნგოს მიერ დაკავებული ფართობი შეადგენდა სულ 347 ჰექტარს, 1937 წლის 1 მაისისათვის კი იგი გაიზარდა 9.926,5 ჰექტარამდე.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე სხვა კულტურათა განვითარების დარგში (გერანი, რამი, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტა და სხვ.), რომლებზედაც შესაძლებლობა არა მაქვს შევჩერდე.

ხალხის მტრები, ტროცკისტი და მენშევიკი მახინჯები ცდილობდნენ გაევიწყლებინათ ცილისწამება იმის შესახებ, თითქოს, საქართველოში, სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით, მცირდებოდეს მარცვლეულ კულტურათა ფართობი. ნამდვილად კი მარცვლეულ კულტურათა ფართობიცა და მოსავლიანობაც განუხრელად მატულობს.

შემდეგი ცხრილი თვალნათლივ ადასტურებს ამ მდგომარეობას:

წლები	მარცვლეული კულტურების ფართობი ჰექტარობით	მარცვლეულის კულტურების მოსავალი ათას ფუნტობით	მოსავლიანობა თითო ჰექტარზე ცენტნერობით
1913	697.900	38.180	8,9
1933	807.502	45.865	9,3
1936	836.700	60.866	11,9
1937	866.299	65.979	(გეგმიით)

საქართველოს მტკიცედ აქვს აღებული კურსი იმისაკენ, რომ 1940 წლისათვის ძირიდადად დააკმაყოფილოს თავისი მოიხოვნილებანი საკუთარი პურით.

მეცხოველეობის დარგში უკანასკნელ დროს შესაძლებელი გახდა მანებლობის შედეგების ლიკვიდაცია, იმ უხეში შეცდომების გამოსწორება, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინათ, და მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორებისა და ცხენების დარგში საქართველომ უკვე გადააჭარბა ომამდელ დონეს. რაც შეეხება ცხვარსა და თხას, მიმდინარე წლის მოსალოდნელი ნამატი (850 ათასი სული) საშუალებას მოგვცემს ბევრად გადავაჭარბოთ ცხვრისა და თხის სულადობის ომამდელ დონეს.

1937 წლის 1 იანვრისათვის არსებული ცნობების მიხედვით, საქართველოში იყო 1.760.400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.741.500 სული ცხვარი და თხა.

მეცხოველეობის განვითარების შეჯიბრებაში ჩრდილო-კავკასიის მხარესთან საქართველო 1935 წელს პირველ ადგილზე გამოვიდა.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საბინაო-კომუნალური მშენებლობის და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის მიწოდება მშრომელებისათვის. ფართო მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური დაკლება, რასაც მთავრობა და პარტია ატარებენ, ხელფასის გადიდებასთან ერთად, იწვევს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო შემოქმედებითი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს და პარტიული მშენებლობის საკითხებს.

საქართველოს მწერალთა, პოეტთა და ხელოვნების მუშაკთა დიდი უმრავლესობა წარსულში ანტისაბჭოურად იყო განწყობილი და აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამჟამად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, სოციალისტური მშენებლობის წარმატებებისა და სოციალისტური კულტურის ზრდის შედეგად, ლიკვიდირებულია ანტისაბჭოთა დაჯგუფებები და მიმდინარეობანი, რომლებიც არსებობდნენ საქართველოს მწერალთა, მხატვართა და პოეტთა შორის. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დიდი ნაწილი გადავიდა საბჭოთა თემატიკის შემოქმედებითს დამუშავებაზე. მთელმა რიგმა მწერლებმა და პოეტებმა მოგვცეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილისადმი, საქართველოს სოციალისტური მშენებლობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი.

უკანასკნელ დროს განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ქართული საბჭოთა პოეზია. ქართული პოეზია გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი

ნაწარმოებებით. პირველ რიგში საქიროა აღინიშნოს დიდი სტალინისად-
მი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გა-
მარჯვების სიმბოლოს, დიდი შემოქმედებითი აღტყინებით უმღერიან ჩვე-
ნი პოეტები. საუკეთესო სიმღერები და ლექსები თავმოყრილია ამასწი-
ნათ გამოსულ წიგნში „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“,
დიდი სტალინის სახე დახატულია მთელ რიგ დრამატულ და პროზაიკულ
ნაწარმოებებსა და საქართველოს მხატვართა სურათებში.

მაგრამ საქიროა აღინიშნოს, რომ ქართველი ინტელიგენციის ნაწი-
ლის ცალკეულ პირთა შორის ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საბ-
ჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილებანი და კავშირურო-
ერთობანი კონტრრევოლუციურ, უცხო ელემენტებთან.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმება და გამოცვლა, რაც ამხანაგ
სტალინის ინიციატივით ჩატარდა, გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ორგანი-
ზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებად ჩვენი პარტიის რიგების შემდგო-
ში განმტკიცებისათვის, პარტიის გაწმენდისათვის მტრული და სხვა ან-
ტიპარტიული ელემენტებისაგან.

საქართველოში წინათ ძლიერნი იყვნენ ანტისაბჭოთა ნაციონალის-
ტური პარტიები. ამ პარტიებიდან გამოსულებმა მათი განადგურების შემ-
დეგ შესძლეს წარსულში საქართველოს ბოლშევიკთა რიგებში ვაძვრო-
მა. როგორც ცნობილია, წარსულში არსებობდა ეგრეთწოდებულ ნა-
ციონალ-უკლონისტთა ანტიპარტიული ჯგუფიც, რომელიც შემდეგ
ტროცკიზმის პოზიციებზე გადავიდა. ამ ჯგუფის ნაშთები თვალთმაქცუ-
რად რჩებოდნენ კომპარტიის რიგებში. ასეთი მდგომარეობა მოიხსოვდა
ვანსაკუთრებით ყურადღებითს და გულმოდგინე მიდგომას თვითნაწილი
შესამოწმებელი კომუნისტისადმი.

პარტდოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის შედეგად გამოჩვენა-
წებული და პარტიის რიგებიდან განდევნილ იქნენ თვალთმაქცები,
კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები და სხვა მტრული, პარტიისათვის
უცხო ელემენტები, რომლებმაც მოტყუებას გზით მიიღეს პარტიული
ბილეთები. აღმოჩენილ იქნა ტროცკისტული ჯაშუშურ-მავნებლური ტე-
რორისტული ცენტრი, რომელშიაც შედიოდნენ ბ. ძდივანი, მ. ტორო-
შელიძე, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, ნ. კიკნაძე და სხვები.

დაუკავშირდნენ რა საქართველოში ანტისაბჭოთა პარტიების განად-
გურებულ ნაშთებს, ხოლო საზღვარგარეთ — ქართველი ხალხის მოსისხ-
ლე მტერს, იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტს — ნოე ყორდანიას.
ქართველი ტროცკისტები მავნებლურ, დივერსიულ და ჯაშუშურ მუ-
შაობას ეწეოდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობაში გერმანიის ფა-
შისტური წრეების სასარგებლოდ.

ჩვენმა პარტიამ მძლავრი სტალინური ხელით გაანადგურა სამშობ-
ლოს ყველა ეს მოღალატენი, ფაშიზმის დაქირავებული აგენტები, იუ-
დუშკა ტროცკის დამქაშები.

დაე იცოდნენ მტრებმა, რომ ყველა, ვინც შეეცდება აღმართოს ხელი ჩვენი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ლენინ-სტალინის პარტიის ნება-სურვილის წინააღმდეგ, — შეუბრალებლად იქნება გასრესილი და მოსპობილი.

*

საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობის მუშაობა ჩატარდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური თვითკრიტიკისა და კრიტიკის ნიშნით. მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა მშრომელთა მასებს შორის მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, პოლიტიკური აგიტაციის დაყენების დარგში, აგრეთვე პარტორგანოების მიერ ბეჭდვითი სიტყვის ხელმძღვანელობა.

ყრილობაზე გამოვლინებულ იქნა შინაპარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევათა მრავალრიცხოვანი ფაქტები.

ყრილობის მთავარი ყურადღება მიექცა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობის ბოლომდე მხილებასა და აღმოფხვრას, ბოლშევიზმის დაუფლების, კომუნისტების სიფხიზლის ამბღლებისა და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის კიდევ უფრო განვითარების ამოცანას.

საქართველოს ბოლშევიკების მთელმა ყრილობამ დიდი ანფროთოვანებითა და ერთსულოვნობით ცხადპყო უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული პარტიის ბელადის დიდი სტალინისადმი და ამხანაგი სტალინი, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელი, პირველიაირჩია ერთხმად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში.

საანგარიშო მოხსენების განხილვის შედეგად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა ერთხმად იქნა მოწონებული ყრილობის მიერ.

როგორც სარაიონო, საქალაქო და საოლქო კონფერენციებზე, ისე საქართველოს კომპარტიის ყრილობაზედაც არჩევნები ჩატარდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1937 წლის 20 მარტს „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ“ მიღებულ დადგენილებასთან სრული შეფარდებით.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ პირველმა კავშირში და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ზუსტად დაწესებულ ვადაში დაამთავრა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიფითებათა გამრუდებანი, დაშვებულნი არჩევნების პირველ პერიოდში საქართველოს მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, თავის დროზე გამოავლინა და გამოასწორა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

პარტიული ორგანოების არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ საქართველოს პარტიულ მუშაკთა კადრები — პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და პარტორგები, სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები არიან ჯანსაღი, სწორად შერჩეული და სარგებლობენ პარტიული მასის ნდობით: ფარული კენჭისყრისას რაიკომის, საქალაქო კომიტეტის ან საოლქო კომიტეტის არცერთი მდივანი არ ყოფილა გაშვებული, ხოლო პირველადი ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების 3.033 არჩეული მდივნიდან და პარტორგიდან 70 პროცენტზე მეტი დატოვებულია მდივნებად და პარტორგებად თავის პირველადს პარტორგანიზაციებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა განახლდა, მასში შევიდნენ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა ახალი, უკანასკნელ დროს წამოწეული კადრები, მათ რიცხვში სტახანოველებიც.

პარტორგანოების ჩატარებულმა ანგარიშებმა და არჩევნებმა დასაბამო მისცეს საქართველოს პარტორგანიზაციების მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ სერიოზულ გარდაქმნას.

ჩვენ, საქართველოს ბოლშევიკებს, მუდამ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს ამხანაგ სტალინის მიფითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ. ჩვენ კიდევ უფრო ფხიზლად უნდა ვიყოთ და ვამზილოთ მახინაკიები და ხრიკები ტროცკისტ, მენშევიკ ჯაშუშ-დივერსანტებისა და სხვა ყოველი ჯურის აგენტებისა, რომელთაც უცხოეთის დახვეწიანი ჰგზავნიან ჩვენში.

ყველა ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში შემდეგში იმგვარად უნდა წარმართოს მუშაობა, რომ უმოკლეს ვადაში სავსებით აღმოფხვრან მავნებლობის ყველა შედეგი საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

შემდეგში კიდევ უფრო უნდა განვაკეთოთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ვინაიდან მას, ააშკარავებს რა ჩვენს ნაკლოვანებებს, დეფექტებსა და მტკივნეულ ადვილებს, მივყევით მუშაობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაუმჯობესებისაკენ.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე, გააძლიერონ მუშაობა თავისი კადრების შესასწავლად, უკეთ იცნობდნენ მათ, უკეთ ხელმძღვანელობდნენ მათ, მეტ დახმარებას უწევდნენ მათ.

გადაჭრით უნდა გაძლიერდეს ხელმძღვანელთა კავშირი როგორც პარტიულ მასასთან, ისე უპარტიო მუშებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინტელიგენციის ფართო მასებთან. ჩვენმა ხელმძღვანელებმა კარგად უნდა იცოდნენ, რით ცხოვრობენ ისინი, რით სუნთქავენ ისინი, ასწავლიდნენ მათ და თავის მხრით სწავლობდნენ მათგან, იყენებდნენ მათს გამოცდილებას.

მთელი სერიოზულობითა და გულმოდგინებით უნდა იქნეს დაყენებული ბოლშევიზმის დაუფლების საქმე, კადრების პოლიტიკური აღზრდის საქმე და ჩვენი პოლიტიკური გულმინდობისა და უდარდლობის ლიკვიდაციის საქმე.

საჭიროა, რათა ჩვენმა პარტორგანიზაციებმა გამოიყენონ მთელი თავისი გამოცდილება პარტორგანოების არჩევნებისა, რომ უკეთ უზრუნველყონ და ბოლშევიკურად მოემზადონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის. უნდა გვახსოვდეს და არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს მომავალ არჩევნებში კლასობრივი მტერი შეეცდება ხელი შეუშალოს მშრომელებს აიჩიონ საბჭოებში ჩვენი ქვეყნის ნამდვილად ღირსეული, მოწინავე ადამიანები. ჩვენი კლასობრივი მტრები შეეცდებიან გამოიყენონ არჩევნების დროს ჩვენ მიერ დაშვებული სულ მცირე შეცდომაც კი.

განუხრელად განახორციელებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს ბოლშევიკები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავის რიგებს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ.

საქართველოს ბოლშევიკები შემდეგშიც მთელი უღმობელოობით და შეურიგებლობით გაუსწორდებიან პარტიისა და ხალხის ყველა მტერს, მავნებლებს, დივერსანტებს, ჯაშუშებსა და მათს ხელშემწყობთ.

საქართველოს ბოლშევიკები დიდი სტალინის მიერ გამოწრთობილნი, სოციალიზმის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, გააცამტვერებენ ტროცკისტ და ახვა ყოველი ჯურის თვალთმაქცთა, გამცემელთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა საზიზღარ ნაშთებს.

საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტური პარტია — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის რკინისებური და ურყევი ბურჯი — საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გასწევს წინ კომუნისზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაზ. „პრაჭდა“, 5 ივნისი.

საქართველოს

ლიტერატურა და ხელოვნება*)

ამხანაგებო! ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდე ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში შეჰქმნა ყველა საჭირო წინამძღვარი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მძაფრი ზრდისა და აყვავებისათვის.

პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა ჩვენი კლასიკოსების ფრიად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ასათვისებლად.

წარსულის ყველა კულტურული ღირებულება, რაც წინათ გადამალული იყო, ახლა გამოყენებულია საბჭოების ქვეყნის მშრომელთა სამსახურისათვის.

ამ პერიოდში აღინიშნა ე. ნინოშვილის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღები.

წელს აღინიშნება უდიდესი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი.

საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა ქართული პოეზიის გენიოსის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში შეიქმნა რუსთაველოლოგიის სალიტერატურო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. დიდი მუშაობაა ჩატარებული რუსთაველის გენიალური პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად და საიუბილეო აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად.

ამ ხნის განმავლობაში შესრულებულია პოემის მთელი რიგი ახალი თარგმანები სხვა ენებზე — რუსულზე, უკრაინულზე, მზადდება თარგმანები სომხურ, აზერბეიჯანულ და სხვა ენებზე.

*) ამხ. ლ. პ. ბერიძის მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე 1937 წლის 15 მაისს.

რუსთაველის იუბილესათვის საბჭოთა, კავშირის ყველა რესპუბლიკა ემზადება, რაც ცხადყოფს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას.

* * *

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგში. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, როგორც მოგეხსენებათ, განსაკუთრებული როლი ითამაშა ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებულმა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წ. 23 აპრილის დადგენილებამ ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ.

საქართველოს ლიტერატურულ ორგანიზაციებში წინათ ბატონობდა ჯგუფობრიობა, რომელიც ხრწნიდა მწერალთა კადრებს და აფერხებდა ქართული ლიტერატურის განვითარებას. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ეგრეთწოდებული საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც წარმოადგენდა „რაპის“ ფილიალს და რომელსაც მეთაურობდნენ ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი და სხვანი.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა მწერალთა წრეში აღვივებდა ჯგუფობრივ შუღლს, ყველა ურჩხა და სხვანაირად მოაზროვნეს მიერეკებოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაკისაკენ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან ერთად ქართველ მწერალთა წრეში წინათ არსებობდნენ კარჩაკეტილი, განკერძოებული ჯგუფები: „ცისფერი ყანწები“, „აკადემიური“ ჯგუფი, „ლეფელეები“, „არიფიონი“ და სხვანი.

„ცისფერი ყანწების“ ჯგუფში შედიოდნენ: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ნ. მიწიშვილი, გ. ლეონიძე და სხვანი.

ეს ჯგუფი ჯერ კიდევ 1916 წელს შეიქმნა. სახელწოდება „ცისფერი ყანწები“ გადატანითი აზრით უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი შეხარხოშების, შემოქმედებითი თრობის ნიშანი, მაგრამ ცხოვრებაში ეს დევიზი არაიშვიათად ტარდებოდა ლოთობასა და ქეიფში. (სიცილი დარბაზში).

„ცისფერყანწელთა“ შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენდა დასავლეთ-ევროპისა და რუსული ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის დაგვიანებულ გამოძახილს.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შედეგად, „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ ჩატარებული მწვავე იდეური ბრძოლის შედეგად; ჯგუფი დაიშალა.

თუ პირველ პერიოდში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის აპრილის დადგენილებების შემდეგ „ცისფერი ყანწების“ ყოფილი ჯგუფის მთელი

რიგი პოეტების შემოქმედებაში უიდეო ლირიკის მოტივები სჭარბობდნენ და მათ თავი ვერ დააღწიეს საკუთარ ვიწრო ლიტერატურულ სფეროს, სამაგიეროდ უკანასკნელ წლებში მათი შემოქმედებითი საქმიანობის გაშლა ხდებოდა უკვე სოციალისტური მშენებლობის თემათა დამუშავების მიმართულებით.

„აკადემიური“ ჯგუფი წარმოდგენდა უკიდურეს მემარჯვენე ფრთას ქართულ ლიტერატურაში. იგი წარმოიშვა 1922—23 წლებში და აერთიანებდა მწერლებს კ. გამსახურდიას, ა. აბაშელს, გ. ქიქოძეს, პ. ინგოროყვას და სხვებს.

ჟურნალ „კავკასიონში“, რომელსაც ეს ჯგუფი. 1924 წელს სცემდა, № 1-ში ჯგუფმა შემდეგნაირად გვამცნო თავისი პლატფორმა:

„ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა სდგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე...“

ჟურნალი, ბუნებრივია, მიმზიდველ ცენტრად გადაიქცა ინტელიგენციის ანტისაბჭოურ-მოვინისტურად განწყობილი ნაწილისათვის.

მაგრამ ეს, ეგრეთწოდებულნი, „აკადემიური ჯგუფიც“ დაიწალა სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა და ჩვენი სოციალისტური კულტურის ზრდის შედეგად.

ამ ჯგუფის ერთერთი წარმომადგენელი ა. აბაშელი იწყებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში. მან საბჭოთა თემებზე დასწერა მთელი რიგი ლექსები, რომლებიც ურიგონი როდი არიან.

ამ ჯგუფის მეორე წარმომადგენელი კ. გამსახურდია, რომლის მსოფლმხედველობა განისაზღვრებოდა აშკარად გამოხატული ფაშისტური ელფერის მებრძოლი ნაციონალიზმით, თავის უკანასკნელ ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში“ შეეცადა ჩამოშორებოდა ამ თავის ძველ იდეურ პოზიციებს და მოეცა დიდი მხატვრული ტილო ჩვენი სოციალისტური სინამდვილის შესახებ. მაგრამ ჯერჯერობით ეს მან ძალიან სუსტად შესძლო.

თუ კ. გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, იგი უნდა განთავისუფლდეს თავისი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ნაციონალისტური იდეებისაგან და განწყობილებებისაგან, უფრო დაუახლოვდეს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს და თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მოახმაროს ქართველი მშრომელი ხალხის სამსახურს.

„ლეფელთა“ ჯგუფისათვის, რომელიც 1924 წელს ჩამოყალიბდა და რომელშიაც შედიოდნენ ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია, ბ. ჟღენტე, ლ. ასათიანი და სხვ., დამახასიათებელი იყო ფორმალური ნოვატორობა, წვრილბურჟუაზიული ბუნტარობა. ისინი სცემდნენ სპეციალურ ჟურნალს „H₂SO₄“ (გოგირდოვანი მჟავის ქიმიური ფორმულა). (სიცილი დარბაზში).

„ლეფელები“ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან აბდაუბდისაგან, რომელიც ახასიათებდა მათ წარსულში, გადმოდიან

ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე და ამჟამად იბრძვიან ქართული ლიტერატურის პირველ რიგებში.

დ. შენგელაიამ დასწერა მთელი რიგი მოთხრობები სოციალისტური მშენებლობის თემებზე. მან მოამზადა ახალი რომანი, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის სიჭაბუკის წლებისადმი.

პოეტმა ს. ჩიქოვანმა მოგვცა მთელი რიგი კარგი ლექსები თანამედროვე საბჭოთა თემებზე.

„არიფიონის“ ჯგუფში შედიოდნენ მწერლები მ. ჯავახიშვილი, შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ი. მოსაშვილი და სხვ.

ეს ჯგუფი 1928 წელს წარმოიშვა. ჯგუფის ერთერთი მონაწილის — გ. ქიქოძის განმარტებით „არიფი“ „თანამესუფრეს ნიშნავს, არიფიონი — შეზარხოშებულ ადამიანთა კავშირია“. (სიცილი დარბაზში).

„მაგრამ ჩვენ ვითვრებით — სწერდა ქიქოძე — არა ღვინით, არამედ ურთიერთი შემოქმედებითი შთაგონებით“.

ეს ჯგუფი არსებითად ნაკლებად განსხვავდებოდა შემოხსენებული „აკადემიური“ ჯგუფისაგან, და, ისე როგორც ეს უკანასკნელი, იდგა ჩვენდამი აშკარად მტრულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციებზე. გ. ქიქოძის სტატიაში, რომელიც ჟურნალ „არიფიონის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა და რომელიც ჯგუფის დეკლარაციას წარმოადგენდა, დაწერილი იყო:

„... რევოლუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები, დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა. რა დაუპირდაპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია... ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოწვა ძველი ილუზიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნეობისაკენ, მაგრამ სული დაცალიერდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება“.

ეს იყო აშკარა კონტრრევოლუციური მოწოდება, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

სოციალიზმის წარმატებათა შედეგად, „არიფიონის“ ჯგუფის წინააღმდეგ გაშლილი იდეური ბრძოლის შედეგად მოხდა ჯგუფის თვით-ლიკვიდაცია და ამჟამად ჯგუფის ყველა ძირითადი მონაწილე ცდილობს აქტიურად იმუშაოს საბჭოთა ლიტერატურის დარგში.

მ. ჯავახიშვილმა ურიგო რომანი არ დასწერა XIX საუკუნის 30-იანი წლების გლახური რევოლუციური მოძრაობის შესახებ არსენა მარაბდელი“.

შ. დადიანმა დასწერა რომანი სამეგრელოს გლახთა რევოლუციური ბრძოლის ცხოვრებიდან — „ურდუმი“.

მანვე დასწერა პიესა, მიძღვნილი საქართველოს ბოლშევიზმის ისტორიისადმი, 1905 წლის რევოლუციის პერიოდიდან.

ლ. ჭიაჩელმა დასწერა ახალი რომანი „გვალი ბიგვა“, რომელშიაც ამოცანად დაისახა დაგვანახვოს, თუ როგორ მიჰყავს საკოლმეურნეო მშენებლობას გლეხობა ახალი შეძლებული ცხოვრებისაკენ.

ი. მოსაშვილმა ბოლო დროს მოგვცა მთელი რიგი კარგი ლექსები, რომლებიც მიძღვნილია სოციალისტური მშენებლობის თემებისადმი.

უკანასკნელ დროს განმტკიცდნენ და გაიზარდნენ პროლეტარულ მწერალთა კადრები — ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ი. აბაშიძე და სხვ. თავიანთ ნაწარმოებებში მათ გვიჩვენეს იდეურ-შემოქმედებითი ზრდა და თავიანთი ოსტატობით ხშირად არ ჩამოუვარდებიან ძველ კვალიფიციურ მწერლებს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ქართული საბჭოთა პოეზია. ქართული პოეზია გამდიდრდა ახალს მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ჩვენი პოეტები უმღერიან ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს.

საუკეთესო სიმღერები და ლექსები შეგროვილია ამასწინათ გამოსულ წიგნში „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის ახალი პოემა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც დიდი პოეტური აღმაცრენით არის დაწერილი.

ქართული პოეზიის მიღწევას უსათუოდ წარმოადგენს ქართველი მწერლების ლექსად ნათქვამი „საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს“ საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლისთავისათვის.

ყურადღების ღირსია ქართული ლექსების წიგნი ესპანეთის შესახებ, რომელიც გამსჭვალულია საბრძოლო ინტერნაციონალიზმით; სულით და რომელიც გამოხატავს ქართველი ხალხის სოლიდარობას სასწლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანეთის მშრომელი მასების განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

ამ წლების განმავლობაში შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწია ქართულმა საბჭოთა დრამატურგიამაც.

ამ ბოლო დროს დაწერილია მთელი რიგი ახალი პიესები.

დრამატურგმა ს. შანშიაშვილმა დასწერა პიესა „არსება“, რომელსაც, როგორც ვიცით, დიდი წარმატება ჰქონდა. ამ პიესაში ავტორმა გვიჩვენა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გმირები, მათი ბრძოლა თავად-აზნაურობის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ახალგაზრდა დრამატურგმა გ. მდივანმა დასწერა პიესა „ალკაზარი“ ესპანეთის ამბების შესახებ. ყველა თავისი ნაკლის მიუხედავად, პიესა იძლევა ესპანეთის ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლ-რევოლუციონერთა ამაღელვებელ სახეებს.

გ. ბააზოვის პიქსა „იცვა რიჟინაშვილი“ ეხება 1905 წლის რევოლუციას და გადმოგვცემს საქართველოში ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ბრძოლის ერთერთ ეპიზოდს.

მწერალმა ს. კლდიაშვილმა დასწერა პიესა ახალი კოლხიდის შესახებ, რომელსაც ამ სეზონში დასდგამს რუსთაველის თეატრი.

კრიტიკა ჯერ კიდევ ვიწრო ადგილს წარმოადგენს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი კრიტიკოსები სუსტად ამყლავენებენ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ჩვენი მწერლების ნაწარმოებებში და ყოველთვის ობიექტური როდი არიან: იმის ნაცვლად, რომ კარგად შეისწავლონ ყოველი ცალკეული ნაწარმოები და მისცენ სერიოზული და სამართლიანი კრიტიკა ობიექტური ანალიზის საფუძველზე, ისინი ძალიან ხშირად გამომდინარეობენ ცალკეული მწერლებისადმი პირადი სიმპატიებიდან თუ ანტიპატიებიდან, გამომდინარეობენ იქიდან, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ისინი ოდესღაც და ხელმძღვანელობენ პრინციპით — „ჩვენიანია“ თუ „მოწინააღმდეგეო“.

ასეთი მუშაობის შედეგად ისინი სრულიადაც არასაკმაოდ და არადროულად ამყლავენებენ კლასობრივად მტრულ, უცხო იდეებს ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებებში.

მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენს გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში ღირსეული მხატვრული, სრულფასოვანი ასახვა.

ჩვენი ლიტერატურა უნდა იყოს ხალხური, უნდა გამოხატავდეს კაცობრიობის მოწინავე იდეებს — **ლენინ-სტალინის** პარტიის იდეებს.

მწერალთა კავშირის მთელი რიგი დიდი ნაკლოვანებები აქვს და არასაკმაოდ ხელმძღვანელობს მწერალთა შემოქმედებითს პროცესს, არ არის გაშლილი თვითკრიტიკა მწერლებს შორის.

უნდა მოვაწყოთ ბრძოლა ჩვენი მწერლების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ბრძოლა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლა უნდა იდგეს მწერალთა მთელი ორგანიზაციის მუშაობის ცენტრში.

როგორც ჰნახეთ, ქართველი მწერლებისა და პოეტების უდიდესი უმრავლესობა, რომლებიც წარსულში ანტისაბჭოურად იყვნენ განწყობილნი და თავის გარშემო იკრებდნენ უკმაყოფილოებს — ახლა აქტიურად მუშაობენ საბჭოთა თემატიკაზე.

ბევრმა მათგანმა, როგორც უკვე ვამბობდი, მოგვცა კარგი ნაწარმოებნი, რომელთა ნაწილი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ვნებზე.

მაგრამ ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკთა შორის არიან ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადასინჯონ თავისი კავშირთიერთობა ქართველი ხალხის მტრებთან — აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან, სერიოზულად დაუფიქრდნენ ამას და გამოიტანონ თავისთვის ყველა საჭირო დასკვნა, ვინაიდან არა-

ვის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და, საბჭოთა მწერლის ან მხატვრის მაღალი სახელწოდების ამოფარებით, აკეთოს თავისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად.

მაგალითად, პავლე იაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს.

სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინაძისგან ჯიქიასკენ, ჯიქიასგან აღნიაშვილისკენ, ლოლობერიძისგან ლომინაძისკენ და, დაბოლოს, ელიაევას კლანჭებში.

ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილბ, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები.

საბჭოთა მწერალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, **ლენინ - სტალინის** პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. იგი უნდა იყოს გულწრფელი და გულმართალი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირურთიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან.

ჩემ მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდგომი საქციელი, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დაჰგმობენ ისინი თავის წარსულ საქმეებსა და კავშირურთიერთობას, განსაზღვრავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამი.

ხმები ადგილებიდან: მართალია!

ბერია: შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა თეატრალურმა და კინო-ხელოვნებამ.

ცნობილია, რომ რუსთაველის სახელობის თეატრი მთელი რიგი თავისი უდავოდ წარმატებული დადგმებით („ანზორი“, „ინ-ტირანოსი“, „რღვევა“) გამოვიდა მოწინავე თეატრების რიგში. მაგრამ ამ თეატრის შემოქმედებაში თავიდანვე დაისახა საწინააღმდეგო ტენდენციები, რამაც გამოიწვია ღრმა იდეურ-მხატვრული ჩავარდნები („თეთნულდი“, „ლამარა“, „შლფეი“) და თეატრი აღმოჩნდა მწვავე იდეოლოგიური და მხატვრული კრიზისის წინაშე.

თეატრს სათავეში ედგა ახმეტელი, რომელიც აღმოჩნდა ფაშისტი და მავნებელი, იგი იკრებდა თავის გარშემო ანტისაბჭოურად განწყობილ ელემენტებს. თეატრში გაბატონებული იყო შეუწყნარებელი ატმოსფერო: თვითკრიტიკის ჩახშობა, შიშველი ადმინისტრირება, კორპორატიული კარჩაკეტილობა, საზოგადოებრიობისაგან მოწყვეტა და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, როგორც ახმეტელი, ისე მისი ჯგუფიც მოიხსნა და თეატრის ხელმძღვანელობა განმტკიცებულ იქნა.

ხელმძღვანელობის გამოცვლის შემდეგ თეატრის დიდი მიღწევა იყო დადგმები: „არსენა“, „ალკაზარი“, „შემოდგომის აზნაურები“.

როგორც თქვენ იცით, თეატრი დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით, ორდენებით დაჯილდოვებულია ამ თეატრის 10 არტისტი და ამხ. ხორავასა და ვასაძეს მიენიჭათ სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება.

კარგად მუშაობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც, რომელმაც თეატრში გატარებულ ღონისძიებათა შემდეგ მოგვცა მთელი რიგი კარგი დადგმები. ცუდად როდი მუშაობენ გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი, თურქული თეატრი, აგრეთვე ბავშვთა თეატრები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა გაატარა აგრეთვე ღონისძიებანი რაიონული თეატრების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1936 წელს დამთავრდა ახალი სათეატრო შენობის აგება ფოთსა და ლანჩხუთში, წელს შენდება ქუთაისისა და გორის თეატრები.

* * *

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა ქართული ხელოვნების დეკადის მოსაწყობად მოსკოვში. ჩვენ ამასთან გამოვდიოდით იმის საჭიროებიდან, რომ დეკადის მომზადების პროცესი გამოგვეყენებინა ყველა მუსიკალური დაწესებულებისა და, პირველ რიგში, საოპერო თეატრის მთელი შემოქმედებითი და ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნისათვის.

ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ მთლიანად, ჩვენმა საოპერო დადგმებმა მოსკოვში მაღალი შეფასება მიიღო.

ქართული ხელოვნების დეკადის წარმატებამ მოსკოვში გამოიწვია უდიდესი ინტერესი ქართული ოპერებისადმი. ოპერები „ბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ამჟამად შეტანილია მოკავშირე რესპუბლიკათა საოპერო თეატრებისა და სსრ კავშირის დიდი თეატრის რეპერტუარში.

უდიდესი წარმატება ხვდა ხალხურ შემოქმედებასაც. გაზეთი „პრავდა“ 1937 წლის 9 იანვარს სწერდა:

„დაე გვაპატიონ ანტიკური ეპოქის სწავლულმა მკვლევარებმა, — ქართველი ხალხის საგუნდო ხელოვნება უფრო მდიდარია, ან, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამოუვარდება ანტიკურ ხელოვნებას!.. ქართული ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებზე უნდა ისწავლოს ყველა ჩვენმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა“.

დეკადის მონაწილენი (დაახლოვებით 800 კაცი) გარემოსილნი იყვნენ ყურადღებითა და მზრუნველობით პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მხრივ, საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობის მხრივ.

დეკადის მონაწილეებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა პარტიის ბელადი ამხანაგი სტალინი. (მქუხარე ტაში).

პარტიამ და მთავრობამ ოპერისა და ბალეტის თეატრი დააჯილდოვა ლენინის ორდენით, თეატრისა და ეთნოგრაფიული გუნდების მუშაკები კი ორდენებით, ძვირფასი საჩუქრებითა და ფულით.

ამრიგად, ჩვენ ამჟამად გვაქვს **ლენინის** ორდენით დაჯილდოვებული ორი თეატრი და გვყავს ორდენებით დაჯილდოვებული 68 მუშაკი ხელოვნებისა.

მაღალი ჯილდო დიდ ვალდებულებებს აკისრებს ხელოვნების ყველა მუშაკს, რომლებიც არ უნდა გამედიდურდნენ, ისინი მთელი თავისი ენერგიით უნდა შეუდგნენ ახალ, ჩვენი დიადი ეპოქის ღირსეულ ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნას.

* * *

საანგარიშო პერიოდში ქართულმა კინემატოგრაფიამ მოგვცა სრულფასოვანი მხატვრული ფილმები: „უკანასკნელი მასკარადი“ და „არსენა“ — რეჟისორი ჭიაურელისა, „ნარინჯის ველი“ — რეჟისორი შენგელაიასი, „დარიკო“ და „უკანასკნელი ჯვაროსნები“ — რეჟისორი დოლიძისა, „ნახვამდის“ — რეჟისორი მაკაროვისა, „ყუყუნას მზითევი“ — რეჟისორი ფალავანდიშვილისა, „მფრინავი მღებარი“ — რეჟისორი ესაკიასი, „ქაჯეთი“ — რეჟისორი მიქაბერიძისა, „გამარჯვების 15 წელი“ — რეჟისორი მიტროფანოვისა და სხვ.

საჭიროა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიამ უფრო მეტად ხელი მოჰკიდოს ისეთი სურათების წარმოებას, რომლებიც ასახავენ ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს, მრეწველობისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა ცხოვრებასა და ბრძოლას.

სახკინმრეწვის მუშაობაში დიდ ნაკლს წარმოადგენს სურათების უადრესად მაღალი თვითღირებულება, როგორც შედეგი არა მარტო სტუდიისა, არამედ რეჟისორების ცუდი საწარმოო მუშაობისა, და ბოლოს, არადამაკმაყოფილებელი მუშაობა დრამატურგებთან, მწერლებთან მაღალმხატვრული სცენარების შექმნის საქმეში.

1936 წელს აშენდა და ამუშავდა კინოთეატრები: გორში 350 ადგილით და ასპინძაში — 200 ადგილით.

1937 წელს დამთავრდება და ამუშავდება კინოთეატრები: ჭიათურაში 600 ადგილით, მახარაძესა და ლაგოდეხში — 350 ადგილით, ლანჩხუთში — 300 ადგილით, ლენინგორში — 250 ადგილით, ადიგენში — 200 ადგილით.

თბილისში შენდება დიდი კინოთეატრი 1.200 ადგილით.

დროის უქონლობის გამო მე არ მაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით შევეჩერდე სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის საკითხებზე.

უნდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ საქართველოს მხატვრების სურათების შარშან მოწყობილმა გამოფენამ თემაზე „საქართველოსი და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ“, აგრეთვე მთელმა რიგმა ჩატარებულმა კონკურსებმა ასაგებ შენობათა და საქართველოს ქალაქების დაგეგმვის საარქიტექტურო პროექტების შედგენაზე გვიჩვენეს ჩვენი მხატვრებისა და არქიტექტორების შემოქმედებითი ზრდა.

მაგრამ, როგორც მხატვრებმა, ისე არქიტექტორებმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ თავისი საქმის ნამდვილ ოსტატებად გახდნენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გაამართლონ თავისი ვალდებულებანი, რომელნიც მათ იკისრეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის წინაშე.



0305 8538555500

პომეხიის ახალგაზრდა მოქვარულთ

ჩვენ აუარებელი ლექსები მოგვდის დიდის თხოვნითა, რომ დაგვიბეჭდეთო. ჩვენდა სამწუხაროდ და დამწერთა არა-სასიქადულოდ ათასში ერთი ძლივს გამოდგება ისეთი, რომელზედაც შესაძლო არ იყოს სამართლიანად თქმა: რაზედ მომცდარა დამწერიო. ჩვენ ჩვენის მოვალეობისამებრ, რასაკვირველია, იძულებული ვართ გადავიკითხოთ ხოლმე ყოველივე ეს წარამარად კუდგადაბმული მწყობრსიტყვაობა, რომელიც გაუსაზნავ ურემსამით ჭრიჭინებს ყურისათვისაც და გულისათვისაც. ვკითხულობთ და ვნანობთ,—რაზედ დავკარგეთ დრო და რაზედ წავიხდინეთ, გავიუგემურეთ გუნება. ჩვენ კიდევ იმედი მაინც გვანუგეშებს, როცა ამისთანა უმადურს, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელს შრომას ხელსა ვკიდებთ. ვფიქრობთ, იქნება ათასში ერთს კარგსა და მარილიანს რასმეს შევხვდეთ, და თუ ეს იშვიათი, ძლიერ იშვიათი ბედი გვეწვევა, სიხარულით წავავლებთ ხოლმე ხელსა, როგორც ობოლს მარგალიტსა, აუარებელ ლექში ნაპოვნსა. მაშინ ჩვენც ვსიამოვნობთ და ვსტკბებით და ჩვენს მკითხველსაც ვასიამოვნებთ და ვატკბობთ.

ვამბობთ, ეს ბედი იშვიათად გვეწვევა ხოლმე. ხშირად მთელ დასტა ქალაქს გადავიკითხავთ და ერთს სტრიქონსაც ვერა ვნახავთ „ღვთაებურის ცეცხლით“ გამთბარსა. სანანური მარტო ეს ჩვენი ამ გადაკითხვაში დაკარგული დრო არ არის: ეგ ჩვენი მოვალეობაა, მართალია, მეტად უსიამოვნო და შემაწუხებელი, მაგრამ მაინც მოვალეობაა. ხოლო საკვირველი ეს არის, დამწერი რათა სცდება, რათა ჰკარგავს დროს, ხარჯავს ქალაქს, მელანს, მაშინ როდესაც არავისაგან დაეალებული არ არის? უსაქმურს კაცს, რა თქმა უნდა, ამისთანა უხეიროდ საქმიანობა არ ეკიჟინება, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო, ნათქვამია. ჩვენ ამისთანა კაცის არც დრო გვენანება, არც ჯაფა, იმიტომ რომ არც ერთია მისთვის გამოსაყენებელი და არც მეორე. დეი ისევე ლექსებში ხიტყვები აჭრიჭინოს თვისდა სასიამოვნოდ და რედაქტორის შესაწუხებლად. ხოლო სამწუხარო და სანანური ის არის, რომ ამაზედ

*) ეს წერილი პირველად დაიბეჭდა 1886 წელს გაზეთ „ივერიის“ მე-139 ნომერში მეთაურის სახით. „ჩვენი თაობის“ ახალგაზრდა თანამშრომლებისათვის ილია ჭავჭავაძის ეს წერილი დღესაც მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია. რ ე დ.

სცდებიან თითქმის უსუსური ყმაწვილები, რომელთაც მიძიმე მოვალეობა სწავლისა ჯერ კიდევ წინ მიუძღვით და, მაშასადამე, დროსა და ჯაფას მათთვის თავისი საფასური აქვს.

დღე არ გავა—არ მოგვივიდეს ლექსი და ქვეშ არ ეწეროს „მოსწავლე ამა და ამ სკოლისა“. დღევანდელი ჩვენი სიტყვა ამათ გეზნდა მივმართოთ; ვშიშობთ კი, რომ ჩვენი სიტყვა ისე არ იქნას მიღებული ზოგიერთ ჩვენთა მოკეთეთაგან, ვითომც ჩვენ ხალისის დახშვა და გაცუდება გვინდოდეს. ღმერთმა ნუ ქმნას!.. ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთაშესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი ძალღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელის ხალისით გახდეს რასმე.

ამიტომაც ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირდაპირს სიტყვას. პირდაპირი სიტყვა სჯობია ტყუილ-უბრალო წაქეზებას. ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ ავიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და განგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან შოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება“, მის მიერ გატაცებული „გულისთქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფს“, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბარათაშვილი. ყოველივე ეს ვიცით, და თითონ პოეზია რა არის — ეს კი არავინ იცის, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია.

მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაყვაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნწელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის.

თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმაღლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. ზგი თავის დროზედ განიხიეთქებას, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერ ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე. კიდევ გეტყვით: პოეზია ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშემსხმე-

ლი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული — ზღვაა უძირო, არამც თუ თვალ, ფიქრ-მიუწვდომელიცა. ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი—აფრა და მეცნიერება—საჭე, გემის მიმმართველი. ადამიანი ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად“, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად.

ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო,—ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღმოებჟდოს, სული ჩაუდგას, ხორციტ შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის. „უკეთუ მთარგმნელი არ იყოს, მკითხველნი დუმენო“, ნათქვამია ერთის ძველის ბრძნისაგან. ჯერ თქვენ, ვითარცა მოსწავლე ყრმათა, ეგ მთარგმნელობა არ შეგიძლიანთ, ვიდრე საკმაოდ არ შეისრულებთ სწავლასა. ამიტომაც მოგახსენებთ: სდუმენ იმ დრომდე. ამას გირჩევთ ყველას, ვისაც ხალისი ლექსის წერისა ადრეულად გაგლვიძებიათ. ვცდებით ამაში თუ არ ვცდებით. ეს კი გვერწმუნეთ, რომ რჩევა ჩვენი გულწრფელია ორსავე შემთხვევაში. გვერწმუნეთ, რომ ამ რჩევას იძლევა თქვენი გულითადი მეგობარი, თქვენი კეთილის მოსურნე.

იქოას

ჩვენი მზიური სამშობლოს დარში
შენ ელვარებით მნათობს, ედრები.
შენ, მარადიულ დიდებად დარჩი
შენი უკვდავი შემოქმედებით.

მედგრად იბრძოდი კაცი ერთგული,
გულში მგზნებარე ცეცხლდანთებული...
კაცი წარსულზე დარდებმოკლული,
კაცი სხვა ვარსკვლავს ადევნებული.

ქართლს გაჰყურებდი მარტოკა მდგარი,
მიხარეთ კენესას სევდით უსმენდი,
სად კაცთ უფლებას უღმობელ ჯარის
ზიშტით ახრჩობდა მეფის რუსეთი.

ის საქართველო სხვა არის ახლა,
მას განახლების შუქი ამშვენებს.
გამოიღვიძა ქართველმა ხალხმა,
თავის ქვეყანას ბრძოლით აშენებს.

და ქართველის ძუძუ არა იყო დაშრა,
უწინ რომ მამულს უზრდიდა შვილსა,—
მან წინამძღოლად მსოფლიო მაშვერალთ
დღეს გენიოსი სტალინი მისცა.

თეობოლოგი

თუმცა სიმართლის შენ დარგე ნერგი,
ვერ გერწმუნები ერთში გენიოსს —
შენ გადმოგვევლოს მგრგვინავი თერგი,
და თერგის წყალი არ დაგელიოს.

მითხარ, მაშ მისი ამბოხი სული,
ლაგამის გლეჯა და ხმა მქუხარი,
განახლებისას ვით შერთე სურვილს
და შენს ქვეყანას როგორ უთხარი!

ან ვით მოგრიხე და მოიყოლე,
ორბელიანის კალმით ქებული,
ვით ჩაუყენე ძარღვში სტრიქონებს
ვეფხი დარიალს დაჯახებულში!..

რომ ხალხში გასულს ხალხის იმედად
გეთხზა ჰიმნები გულს დანერგული,
გემცნო დაცემა ძველთა მღვიმეთა
და ამბოხება გემცნო თერგული!..

მე ამ სიმართლეს ვერ დაგიჯერებ,
ვერ გერწმუნები ბრძენს და გენიოსს,
გადმოსცდენოდე თერგის კიდევს —
და თერგის წყალი არ დაგელიოს.

მუიხკეის გოდება

მზეს შესცინოდა მყინვარი მკაცრი,
სქელი ნისლეების რძით განაბანი:
— ქართლის მიწაზე დაეცა კაცი,
პოეზიაში მზის თანაბარი...

დაეცა მარად სიცოცხლის მდომი
და მშობლიური ტირის ყვარელი
დაეცა ქართლის ჭარმაგი ლომი,
ქართველის ვარამით გაუხარელი.

ჩემო ნისლებო, გოდებას ამდენს
ველარ ავიტან მისი მნახველი;
ჩემო ნისლებო, მეშვიდე ცამდე
წაიღეთ ჩემი სევდა, ნალველი!

ჩემო ტოლებო, — მთებო დიადნო,
ამომავალ მზით ხალხს რომ ახარებთ,
დე მოგონებამ ცრემლად იავდროს,
თავი დახარეთ!..

სწორუპოვარო ბუღბუღო,
ბუღბუღო ხმადიდებულო,
ჩვენი სამშობლოს ურმულო,
ცაზე ვარსკვლავთა კრებულო;

ორბებო ფრთაელვიანო,
სივრცეში თვალგაქცეულო,
ალაზნის წყალო გვიანო,
ალაზნის ველო ვრცეულო;

თერგო, იქ დამლონებელო,
აქ ალტაცებაე მზიანო,
ილიას შთამგონებელო,
მისი ხმის თანაზიარო;

ვაჟაე — მზეგულა ფშაველო,
არაგვო, იალაღებო,
ქართულო მიწაე მტკაველო,
პოეზიის ცის თაღებო;

სამშობლო, ცასნივოსანო,
უბინდებელო, მზიანო,
შოთაე — მგოსანთა მგოსანო,
დიადო, მზისჩანგიანო;

ქარმუხლა ბლაქიაშვილო,
დღეს ბედნიერო ქართველო,
შენც გაზაფხულო გაშლილო,
სიმღერად ამოსათქმელო, —

აჟღერდით, ასხივმცინარდით,
გაჰქრეს თუ სადმე ჩრდილია:
მთებიდან ზღვების პირამდი
მზედ ანთებულა ილია.

ილია ჭავჭავაძე და ახალგაზრდა მწერლები

ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის — ილია ჭავჭავაძის ახალგაზრდობა საუკეთესო ნიმუშია იმისათვის თუ, როგორ უნდა ემზადებოდეს ახალგაზრდა ისეთი საპასუხისმგებლო საქმისათვის, როგორც მწერლობაა.

ადამიანი, რომელმაც საფუძველი დაუდო ჩვენში მხატვრულ რეალიზმს და დააფუძნა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, დიდხანს მუყაითად შრომობდა და სწავლობდა.

ნიჭი, რომელიც ბავშვობაშივე გამოამჟღავნა ილიამ, თანდათან ფრთებს ისხამდა, იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა ყოველდღიური ჯაფით წიგნზე და დაულალავი მუშაობით და მეცადინეობით.

ბეჯითობა და მუყაითობა მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო ილიასათვის დამახასიათებელი, სიჭაბუკეში მიღებულ ცოდნას ილია სიკვდილამდის აღრმავებდა და აფართოებდა.

ჯერ კიდევ სკოლის ნიშნები მოწმობენ ილიას დიდ სიყვარულს ქართული ენისადმი, რომლის გათანადროულებსა და დაწმენდისათვის შემდეგ ბევრი გააკეთა.

ილია ჭავჭავაძის გონებრივი თვითგამორკვევისა და მომწიფებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მუშაობის პეტერბურგის პერიოდი. სტუდენტობის დროს ჩამოყალიბდა ილიას იდეალური პოეზიაში და ის ძირითადი შეხედულება ხელოვნებასა და ლიტერატურაზე კერძოდ, რომლისთვისაც შემდეგ არასდროს აღარ უღალატნია.

ნიკო ნიკოლაძის გადმოცემით ილია ამ დროს ისე გაუტაცნია მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსების — გოეთეს, ბაირონისა და შილლერის კითხვას, რომ სხვები გაცეცხლებულიც კი ყოფილან — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის მხატვრული ლიტერატურით ჩვეულებრივზე მეტად დაინტერესებით.

კობტა აბხაზის მოწმობით ილია თურმე ბევრს კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს და ამასთან ძლიერ ეტანებოდა პოლიტიკურ-ეკონომიურ შინაარსის წიგნებსაც. ეგზამენები, რომ მოახლოვდებოდა — მოგვითხრობს აბხაზი — ილია დღედაღამეში ხშირად 18 — 20 საათს მუშაობდა. რამდენჯერ მინახავს წიგნით ხელში ჩასძინებია და მერე ისევ გაუგრძელებია წიგნის კითხვაო.

ილიას მწერლისათვის აუცილებლად მიაჩნდა უცხო ენების ცოდნა. მან ეს სათანადო პირობების უქონლობის გამო ვერ მოახერხა, არტურ ლეისტის სიტყვით ილია მუდამ სწუხდა, რომ გოეთეს და შილერის წაკითხვა არ შეეძლო ორიგინალში და რომ უკვე ხანში შესული და მოუცლელი ვეღარ შესძლებდა ამ ნაკლის გამოსწორებას. — ილიამ უცხო ენები არ იცოდა და ამას სწუხდა, ხშირად სინანულსაც გამოსთქვამდა, რომ თავის დროზე ეს ნაკლი ვერ შეივსო-ო, გადმოგვცემს. ი. მანსვეტაშვილიც (გვ. 133).

ილია ქავჭავაძე იყო ტიპი უნივერსალური დამტევობისა. მწერლობა და საბანკო საქმე, წერა-კითხვის საზოგადოება და ქართული თეატრი, საადგილმამულო საქმეები და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა — მისი მოღვაწეობის ერთნაირად ნაყოფიერი დარგები იყო.

50 წლის განმავლობაში ილია ქართული კულტურის განვითარების ცენტრში იდგა და არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი კულტურულ-საზოგადოებრივი საქმე არ გაკეთებულა ამ ხნის მანძილზე, რომლის თაოსანი და თანამგრძნობი ილია არ ყოფილიყოს.

მე-19 საუკუნის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე ყველა საჭირობოროტო, ყოველდღიურ საკითხებს ეხმაურებოდა და ეს საკითხები უმეტესად მისი ხელმძღვანელობით წყდებოდა. მისი ენერჯია და დიდი ერუდიცია ყველგან ნახულობდა შესაფერ ნიადაგს ღრმა კვალის აღსაბეჭდავად. ილია შორს იყო კუთვნილად გაგებულ პროფესიონალიზმისაგან.

ახალგაზრდა ილიამ თავის მოწოდებად სწორედ სამწერლო საქმე დაინახა, მაგრამ იგი ერთი წუთით არ მოსწყვეტია ცხოვრებას, პირიქით, უფრო ღრმად შეიჭრა მასში და შემოქმედებაც ამ ცხოვრების მრავალფეროვნებით გაამდიდრა.

* *

საქართველოში დაბრუნებისთანავე მოუხდა ილიას პირველი ბრძოლების გადახდა. ამ ბრძოლების მოსაგებად ილიას ნიჭიც ეყოფოდა და გონებრივი შეიარაღებაც, მაგრამ ილია მაინც ეძებდა თანამებრძოლებს, აღამიანებს, რომლებიც იდეით და საქმით მასთან იქნებოდნენ.

ილიამ თავის გარშემო დარაზმა მთელი ჯგუფი ახალგაზრდობისა („თერგდალეულები“) და ეს ჯგუფი შემდეგ იმ დიდ თაობად გადაიქცა, რომელთა მუშაობაც ასე ნაყოფიერი გახდა ქართული კულტურისა და კერძოდ მწერლობის განვითარებისათვის.

ილიას ესმოდა პერიოდული პრესის საჭიროება და აუცილებლობა, ამ პრესის როლი ახალი იდეური მიმდინარეობის მომზადებაში. ჯერ კიდევ 1863 წელს დაარსებულ ურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამოაჩინა ილიამ ბევრი ახალი და საინტერესო სახელი. ხოლო შემდეგ, როცა „ივერია“ დააყენა. მკვიდრ ნიადაგზე, ეს გაზეთი ბევრი ახალი მწერლისათვის წამდიდრებდა. აკვნად იქცა.

ჯველა ნიჭიერი ახალგაზრდ^დ ელოდა ილიას ყურადღებას, რადგანაც მისი ყურადღება იყო ის ვიზა, რომელიც შემდეგ გზას უხსნიდა, როგორც ბექდვის ისე საზოგადოებრივ აღიარებისაკენ. ილია ამ ყურადღებას არ აგვიანებდა, — თუ კი ღირსეულს დაინახავდა, თვითონ უკვლევდა გზას და ეხმარებოდა ზრდაში.

„ივერიის“ გამომცემლობის მატერიალური განსაზღვრულობა ხელს არ უშლიდა მის რედაქტორს სარედაქციო შტატის გადიდებაში, თუ კი უნარიან და ნიჭიერ ახალგაზრდას იპოვიდა. სწორედ ილიას „ივერიაში“ აღიზარდა ქართველ ჟურნალისტების მთელი თაობა, რომელთაგან ზოგიერთმა ჩვენ დრომდეც მოაღწია.

გაზეთი „ივერია“ ილიამ ახალგაზრდა კადრების აკვნად გადააქცია. იგი სათუთად არჩევდა უამრავი მასალიდან კარგს და გამომხეურების ღირსს. ილიას არ მოსწონდა ახალგაზრდა, რომელიც მოგონილი ხმით სხვისი გადმოღებით იწყებდა წერას.

„თუ ლექსში შეგხვდეთ სიტყვები: საგანი, ფიგურა, ვარდი, ბულბული, მთვარე და სხვა ამისთანები, ბოლომდე ნულარ ჩაიკითხავთ, გვერდზე გადასდეთ, დროს ნუ დაჰკარგავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოდვილარი, ლექსად ნაჯღაბნი“ — იმ არიგებდა ილია „ივერიის“ რედაქციის მომუშავეებს (ი. მანსვეტაშვილი. მრგონებანი გვ. 101). აქედან სჩანს, როგორ ეჯავრებოდა ილიას როგორც უხეირო პროზაულობა (საგანი, ფიგურა), ისე გაპრანჭული ყალბი რომანტულობა: (ვარდი, ბულბული), რაც მწერლობაში ბედის მცდელ ახალგაზრდებს ახასიათებდათ.

ილიას აღტაცებას და სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა ბედნიერი შემთხვევა ვინმე ნიჭიერს და ყურადღების ღირსს გამოაჩენდა. მოვიგონოთ ვაჟაფშაველას მაგალითი, რომლის გამოჩენამაც ილიას არა მარტო რედაქტორული კმაყოფილება აგრძნობინა, არამედ ნიკოლოზ ბართაშვილის კვალში ჩამდგარი ახალგაზრდაც დაანახა.

„—ვაჟამ თავისი „მოხუცის ნათქვამი“ მოგვიტანა „ივერიაში“ დასაბეჭდად — მოგვითხრობს ივერიის რედაქციის თანამშრომელი ი. მანსვეტაშვილი — რედაქციაში შევიკრიბენით თანამშრომლები. ხელთაწერი წავიკითხეთ. მკითხველის მოვალეობა კისრად ედვა გიგა ყიფშიძეს, რომელსაც რედაქციის მედავითნეს ვეძახდით. გიგამ თავისებურად გრძნობით გადააბულბულა.

— გიგა, აბა ერაი კიდევ გადაიკითხე, — ეუბნება ილია. გიგამ გადაიკითხა, ილია დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობოდა დიდი შთაბეჭდილება იქონია წაკითხულმა. მერე, თითქოს ძილიდგან გამოერკვაო, ილიამ აღტაცებით წამოიძახა შემდეგი სიტყვები, რომელიც ბელინსკისებურად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: — არა, ჩვენ ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დაუეთმოთ — ი. მანსვეტაშვილი. მრგონებანი. გვ. 107).

ილია ხელგაშლილი მიეგება ვაჟავშაველას. სისტემატურად ბეჭდავდა და ეხმარებოდა. იმისთვის, რომ ახალგაზრდა პოეტს შემოქმედებითი მუშაობა გაადვილებოდა, ილიამ იგი „ივერიის“ რედაქციაში მიიწვია სამუშაოდ და ჯამაგირი დაუნიშნა. ვაჟა რედაქციის დავალების შესრულების ნაცვლად საკუთარ ლექსებზე მუშაობდა და როცა ილიამ პოეტი ამ დღეში ნახა, სამსახურიდან გაანთავისუფლა; სამაგიეროდ თვიური ჯამაგირი გაუჩინა იმ პირობით, რომ ვაჟას სისტემატურად მიეწოდებინა მხატვრული მასალა „ივერიისათვის“. ილიამ იცოდა ოფიციალური საქმიანობის ურთიერთობა და ინტიმური დაახლოებაც. არც ახალგაზრდა მწერლებს ყოფილან ხოლმე იშვიათი სტუმრები საგურამოს მამულში გამართულ ცნობილ წვეულებებზე.



ქვეყნიერობაზედ არ არის, ჩვენის ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატორობაა. ცარიელი, მოუმზადებელი, უწვრთნელი ნიჭი არგადახალისებელი მადანია და ამიტომაც ბევრს ვერას შესძლებს ლიტერატურის სარბიელზედ“-ო ამბობს ილია. ჭავჭავაძე ერთგან (ტ. IX — გვ. 30).

ილია ყველგან ხაზს უსვამს იმ ვარემოებას, რომ მცირემცოდნეობა, ანბანის დაძლევა არ კმარა მწერლად გახდომისათვის.

იგი ყველგან მიუთითებს, რომ საშწერლო გზა არ არის გაადვილებული, სხვა საქმეში გამოუსადეგარი კაცის გზა. — „ბევრს ჩვენგანს, ვისაც ანაბანა დაუძლევია და სხვაში არსად არ არიან გამოსადეგნი, აუღიათ თავი და ლიტერატორობენ, ეგ ხელობა ჩვენში მეტად გაადვილებულია“-ო, მწარედ შენიშნავს ილია. (ტ. IX — 41).

ილიას სარედაქციო მაგიდის უჯრა მუდამ სავსე ყოფილა ლექსებით. ილია, რომელიც უამრავი საზოგადო საქმით იყო დატვირთული, იმდენ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა ავტორებისადმი, რომ თვითონ არჩევდა მათ ნამუშევარს, აძლევდა მითითებას და ზოგჯერ წერილითაც კი უპასუხებდა.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ილიას წერილი: „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“. ამ წერილში ილია დიდის სიყვარულით და მორიდებით ესაუბრება ახალგაზრდა მოყვარულებს, ბევრ რამეს მეტად დამაჯერებლად უსაბუთებს საკუთარი გამოცდილებიდან, მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებიდან და საერთოდ ცხოვრებაზე დაკვირვებიდან.

ეს წერილი კლასიკური ნიმუშია დიდი მწერლის ახალგაზრდებთან დამოკიდებულების გასაცნობად, მასში ბევრი რამ უდავო ქეშმარიტებასათუთად და ლამაზადაა ნათქვამი, ისე რომ იგი დღესაც გამოდგება ქუთის მასწავლებლად.

ილია ამ წერილში აუჩქარებლად და სათუთად ურჩევს ამ უსუსურ-
ყმაწვილებს, შეიგნონ სწავლის მძიმე მოვალეობა, რომელიც ჯერ კიდევ
წინა აქვთ მათ. იგი აფრთხილებს ამ ახალგაზრდებს, რომ ხალისის დახშვა-
ში და გაცუდებაში არ ჩაუთვალონ ეს რჩევა, რადგან: „ხალისი კარგი სა-
ქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთაშესხმულია, რომ
სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი
ძალდონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელის ხალისით გახდეს
რასმე“.

ილია ხაზს უსვამს სწავლის, მეცნიერების დაუფლების აუცილებლო-
ბას: „თუ ღმერთს — ამბობს იგი, — პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენ-
თვის, ჩვენო პატარა მეგობრებო (რამდენი სიტბოა ამ სტრიქონებში, და რა
შზრუნველი ხმა ისმის!) ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ,
იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზე გამოიხეთქებს, როგორც
ანკარა წყარო კლდის გულიდამა, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ
მაგ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერს ძუძუს... ჯერ თქვენ
შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე“...

ილიას სჯერა მოწოდების, ნიჭის აუცილებლობის და თუ კი ასეთს
დაინახავს, ცდილობს სწორი გზა უჩვენოს, დაეხმაროს და ზრდაში ხელი
შეუწყოს, რადგან ცხოვრების ზღვაში: „კაცი გემია, ნიჭი —
აფრად მ.ე.ც.ნი.ე.ბ.ა.ს.ა.ქე“. ამ მშვენიერი აფორისტულ-
ი შედარების გამართლება იყო ილიას შესანიშნავი ცხოვრება და შე-
მოქმედება. იგი იყო საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემზა-
დებოდეს და სწავლობდეს ახალგაზრდა, რომელიც მწერლობას აპირებს.
იგი იყო მთელ სიცოცხლეში შეუწინებლად საკუთარ თავზე დაულა-
ლავად მომუშავე და მას ყველაზე კარგად ჰქონდა მომარჯვებული „საქე
შეცნიერებისა“.

დიდი სიყვარული და ინტერესი ილიას შემოქმედებისადმი ახალგა-
ზრდებს ავალებს ერთგულნი იყვნენ ილიას რჩევისა: „ჯერ თვით შე-
იძინონ და მერე სხვებს შესძინონ რამე“.

ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება

როდესაც თვალს გადავაკლებთ მხატვრული ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა შემოქმედებას, შეუძლებელია, რომ ჩვენი ყურადღება არ მიიპყროს ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ: შემოქმედების უმაღლეს ძეგლებს მეტ წილად ხალხური შემოქმედება უდევს საფუძვლად. პომპროსიდან მოყოლებული ვაჟა-ფშაველამდე, პოეზიის უდიდესი წარმომადგენლები, ხალხური პოეზიის საგახძურს მიმართავენ და ამ მტკიცე ნიადაგზე დამყარებულნი ჰქმნიდნენ თავის უკვდავ ნაწარმოებთ. ილია და ოდისე, თქმულება პრომეთეს შესახებ, (რომელიც ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული დღემდე, პოეზიის სამყაროში მრავალმა ავტორმა აქცია შემოქმედების საგნად) შაჰ-ნამე, ქილილა და დამანა, ვეფხის-გა ოსანი, დეკამერონი, დონ-კიხოტი, ფაუსტი, სიბრძნე-სიცრუე და სხვ. მრავალი. თითქმის ძნელი იქნება ისეთი დიდი ავტორის დასახელება, რომელსაც არ მიემართოს ხალხური შემოქმედების უკვდავ წყაროსთვის და თავისი პოეტური გზნება ხალხური გენიით არ გაემახვილებინოს.

პოეზიის ამ დიდი სალაროდან დღესაც ბევრი შემომქმედი იღებს ფაბულებს, ოსტატობის ხერხებს, ლექსიკონს და ყველაფერს, რაც კი გამომსახველ ძალას მისცემს შემოქმედებას. ალბათ ბუნებრივი უნდა იყოს ეს მოვლენა, რადგან ხალხის გენიას ეს თემები, ფაბულები თუ კონსტრუქციის პრინციპები საუკუნეთა განმავლობაში შეუმუშავებია.

ხშირად ხალხური პოეზია და საერთოდ ხელოვნება ისეთ ნიმუშებს გვაძლევს, რომელთა გვერდითაც იჩრდილება დიდი ავტორების ქმნილებაც-კი. შორს რომ არ წავიდეთ, ქართული ფოლკლორის ქვეყანაში ბევრი ისეთი შედეგური გვეგულება, რომელნიც დაამშვენებდნენ უდიდესი ოსტატების შემოქმედებას. ვინ იტყვის, რომ „ლექი ვეფხისა და მოყმისა“ გენიალური ლექსი არ არის? ან „თავფარავნელი ჭაბუკი“, ან „ბინდის ფერია სოფელი“ და მრავალი სხვა? ან ვინ იტყვის, რომ უდიდესი ძეგლი არ არის ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“, ან „ასფურცელა“, ან „ეთერი“ და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

ხალხური პოეზიის მდიდარ ქვეყანას ყველა დიდი პოეტი პათეტიურად განიცდიდა და მათ შორის ი. ჭავჭავაძეც. ღრმად და მტკიცედ მოყვარული ხალხის თავისებური გენიისა. აქ მარტო სიყვარულიც არ იყო. აქ გავებაც იყო, დიდი ჭკუის მუშაობა, რაც ი. ჭავჭავაძეს საგანგებოდ ახასიათებს შემოქმედების ყოველ სფეროში.

ი. ჭავჭავაძე დიდი შეგნებითა და მოწიწებით მივიდა ხალხური შემოქმედების პანთეონთან. ოსტატის მახვილი ალლოთი ჩასწვდა იმ დიდ ხელოვნებას, რომელიც ხალხის ჰანგებსა თუ სიტყვებში იყო ჩაქსოვილი, და სცადა, კი არ გადმოეღო, არამედ განეცადა ის დიდი სასიცოცხლო ძალა, ის „დვრიტა“, რომელიც ამ შემოქმედებას სჭვალავდა და ფუძედ ედო.

საზოგადოდ ხალხური შემოქმედების საძირკვლად დადება ინდივიდუალურ შემოქმედებისათვის ორი გზითა ჯდებოდა: პირდაპირი და არაპირდაპირი გზით. პირველის სახით ჩვენ ვგულისხმობთ ხალხური და ინდივიდუალური შემოქმედების ისეთ ურთიერთობას, როდესაც პირველი მეორეში დოკუმენტალურად გადმოდის, და ის ფაქტურა, რომელიც ხალხურ შემოქმედებასა აქვს, შემდგომ ნაწილად შედის ამა თუ იმ ავტორის შემოქმედებაში, ე. ი. როდესაც ხალხური შემოქმედების შინაარსიც და ფორმაც, თავისი ძირითადი მასით გადადის ინდივიდუალურ შემოქმედებაში, აქ იგი იქცევა პოეტის ინდივიდუალურ აქცენტის საგნად, რაც განსაზღვრულ თავისებურობის იერს აძლევს, და ამ სახით მკვიდრდება ლიტერატურაში.

მეორე შემთხვევაში ხალხური შემოქმედება უცვლელად არ არის გადასული ინდივიდუალურ შემოქმედებაში, მაგრამ მთლიანად ამ ხალხური შემოქმედების „სული“ ისე არის შემკვრელ ფერმენტად გადაქცეული, რომ წინ წამოსულ ინდივიდუალურ შემოქმედების უკან, სრულიად გარკვევით გრძნობა შედედებული და მბორგავი ხალხური გენია. ი. ჭავჭავაძე ამ მეორე წყების ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის.

კითხულობთ ი. ჭავჭავაძის ნაწერებს და სრულიად გარკვეულად გრძნობთ, რომ ეს კაცი კი არ გიწერთ, არამედ გესაუბრებათ, და გესაუბრებათ იმ ლექსიკონით კი არა, რომელიც წიგნებიდან მოდის, ხშირად სქემად ქცეული და გამოფიტული, არამედ ცოცხალი სიტყვით, აქ თქვენ ძარღვსა გრძნობთ, ხორცს, და თუ გნებავთ იმ სინოცივრეს, რომელიც მხოლოდ დედამიწასა აქვს.

ჩვენ, მწიგნობრობას შეჩვეულთ, ხშირად გვეჩვენება, რომ ი. ჭავჭავაძის ენა რალაც თავისებურია; ამ ენას აქვს თავისი კონსტრუქცია, თავისი სინტაქსი და თავისი მხატვრული სურნელებაც.

ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებს მწიგნობარ წრეებზე არა ნაკლებ გლეხიც გაიგებს, რადგან ი. ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში სწორედ ეს ცოცხალი ხალხური ენა გააბატონა და, როგორც სალი სათავე, დაუპირისპირა იმ ენას, რომელიც წიგნებში იყო ფეხმომტკიცებული, სხვადასხვა „თეორეტიკებით“ დამძიმებული და უსიცოცხლო. — „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანაბანთ თეორეტიკა“—ო. ამბობს ი. ჭავჭავაძე (ტ. IV, გვ. 47) და ამ ხალხის ენის მიმართ თაყვანის ცემაში პრეტი იქამდის მიდის, რომ „უკადრის“ სიტყვებსაც კი საკადრისად აცხადებს: — „ამასაც მოვახსენებთ, რომ უკადრისი სიტყვები ქვეყანაზე არ არიან. მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უვარგისი სიტყვაც არ

არის ქვეყანაზე. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე, ვარგისიანია“. (იქვე, გვ. 53).

ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობა, პოეტისა და ხალხის შორის არსებული დამოკიდებულება: — „ჩვენ ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზე; ეგეც კარგად ვიცით, რომ მაგისთანა ობოლ მარგალიტებს ძალიან იშვიათად მოჰყრის ხოლმე მდინარე ცხოვრებისა. პოეტს ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ჭუნება, შეანძროს თავისი უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე, თავისთავად, უთქვენბრძანებლოდ, ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა. თუნდ რომ იყენენ ეხლა ჩვენში ბაირონის თანასწორნი ნიჭნი, ის ნიჭნი ბაირონის ოდენას თავის დღეში ვერ იქმოდნენ; ის ნიჭნი საზრდოს ვერ იპოვიან ჩვენს ცხოვრებაში; დევს დევის ძუძუ გამოზრდის, და თუ ჩვეულებრივ ადამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქნება“. (იქვე გვ. 49).

ამ სიტყვებში ხელოვნების მთელი ფილოსოფია არის გამოთქმული; ეს იგივე აზრი და ღრმა რწმენა ი. ჭავჭავაძემ „პოეტშიც“ გამოსთქვა:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის-ო“.

ხოლო ამ ერისა თუ ხალხის შემქმედებას, ი. ჭავჭავაძე ისე დიდად აფასებდა, რომ ზოგჯერ ისეთი გრძნობები იპყრობენ, თითქოს მათი სიტყვით: გამოთქმაც უძნელდებაო.

...„სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავაძნეებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირსუკანაო.“ სადა ხარ ეხლა ამ გონიერი სიტყვის მთქმელო? ვიცი სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაც გჭეიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“. (იხ. „კაცია-ადამიანის“ შესაწავლი) ამ შთაგონებული ნათქვამით ი. ჭავჭავაძე დაუნათესავდა იმ დიდ ოსტატებს, რომელნიც ასეთივე სასოებით შესტკეპროდნენ ხალხური შემოქმედების მომხიბლავ დარბაზს და შედიოდნენ შიგ, როგორც „უკვდავების სალაროში“.

პუშკინიც აღტაცებით სწერდა: — „ზღაპარი ზღაპრად და ჩვენი ენა კი თავისთავად რომ ავიღოთ, სად უნდა მივცეთ ის გაშლილობა, თუ არა ზღაპარში. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ რუსული ლაპარაკი ვისწავლოთ ზღაპრების გარეშე? არა, ეს ძნელია, შეუძლებელიც არის. და რა სიმდიდრე, აზრად და შინაარსით ყოველ ჩვენს ანდაზაში! რა ოქროა, ხელში კი არ გივარდება. რა მშვენიერებაა ეს ზღაპრები, თითოეული თითო პოემა არისო“.

გოგოლი რაღაც სტიქიურად აკავშირებდა თავის შემოქმედებას ხალხურ შემოქმედებასთან და ასეთი აღმაფრენით მიმართავდა: — „ჩემო სიზარულო, ჩემო სიცოცხლეც შაირებო, როგორ მიყვარხართო“... ლ. ტოლსტოი დიდად აფასებდა ხალხურ პოეზიას და ინდივიდუალურ ხელოვნე-

ბაზე მალღა აყენებდა ხალხური შემოქმედების უსახელო ძეგლებს...
ი. ჭავჭავაძე ღრმად განიცდიდა ხალხური შემოქმედების ძალას და ყველ-
გან, სადაც კი ეს „ხალხის გენია“ მეტყველებდა, საგანგებოდ ეხმაურე-
ბოდა, უკვირდებოდა და თავისში გადმოჰქონდა ის სასიცოცხლო ელექსი-
ონი, რომელიც ამ „დავიწყებულ ქვეყანაში“ ეგულებოდა. ამ საფუძველზე
იყო ნაწარმი იმისი პოეტური სული. ალბათ, ყვარლის მეზობრე ბიჭებთან
ნამყოფობით არის მობერილი ის მელანქოლიური სიო, რომელიც „კაკო-
ყაჩაღში“ მიმოჰქროს და ზაქროს პირით მეტყველებს:

• ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ,
და აქამდინა დამრჩნენ ხსოვნაში,
ძველებურს დროსა შემაყვარებდნენ,
იმ ჩემს მხიარულ ყმაწვილობაში.
ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა,
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომაღბენდა, ხან მაღონებდა...

საგულისხმო არის, რომ ი. ჭავჭავაძე ყველგან, სადაც კი ხალხური შე-
მოქმედების მიერ გამოწვეულ განცდებს აგვიწერს, ყველგან რაღაც რო-
მანტიული სულის საღმობა გვაქვს, და იმავე დროს, ამ მელანქოლიის
იქით, დიდი სიმტკიცე და დაკეტილი რწმენა ჯერ გაუღვიძებელი მომავ-
ლისა. ეს გარემოება იმით არის საინტერესო, რომ აქ გამოჩნდა ი. ჭავჭავ-
აძის ღრმად ჩაწვდენის უნარი და ის შემოქმედებითი გარდაქმნის, სხვად
ქცევის ნიჭი, რომლის გარეშეც დიდი შემოქმედება შეუძლებელია.

ი. ჭავჭავაძე გლეხის გულის მესაიდუმლეა. ის ამ გულში ღრმად არის
ჩახედული და ხედავს იმ კენესასაც, რომელსაც ეს დაწიხლული გლეხი
ხშირად არ ამბობდა, და თუ იტყოდა „ურმულისა“ და სხვა „მკვენსარე“
სიმღერების სახით. და ამის გვერდით ჰხედავდა იმ სიმტკიცესა და სუ-
ლის მხნეობასაც, რომლის ძალითაც ეს გლეხი ებრძოდა თავის სიდუხჭი-
რეს და თვალ-გასწორებით მისციებოდა რაღაც შორ სივრცეს, სადაც
ელოდა თავისი „ბედის ვარსკვლავის“ გამოჩენას.

...მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჰლულუნებდა.
ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდევ, ვით ღრუბელს ქარი...

ი. ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს ფოლკლორის ქვეყანას:

— „შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს“...

„მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა“...
„და ისევ ზღაპარს გლებურს მორიგად,
თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით“...

„ყოველი ეს დიად საგულისხმოა; და თუმცა სატკენია, მაგრამ საწყენი კი არ არის, რა უყოთ? ჩვენმა ბედმა ეგრე გასჭრა. ამ შემთხვევაში ერთი ზღაპარი მოგვაგონდა დედინაცვალზედ, მაგრამ მეტად გძელია და იმისი ამბავი შორს წავა“... (ტ. VI, გვ. 331).

ანდაზებს ხომ ყოველ ფეხის გადადგმაზე ხმარობს, ჩვენ დავთვალეთ და ი. ჭავჭავაძის ნახმარი აქვს 292 ანდაზა. ზოგი მათგანი რამდენჯერმე და სხვა და სხვა ვარიაციითა თუ რიტონაციით. ისე რომ ანდაზათა ხმარების რიცხვი 600-მდე აღის. ეს კი ისეთი დიდი რიცხვი არის, რომ შეუძლებელია ამან გარკვეული იერი არ დასდოს ი. ჭავჭავაძის ნაწერებს.

არაკებს, იგავეებს, გამოცანებს ჩვენი პოეტი ძალრან ხშირად მიმართავს. და ეს ფოლკლორული ქვეყანა იმდენად აქვს დაუფლებული, რომ შელოცვებიც კი მხატვრული ფაქტურის ელემენტად გადაუქცევია:

— „ჯამით წმინდა წყალი მომიტანე, ერთი შავ-ტარა დანა; ნახშირი და ახალი ხორბალი...“

გოგომ მოიტან ყველაფერი. ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჯერ ერთი ხორბლის მარცვალი, აილო ხელში დანა და ნახშირი, და დაიწყო ტუჩების ცმაცუნი, მითომ და ულოცავს. მერე გაუშტერა თვალი წყალსა... დიად: თელეთი გიშველიდათ, — კიდევ შეგეწიოთ იმისი მადლი, — თელეთი გიშველიდათ, რომ თქვენს სახლში ჯადო არა ყოფილიყო“...

და ეს სცენა, მკითხავის შელოცვისა ლუარსაბის ოჯახში, ამ ფოლკლორული მასალის გამოყენებით ისე არის გაცოცხლებული, რომ სინამდვილის ილუზიასა ჰქმნის და დიდი დამაჯერებლობა შეაქვს მთელი მოთხრობის აღნაგობაში.

გონებრივი სიბნელის, შეგნების განუვითარებლობის სურათის დასახატად პოეტი ოსტატურად გადაშლის ცრუმორწმუნეობის სურათებს, რომ თავის სიტყვას მეტი სიმკვეთრე მისცეს და საქადაგებელ აზრებს-კი მეტად გამოკვეთილობა.

—მოგესხენებათ. შენი ჭირიმე, კუდიანის საქმე ეგ არის.

— განა ის კუდიანი იყო?

— მაშ? კუდიანობის ღამეს. ჭიაკოკონობას, შენი ჭირიმე გადაჯდებიან ხოლმე. აი დასწყევლოს ღმერთმა. — ცოცხზედა და თავის პატონთან გაფრინდებიან ხოლმე. მოგახსენებენ, ჩიტურაშვილის დედა თურმე ზუხარში აძვრება ხოლმე, ცოცხზედ — როგორც ცხენზედ — შეჯდება და ჭერი ბიჭო. გაუტევს ხოლმე...“

ეს ფოლკლორული ელემენტები, მოტივაციის თვალსაზრისით, პოეტს იშვიათი ოსტატობით ჩაუქსოვებია ამბავის განვითარებაში, და ეს მოტივაცია. სამ-პირად გვეჩვენება: ა) ადგილობრივი კოლორის შესაქმნელად, ბ) — სალიტერატურო ენის დაბლა ჩამოსაყვანად, რომ განახლებების

გზით იგი უფრო გაღონიერდეს და მეტი განვითარება შეძლოს. და გ) თხრობის მანერის დასადგენად. რასაკვირველია, ძირითადი მიზანი კი ის არის, რომ შეჰქმნას დასახატი წრის ყოფიერებითი სურათი, დაახასიათოს ეს წრე ან ამ წრის პერსონაჟები და თემისა და სტილის თავისებური შეხამებით განსაზღვრული შთაბეჭდილება გამოიწვიოს.

ი. ჭავჭავაძე ღრმად არის ჩახედული ხალხური შემოქმედების ძეგლთა ქვეყანაში და იცის იმისი არა მხოლოდ მხატვრული ღირებულება, არამედ მეცნიერული ვითარებაც. ამ მხრივ საგულისხმო არის ი. ჭავჭავაძის წერილი — პამფლეტი, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“. რასაკვირველია, ეს პოლემიკური წერილი მეცნიერულ ტრაქტატად არ გამოდგება, მაგრამ გზა-და-გზა ი. ჭავჭავაძეს სავესებით მეცნიერული მოსაზრებები აქვს წამოყენებული, და ფრთხილად საგულისხმოც. მართალია, წერილი ირონიულ ტონებში არის გავლებული, მაგრამ ეს მაინც ხელს არ გვიშლის, რომ ჩვენი მწერლის მსჯელობაში მართლა მეცნიერული აზროვნება დავინახოთ. — „ახედავთ, ბატონებო, რა მეცნიერული გზით მივდივარ. მაშ... განა ტყუილი გეგონათ, რომ ბრძენი ვარ-მეთქი. ბრძენი ვარ, მაშ რა ჯანაბა ვარ“-ო. დიახ. ამ პაროდულ ფარდის იქით სერიოზული მოაზროვნე დგას და სალიტერატურო ქვეყნის მოვლენებზე ღრმად ჩაწვდენილ აზრებს გვეუბნება:

— „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დსწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს?... რა უგავთ ერთმანეთსა? საბა ორბელიანი, — ეს ბრძენი დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე? მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნობო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა მართალი, მაშასადამე სიცრუეა... საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ქეშმარიტებას ზედ-მიწევნით გვიხატავს ხორცმესხმულად, ქკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად... ამ მხრით, ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე—შიგ ჩასახული აზრია. ერთიც, მეორეც და მესამეც, ხელოვნური ხორცთხმაა, საჭკუო, საზნეო სწავლა-შთაგონებისა, განსახოვნებაა აზრისა, ისეთი განსახოვნება, რომელიც მართო შემოქმედებითის ნიჭის საიდუმლოებას შეადგენს“... მწერალი განაგრძობს:

— „ჩვენი ზღაპარი ტყუილად კი არ იწყება „იყო და არა იყო რა-თი“. იყო შიგ ჩასახული აზრია, და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა-კი იყო რა“ ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულის-ყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც-კი მართალი გგონია, და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს

უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწულს სჩადის ხელოვნება“. ამ მარტივად თქმულ მოსაზრებებში დიდი სიბრძნე არის და შოვლონის ანალიზის სიძლიერე. აქ ხელოვნების მთელი ფილოსოფია არის მოცემული, მართალია, შეკუმშულად, მაგრამ ისე მკაფიოდ, რომ პოეტის მსოფლმხედველობის გასაშლელად არავითარი სიძნელე არ არსებობს. ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ ი. ჭავჭავაძის შეხედულებას შემოქმედების შესახებ და კარგად ვგრძნობთ, თუ რა დიდ ძალად მიაჩნია მხატვრული ოსტატობის უნარი, მოგონილი ამბავი, სიცრუე ხელოვნების სასწაულით ისეთ ამბავად აქციო, რომ მართალსა ჰგავდეს.

პოეტი განაგრძობს: — „როცა მთქმელი ასე იწყებს ზღაპარს: „იყო და არა-კი იყო რაო“, თითქო თავიდანვე ჰსურს გაუწყოთ, რომ არ-ყოფილს, არ-არსებულ ამბავს გეუბნებოდ, ხოლო სულს, ადევნე, გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგანაც ამბავი მართლ აზრის გამოსასახვად არის აქ ჩართული და მოგონილიო...

...ზღაპარი, არაკი, იგავი, მხოლოდ მაშინ აიყოლიებს ხოლმე გატაცებით ადამიანის გულის-ყურს. როცა გამცნებთ რასმე საჭკუოს და საზნეოს, მართალს, რომელიც ისე შიშვლად, ხორცშეუსხმელად, უსახოდ, უსურათოდ, უფერადოდ ყველასთვის ადვილად დასანახი არ არის... აქ სიცრუე ხატებაა, განსახიერებაა სიბრძნისა. ამიტომაც ასეთი სიცრუე არამც თუ ცოდვია... არამედ მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილნი არიან ეზოპე, ლაფონტენი. გრიმები-ძმანი. ანდერსენი. კრილოვი. საბა ორბელიანი და სხვანი, ამ სახით მქადაგებლნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა. თითონ საღმრთო წერილის იგავნი ამავე ორკეც თვისებისა და ღირსებისანი არიან“...

ილია ჭავჭავაძემ კარგად და ზედმიწევნით მოძებნა ზღაპრის, არაკის და იგავის ნამდვილი ბუნება. მაგრამ ის, რაც ამ სახეებში გამოაჩინა, მხოლოდ მათ საკუთრებად კი არ მიიღო, არამედ მთელი შემოქმედების საფუძვლად გამოაცხადა. აქ ილია ჭავჭავაძემ ერთ ორბიტოში მოაქცია ფოლკლორისა და ინდივიდუალური შემოქმედების ქვეყანა და საერთო პრინციპი მოუძებნა. პირველ შეხედვით. თითქოს აქაც ი. ჭავჭავაძე არაფერს ახალს არ ამბობდეს, იმდენად მარტივი და ნათელია იმისი აზროვნება. მაგრამ არსებითად ასე როდია. აბა ვინმემა სთქვას, რომ ვიქტ. ჰუგოს „საბრალონი“ და ოკაზენ და ნიკელეტის ზღაპარი ერთი და იგივეაო, ან ტოლსტოის „ომი და ზავი“ და „ზღაპარი ოქროს თევზის შესახებ“. ან ლდ „გლახის ნამბობი“. და „ივანე ცისკრის ზღაპარი“. ასეთი გაიგივება ჭკუაში არ დაგვიჯდება. მაგრამ აბა უფრო ღრმად შევხედოთ შოვლონს: მაშინ გამოირკვევა, რომ ამ ძეგლების შემოქმედებითი საფუძველი ერთი და იგივე არის. იმ დროისათვის კი, როდესაც ი. ჭავჭავაძე ამ წერილსა სწერდა, ეს აზრი მეტად თამამი იყო და ახალიც. პოეტი ამბობს: — „მთელი ეგრეთ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხად ჰყოს მართალი. იგიც ამ სათავიდან შობის. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრო-

ბილი ამბავი; რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია და ისეთის შემოქმედებით ხორცთმეხმული, სულჩასახული, რომ კაცს კი არ ეჯავრება, დიდათაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავის დღეში ყოფილან, და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ესლა სცხოვრებენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთმოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვეჩანია. აი, ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ. ქმნა არ-ყოფილისა ყოფილად, მართო შემომქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურ ძალ-ღონეს ქმნისას შემოქმედებას ეძახიან“...

შეიძლება საკითხი შებრუნდეს კიდევ, რომ ჩვენი პოეტის ნათქვამის სისწორე უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს. რაც უნდა მართალი ამბავი იყვეს, თუ ეს ამბავი უხეირო მწერალმა თუ მხატვარმა აქცია თავისი. „შემოქმედების“ საგნად, ამ უხეირობით, ამ მართალ ამბავს ძალას დაუტარავს.

აბა ყური უგდეთ ი. ჭავჭავაძის აზროვნებას, არჩილის პირით რომ ვგამცნო „ოთარაანთ ქვრივში“ — „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი-კი შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მართო ბუნებამ იცის, და ბუნება — ზომ იცი, — რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, ღუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის, და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“... და ამისი მიზეზი, პოეტის აზრით, ის არის, რომ შექმნის ღონე გლვხაკაცობაში დიდი ყოფილა, „იქა სდულს, ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა“.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი პოეტი ისე გადაჭრით და უყოყმანოდ მოსწყდა ისტორიის დაქნილსა და შეკრულ გზას, და გადავიდა იმ ჯერ გაუკვალავ ბილიკზე, რომელზედაც თვით ისტორია უნდა გადმოსულიყო, რადგან ასეთი იყო იმისი წარმართვის აუცილებლობა.

ეს გაუკვალავი ბილიკი მომავალი დემოკრატიის გზა იყო, რისთვისაც ააწყო და აამღერა ჩვენმა პოეტმა თავისი უკვდავი ჩანგი.

აქ სხვათა შორის ერთი მომენტი არის აღსანიშნავი: ი. ჭავჭავაძემ ისე ღრმად განიცადა ხალხის გენია და ისე შეისისხლხორცა, რომ ხშირად იმისი პოეზია და პუბლიცისტიკაც კი ხალხური პოეზიის ძირითად მონტივებს მოგვაგონებს. ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ი. ჭავჭავაძისათვისა ხალხი „მოდის“ საკითხი კი არ იყო, არამედ შინაგანი, სულიერი აგებულობისა, ჭკუით მიღებული და გრძნობით გამთბარი, ან და გრძნობით მიღებული და ჭკუით ცნობილი. აი თუნდ ამ მხრივ შეგხედოთ საკითხს. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე ეროვნული აღორძინებისა და განთავისუფლებისათვის მებრძოლი იყო. ლიბრ-გადაკრული კრიტიკოსები და ბა-

ქია ჟურნალისტები ჩვენს პოეტს უკიუინებდნენ ეროვნულ განსაზღვრუ-
ლობას და კარჩაკეტილ ნაციონალისტობას. რა უნიათოდ და მართლ-
გონებადაქუცმაცებულად მოსჩანს ის ხალხი ი. ჭავჭავაძის მაღალი გო-
ნების და ფართოდ განფენილ გრძნობების გვერდით. — „გონების ნა-
წარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის
კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარ-ტომობის ჩაჩხირება ჭკუის უღონო-
ბას მოასწავებს და სხვას არა-რას. ხელოვნებასა და ერთობ გონების ნა-
წარმოებას გვარ-ტომობა არა აქვს. ერთიცა და მეორეც მთელის კაცობ-
რიობისაა“... (ტ. IX, გვ. 305).

ჩვენი ხალხი ამბობს:

წუთისოფელი რა არი,
ავორებული ქვა არი,
სადაც კი დავიბადებით.
იქვე საფლავი მზა არი,
ყველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი,
ჩვენსა და სომეხებს შუა
განყოფილება რა არი.
თუ კაცი გეტყვის ძმობასა,
ის უფრო კარგი ძმა არი,
თუ ქალი გეტყვის დობასა,
ის უფრო კარგი და არი,
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი,
ისეთი გქონდეს გუნება,
ვით ძოწმენდილი ცა არი.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ხალხური სტილი ისე არის შესული და
ორგანიულად შესისხლბორცებული, რომ ყოვლად შეუძლებელია „ხალ-
ხური ელემენტების“ გამოცალკეება. აქ ყველაფერი ფესვებ-გადგმულია
და სადღაც ღრმა წიაღში ერთმანეთში გადანლართული და მრავალ-
ძარღვად გაშლილი.

ერთი სავანგებო გარემოება უნდა ავლნიშნოთ კიდევ. ი. ჭავჭავაძის
პოეტური მგტყველება, ლექსში იქნება თუ პუბლიცისტურ წერილში,
სოფლური სახეების-საძირკველზე არის დადგენილი, მაგრამ ისე, რომ ეს
„გლახური“ სპეციფიურობა არა სჩანს. არა სჩანს იმის გამო, რომ ი. ჭავ-
ჭავაძემ „ნატურას“ კი არ იმეორებს, არამედ გარდაჰქმნის, და გარდაჰქმნის
ისე, რომ არ წარუხოცოს ის შინაგანი სიმდიდრე, რომელიც იმ ნატურასა
აქვს. პოეტი მხოლოდ იმ მიტმასნილ ელემენტებს ამოირებს, რომელნიც
შემთხვევით აჰკვრიათ. აქ იგივე პროცესები ჰხდებოდა, რაც სხვა შემთხვე-
ვისათვის ი. ჭავჭავაძემ არჩილის პირით ასე გამოსთქვა: — „მე გლახ-კაცს
გუშინდელ ბაღსავით კი არ შევხარი, — ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ,
მე ვჩხრეკავ... გლახი უწმინდურია თავის ტყაპუქით კი არა, ზოგჯერ თა-

ვის გულითაც... მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია, იქა ჰდულს. ძარღვებში
შოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიც. რაც სთქვი,
ეგ ჭუჭყია, ქაფია მდულარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული. ძირში კი
წმინდაა“. ამავე სიტყვებით შეეძლო ეთქვა ი. ჭავჭავაძეს თავისი განწყო-
ბილება იმ „ტეტიურ ენის“ მიხარტ, რომელიც ისე შეიყვარა და რასაც
ისე დაუნდობლად უკიჟინებდნენ „ანბანთ თეორეტიკის“ დაგვიანებული
წარმომადგენლები.

ი. ჭავჭავაძემ ამ „ტეტიურ ენას“ ქაფი და ჭუჭყი მოაშორა და ღირსე-
ულად ამალღებული შემოიყვანა ქართული ლიტერატურის დარბაზში.
ასევე მოექცა ი. ჭავჭავაძე ხალხური პოეზიიდან აღებულ საამბო მასა-
ლასაც. იმისი „განდეგილი“ ფოლკლორულ საფუძველზე არის აგებული.
ანალოგიური თქმულებები საქართველოში, და კერძოდ ხევში, საკმაოდ
არსებობს. მაგრამ პოეტი მიმბაძველის კვალით კი არ მიჰყვა ხალხურ
თქმულებას, არამედ სქემა აიღო, რამდენიმე საუღელტეხილო პუნქტი,
ერთი თუ ორი მოტივი. და ამ მასალაზე დაყრდენით შეჰქმნა ეს უდიდესი
ნაწარმოები. იბადება კითხვა: ჰგავს რითიმე ეს პოემა ხალხურ თქმულე-
ბას? არაფრით. ისევე, როგორც არა ჰგავს შოთა რუსთაველის „ვეფ-
ვის ტყაოსანი“ ხალხურ „ტარიელის ამბავს“, რომელიც ჩვენმა გენია-
ლურმა პოეტმა ისევე დაუღო საფუძველად თავის უკვდავ ქმნილებას.
ისევე არა ჰგავს, როგორც დიდი გოეთეს „ფაუსტი“ იმ ლეგენდას, რო-
შელიც ამ გრანდიოზულ ნაწარმოებს საძირკველად დაედო. დიდი ავტო-
რები ყოველთვის ასე გარდაჰქმნიან იმ შემოქმედებას, რომელსაც თა-
ვის ხალხის წიაღში ჰკრეფენ. იგივე ითქმის ბაზალეთის ტბის ლეგენდის
შესახებ. ი. ჭავჭავაძის ლექსში მთავარი არის ამ თქმულების ახალი სე-
შანტიკა, რაც ხალხურს არა აქვს, და შემოქმედებითი გარდაქმნაც ეს
არის.

ი. ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს ხალხური პოეზიის სხვა მომენტებსაც:
შაგალითად, ბრმა მეფანტურის პირით ამბის მოყოლა:

უქმე დღე იყო. ტვირთმძიმიე და დამაშვრალი,
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა,
იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა მეფანტურე იჯდა ცალკე და მდუმარებდა.
„ეჰ, რას ჰყაყანებთ, — დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა,
შინაც ძლივს ვუძლებთ დღე-მუდამის ჭირს, ვაგლახობას,
აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წადილმა.
ბრმა მეფანტურე: გვითხარ რამე, მამაშვილობას!
გვითხარი რამე, ბერო-კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა...
კარგს მთქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ჩაგრული;
გული გაზრდილი ვაებითა, წვით და დაგვიტა“.
ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში.
სახე ღრუბლვილი გაუნათლდა რაღაც მადლითა,

მისწვდა, აიღო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა:
„მოდით შეიღბო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასართობსა,
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა... და სხვა.

ეს „შესავალი“ მთელი გრანდიოზული სანახაობა არის. პოეტს ზედ-
მიწევნითი სიცხოველით წარმოუდგენია ის დიდი საიდუმლოება, რომელ-
საც ხალხური შემოქმედება წარმოადგენს. და ახლო ჰხედავს იმ შთაგონე-
ბას, რომელიც „ბრმა მეფანტურეს“, რაღაც მადლით, დაღრუბვლილ სა-
ხეს უნათებდა.

ხალხის „გულის წადილი“ მართლა რომ ფანდურზე თუ იმღერებო-
და, იმის სევდას ფანდურის ძალები თუ იტყოდნენ და ის „ოხერი ლექსი“,
რომელსაც ხალხი ასე მიმართავს:

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორო იქნება ვკვდებოდე,
და ჩემდა სამახსოვროდა
სააქაოსა რჩებოდე.

და ეს სულ ახლო მისვლა „ხალხის გენიასთან“ ილია ჭავჭავაძემ ისეთი
ოსტატობით შესძლო, ისეთი შემოქმედებითი გარდაქმნის სასწაულები
გვიჩვენა, რომ ხშირად ძნელდება გამოცნობა, თვით ილიას კუთვნილებას
წარმოადგენს ესა თუ ის ფრაზა, და ზოგჯერ მთელი კომპოზიციაც კი.
თუ ხალხური სიბრძნე არის, საუკუნეთა ტევრში გამოვლილი და გან-
მტკიცებული. აზრის სიღრმეც და ლექსის კომპოზიციაც და საერთოდ
მთელი პოეტური ფაქტურა პირდაპირ ხალხურია, იმ ნაჭედობით მტკიცე
და იმ შინაგანი ფორმით ამაღლებული, რომელიც მხოლოდ ხალხურმა
გენიამ იცის, საუკუნეებთან რომ არის დამძობილებული.

ამ ხასიათისა არიან ის აფორისტული ნათქვამები, რომელიც „და-
მაკვირი“-ს ციკლით. შემოიტანა პოეტმა ჩვენს ლიტერატურაში, თვი-
თეული ეს ლექსი სიბრძნეა, ისევე მოსახმარი, როგორც ხალხური ანდაზა,
და ანდაზასავით მოსწრებულნი, ღრმა და შეწყობილი.

საკითხი ი. ჭავჭავაძის ურთიერთობისა ხალხურ შემოქმედებასთან ძნე-
ლი და რთული კითხვა არის. ამ პრობლემას ქართული მეცნიერება ბევრ-
ჯერ დაუბრუნდება და ბევრ საგულისხმო მომენტს აღმოაჩენს. ჩვენი მი-
ზანი იყო მხოლოდ ზოგადად მოგვეჩაზა საკითხის არე და აღგვენიშნა
ის ძირითადი პუნქტები, რომელთ მიხედვითაც უნდა გაიშალოს შემდგომი
კვლევა-ძიება. ხოლო ამ საკითხს მართა ი. ჭავჭავაძის შემოქმედების გა-
გებისათვის კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ საერთოდ დიდი შემოქმე-
დების გაგებისათვის, და ი. ჭავჭავაძის შემოქმედება უდიდესი ნიმუშია
ამ ღრმა პრობლემის ჩვენებისა და გადაწყვეტისათვის.

ყვარელი

რა ლურჯი იყო ცა საყვარელი,
ფრინველთ სიმღერა იყო ნაძვებთან.
მოვედიო, ვნახეთ ტკბილი ყვარელი
და დარბაზები ჭავჭავაძეთა.

მოვედიო, როგორც მგზავრნი გვიანნი,
და მასპინძლობაც გვინდა კახური.
ვახსენ მარანი ქვევრებიანი —
ღვინო ხალხისთვის შემონახული!

ვახსენ მარანი გადარაზული,
შემოგვანათე თვალნი წამიერ...
შენ, მასპინძელი ხანგადასული,
ჩვენთან იმღერებ მრავალქამიერს.

შოვესულვართ შენთან გუთნის-დედურით
და ბედნიერი ქვეყნის სახელით,
ალაზანივით აღიდებულნი,
ჩონგურ-დაირით და მოსალხენით.

ჯამარჯვებული გოგო-ბიჭები, —
შეძლებულები ბალ-ვენახებით,
შენს შესახვედრად წამოვიჭრებით,
შენც მოციხარი დაგვენახვები.

...გახილეთ, გვხიბლავს შენი იერი,
ბარაქიანი, ტკბილი ყვარელი.
შენც ჩვენთანა ხარ დღეს ბედნიერი,
ესოდენ დიდი და საყვარელი.

შენ სახელი

შენ მოგკლეს, მაგრამ შენი დაცემა
შინც ვერ შესძლეს, დიღო ილია.
შენი ფიქრები და აღტაცება
ხალხში ლექსებად დარჩენილია.

ჰსურდათ მოესპოთ შენი სახელიც,
გზაზე დაგაგდეს მკლავებგაშლილი...
ბარში აკაკის სწავდა ნაღველი,
მთაში მოსთქვამდა რაზიკაშვილი.

დღეს სამშობლოში არ სტირის გული,
დიღო მგოსანო, ის დრო წავიდა...
და ვით ცოცხალი, მზით მოქარგული,
გხედავთ, გამოხველ ცივ აკლდამიდან.

დიად სამშობლოს მოავლე თვალი,
ნახე, ბრძოლებით რაც მოვიბოვეთ.
— ძეგლად რად მადგას მტირალი ქალი! —
ამბობ და სახე გიციინის, პოეტს.

და ჩვენც შევხარით შენს ნათელ სახეს,
ველარ დაჰფარავს შენს სახელს მტვერი.
დიღო, ყველაზე უფრო ის გვალბენს,
რომ საფლავიდან დასძლიე მტერი.

ილია ქქქქქქქქქ

• საგურამოს ბაღი

ცა სუფთა და ცა კრიალს,
ვარსკვლავებით მოქარგული —
თითქოს ლურჯი სარკეა და
მოჩანს მთვარე — ვერცხლის გული.
სალამური მომკვნესარი,
მოქედილი ლერწმის ღერი,
მოშრიალე ჩუმი ქარი,
ალიონი შვინდის ფერი,
ბალახების ყლორტი ნაზი,
გაფრენილი ცაში წერო,
ხარდანებზე მწვანე ვაზი,
აივანთან ალვის ჩერო,
პეპლის გუნდი მონავარდე,
და ბუჩქებთან ლურჯი ია —
ამ ცას. მიწას, ფერად ვარდებს
საგურამოს ველი ჰქვია.

...და უშორეს ვარსკვლავშიაც

აქ დარბოდა ფეხშიშველი,
ამირანზე ლექსს სწავლობდა —
მას უხმობდა ფართო ველი,
თვით რითმების ჯარს უხმობდა.
მეგობარზე გულგატეხილს
მეგობარი ჰყავდა ბწკარში;
ტყის ფირალი ნახა გლეხი
და სხვა ფიქრებს გაჰყვა მაშინ.
თუ საბრძოლო ერთად ვერ თქვეს,
მან ბრძოლაში რა ჰქნას ერთმა...

მას უნდოდა, რომ ყოველ ზეს
ვაჟკაცური სიტყვა ეთქვა.
ქუძუ, მზე და თვალის ჩინი
ქართველის დედას დააფიცა: —
რომ აღზარდოს გმირად შვილი,
გახაროს ქართველი მიწა.
ყურს უგდებდა წყაროს ჩხრიალს,
სიხარულის ცრემლს რომ ჰგავდა.
და უშორეს ვარსკვლავშიაც
საქართველოს ბედს ჰხედავდა.

წიწამურში დასცეს ლომი.

მოისმოდა ლექსში ნანა,
ხან მძვინვარე ვეფხის ღრენა —
და წიგნებში გაიტანა
მწუხარება... აღმაფრენა...
სიტყვა იყო მისი შფოთვა,
ქუხილივით მომდინარი;
ჰუდამ ფიქრით დადიოდა,
ხან მწუხარე, ხან მღიმარი.
ღოღოს უცქერდა ბრძენის თვალით,
ააუბრობდა ხალხში მართალს;
თავის ქვეყნის მომავალი
სურდა წელში გაემართა.
არ იცოდა შრომით დაღლა,
და ოცნებით საღ არ ჰქროდა!..
შეედავენ ბევრჯერ გაღმა,
რომ გამოღმა დარჩენოდათ.
წიწამურში დასცეს ლომი,
შეებრძოლა მიწას მხრებით.
დღეს კი ვნახეთ ფეხზე მდგომ
საქართველოს განახლებით.

ილია ჭავჭავაძე

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მწერლები, ქართველი რომანტიკოსები, თავის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ იდეალს წარსულში ეძებდნენ. მართალია, შემდგომი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ისინი „შეურიგდნენ სინამდვილეს“, მაგრამ მათ მაინც ბოლომდე შერჩათ რეაქტიული რომანტიზმის პასეიზმი და მომავალზე უიმედობა.

ამ დროს კი ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება, როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიაც, რღვევას განიცდიდა. ზგი ღრმა კრიზისში შედიოდა და ჩიხში მოემწყვდა სავაჭრო კაპიტალის და მზარდი მრეწველობის შემოტევის გამო.

„ამგვარად რუსეთის კაპიტალიზმი — ამბობს ლენინი — მსოფლიოს სასაქონლო ბრუნვაში აბამდა კავკასიას, აუპიროვნებდა მის ადგილობრივ თავისებურებას, ამ ნაშთს ძველებურ პატრიარქალურ კარჩაკეტელობისას, და ჰქმნიდა ბაზარს თავისი ქარხნებისათვის. ქვეყანა, სუსტად დასახლებული რეფორმების შემდგომ პერიოდში ან დასახლებული მთიელებით, რომლებიც განზე იდგნენ მსოფლიო მეურნეობისაგან და თვით ისტორიისაგან, თანდათან იქცეოდა ნავთის მრეწველთა, ღვინით მოვაჭრეთა, ხორბლის და თამბაქოს მეწარმეთა ქვეყნად, და ბატონი კუპონი შეუბრალებლად ხდიდა ამაყ მთიელს მის პოეტურ ნაციონალურ კოსტიუმს და აცმევდა მას ევროპიელ ლაქიის „კოსტიუმს“ („კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, ტ. I, 2 გამოც., გვ. 644).

ფეოდალურ-ბატონყმური ქვეყანა ხდებოდა კაპიტალისტურ ქვეყნად, ექსპლოატაციის ერთი ფორმა იცვლებოდა მეორეთი. მოდიოდა ახალი დრო, ახალი მოთხოვნებით და ახალი ტკივილებით. სოციალ-ეკონომიურ ფორმაციის რღვევას თან სდევდა ნაციონალურ-ეკონომიური ჩაგვრის გამძაფრება რუსეთის თვითმპყრობელობის მზრიდან, რაც ართულებდა ისედაც აუტანელ მდგომარეობას. საჭირო იყო ახალი სიტყვა, ახალი პროგრამა, რომელიც პასუხს გასცემდა ისტორიის მიერ დასმულ საკითხებს, შეაჯამებდა შექმნილ მდგომარეობას და პერსპექტივას დაუსახავდა ხალხს.

მე-XIX საუკუნის უდიდესი მწერლის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებამ, რომელიც სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, საჭირო პასუხი გასცა ეპოქის უმთავრეს სოციალურ საკითხებს.

თავის საპროგრამო ლექსში „ქართველის დედას“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებულ აქვს დიალექტიკით და მოძრაობით სავსე გამონათქვამი ლეიბნიცისა: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალი-სა“-ო, ილია ამომწურავ პასუხს აძლევს წინა რომანტიულ თაობების მისწრაფებებს, უპირისპირებს მათ ახალ პროგრამას და მისი განხორციელებისათვის ბრძოლას:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი ეკუთვნის 1858 წელს, ე. ი. ილიას სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისს. ასეთივე აზროვნების სინათლე, ღრმა რეალიზმი ახასიათებს ილიას მთელ მოღვაწეობას. ეს რეალიზმი, სისადავე და ხალხურობა შეითვისა ილიამ იმ თავითვე, თავის ახალგაზრდობაში, რუსეთში ყოფნის დროს.

ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ წლებში სწავლობდა რუსეთში, როდესაც იქ გაცხოველებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა ყველაზე უფრო საჭირობოროტო საკითხის — ბატონყმობის გაუქმების ირგვლივ. ყველაზე უფრო მოწინავე აზროვნების წარმომადგენლები, რევოლუციური დემოკრატიის საუკეთესო მოაზროვნეები ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, იყვნენ რა გამსჭვალული გლეხური რევოლუციის მოახლოების იდეებით რუსეთში, იბრძოდნენ გლეხობის განთავისუფლებისათვის მიწის უსასყიდლოდ მათთვის გადაცემით. ცნობილია, რომ ბელინსკისა და გერცენთან ერთად ლენინი ამ მწერლებს სთვლიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებად. აი უკეთესი წყარო ილია ჭავჭავაძის იმ პროგრამისა, რომლითაც ის საქართველოში გაემშურა.

ზოგიერთი, და ფრიად მნიშვნელოვანი მხარეები თავისი პროგრამისა, ილიამ გადაშალა „მგზავრის წერილებში“.

ილია აქ გამოსთქვამს თავის სიყვარულს და ერთგულებას მოძრაობისა, ბრძოლისა და პროგრესისადმი. კლასიკურ სტრიქონებში მოცემულია სიცოცხლის და უწყვეტი განვითარების ტრიალისა და განახლების იდეა:

„დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუბოვარი ჯა დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხული, გამაღებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაჟავლახი. თერგი სახეა ადამიანის ვალვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირს-საცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“.

მაგრამ, რაც მთავარია, „მგზავრის წერილებში“ ილიამ წამოაყენა საკითხი რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძო-

ლისა --- საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისათვის. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — მოხვევა ...ლელო ლუნიას მიერ წამოყენებული ლოზუნგია. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე გულმხურვალე თაყვანისმცემელი იყო ავსტრიის იმპერიის კლანჭებისაგან იტალიის განმათავისუფლებელ გარიბალდისა. ილია ჭავჭავაძე ებრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობას და მის ადგილობრივ აგენტებს ქართული ენის უფლებისათვის, ქართული კულტურის შენახვისა და განვითარებისათვის, ყოველგვარ დემოკრატიულ წამოწყებებისათვის, რისთვისაც „პრავდა“-მ მას უწოდა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ილია მოდის რუსეთიდან საქართველოში შეიარაღებული ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის იდეებით, მოწყურებული ბრძოლის განახლებისათვის და ჩამოსვლისთანავე აჩაღებს შეტევას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფრონტებზე. უპირველეს ყოვლისა ის თავის ყურადღების ცენტრში აქცევს ყველაზე მტკივნეულ საკითხთა შორის — ბატონყმობას და ქმნის ისეთ შედეგებს, როგორცაა „კაცრა-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“.

ეს ნაწარმოებნი მგზნებარე საბრალმდებლო აქტებია, ბატონყმობის წინააღმდეგ წარმოთქმული, თანაც უბადლო რეალისტური ხელოვნების ნიმუშები.

„კაცრა-ადამიანიში“ ძლიერი ირონიის და იუმორის ხერხით დახატულია ეპიური სურათი ლობაში შესულ ბატონყმობისა. აქ იგრძნობა ავტორის უშუალო დაკვირვება. რომ არაფერი ვსთქვათ ლუარსაბ თათქარიძის და დარეჯანის ტიპების ხელოვნებაზე და პლასტიურობაზე, რომლებიც საკმაოდ არის გაშუქებული ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის მიერ და ამიტომ აქ მათ განხილვას არ შეეუდგებით, აქ სანიმუშოდ მოიყვანთ შინაყმების დასურათებას.

„სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა — რა ფერისა იყო: კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდან გამომჩნდა ერთი რაღაცა დამპალი საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, მითმ და იუბკა. აი, მეხი კი დაგეცა! ამასაც კი სდომებია იუბკა! თავზედ ეკრა შიგადაშიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. ამ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი — უკაცრავად არ ვიყო — წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდა. ქუსლებ-დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წინგოსაგან შეღებილი ხელები. ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუნული — აი, ამგვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულხელდაკრებილი დაჰყურებდა ბალან-გაცვიფრულ ხალიჩასა“.

ესაა მოსამსახურე „გოგო“ ლამაზისეული. ახლა მოვიყვანოთ მეორე ადგილი, სადაც მოცემულია „ბიჭის“ სურათი: „პატარა შორი-ახლო ძველი, ქუჭყიანი სამოვარი სდგას, გვერდით დაჩოქილია, გოგოზედ უარესად ქუჭყიანი, დაგლეჯილი პატარა ბიჭი და, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქიჩოკენ, საცა ძალლი წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შეჰნატროსო მის ყოფაცხოვრებასა და გულში ამბობსო: — ნეტავი შენ, რომ ძალდა ხარ! ნეტავი მეც ძალდა ვყოფილიყავი.“-ო!

ილია ასეთი რეპლიკით ასრულებს ამ სურათის გადმოცემას. „ეს სადაგელი სურათი სადაგელის მიწისა სასაცილოდ ახამებდა ამ დიდებულ სამხრეთის ცასა, მის ერთიანად ღრმასა და ციავსა კამარასა, რომელზედაც სარტყელსავით მიიგრინებოდა ერთ განუწყვეტელ ზოლად მთების ლაყვარდი გრეხილი“-ო, რადგან ვერ ითმენს, რომ აქვე თავისი მსჯავრი არ ჯამოსთქვას ადამიანის დამცირების გამო ესოდენ წარმტაცი ბუნების წილში.

„კაცია-ადამიანი“ ნამდვილი ენციკლოპედიაა ბატონყმური ურთიერთობისა და მასზე აგებული ყოფაცხოვრების შესასწავლად.

მაგ., ავილოთ ის ადგილი, სადაც ლუარსაბი თავის შეძლებას კვებულობს. „ლევანსავით ურმებს ხომ ქირაზედ არა ვგზავნი, თავადიშვილის ღისხლს ხომ არ შევირცხვენ? სომეხი ხომ არა ვარ, რომ ქირაობით ვიცხოვრო, თავადიშვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი.... ძალიან არ წახნა ხალხი, თქვენი ჭირიმეთ! ამასაც შევესწარი, რომ თავადიშვილი ქირაზედ ურმებს ატარებს!“.

მეორე დიდი მხატვრული ტილო „გლახის ნაამბობი“ ზედიდესი ემოციონალური ზეგავლენის მქონე ნაწარმოებია. აქ ყველა სახე და თვით კვანძი და დინამიკა მოთხრობისა რეალისტურია და მომხიბლავი ოსტატობით შესრულებული. ესაა ბატონყმურ ურთიერთობიდან წარმოშობილი უმძაფრესი დრამა. მართლაც „გლახის ნაამბობში“ ილუბებიან ყველა გმირები: გაბრო, დათიკო, პეპია, თამრო.

„კაკო-ყაჩაღში“ ილია ჭკვევაძემ წმინდა ხალხური თემა გაშალა იმ ყმა-გლეხების ცხოვრებიდან, რომელნიც ბატონყმობის წინააღმდეგ საპროტესტოდ ტერორისტული აქტის მოხდენის შემდეგ ტყეს მიმართავენ. ამ პოემაში პოეტი იხსენებს სახალხო გმირს არსენას და პირველად ქართულ მწერლობაში ძეგლს უდგამს მას:

ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომალხენდა, ხან მალონებდა...
არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა.
ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

ეს პოემა, როგორც საერთოდ ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოები, იმდენად გამსჭვალულია ხალხის, გლეხობის, მასების სულისკვეთებით, იგი იმდენად ახლოა ხალხურ მეტყველებასთან, რომ თითქო ითქვიფება ხალხის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა შორის. იგი გამოთქვამს ხალხის რისხვას, მის უგულითადეს სურვილებს ისე ღრმად, რომ უფრო ახლო გამოხატავს გლეხის სულისკვეთებისა, შეუძლებელია. პოემა წარმოადგენს გლეხური რევოლუციის აპოლოგიას და მასთან უაღრესად ხალხურს თავისი მხატვრული ხერხებით და შესრულებით. ამით აიხსნება მისი უდიდესი პოპულარობა ხალხში, როგორც წინეთ, ისე ახლა.

პოემა „აჩრდილში“ ილია ჭავჭავაძე იძლევა საქართველოს ისტორიის ფილოსოფიას, საბოლოო ჯამში უერთებს მის ბედს მთელი კაცობრიობის ბედს და ცენტრად მთელი საერთაშორისო პრობლემისა დასახული ჰყავს „შრომის შვილი“, რომელსაც კისრად აწევს მძიმე უღელი ქვეყნის ცოდვისა. დასკვნა მთელი პოემისა და მასთან ერთი უმაღლესი წერტილი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა, რომელიც ამშვენებს და მუდამ უშესანიშნავეს განძად დარჩება მის შემოქმედებაში, გამოხატულია შემდეგ სიტყვებში:

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი.
ძღვევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგარდა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლადშობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ორს, უფრო გვიან შექმნილ ნაწარმოებს — „სარჩობელაზედ“ და „ოთარანთ ქერიეს“.

ეს ორი მოთხრობა უბაღლო შედეგია არა თუ ილიას ქმნილებათა შორის. არამედ მთელი მე-XIX საუკუნის ქართული მხატვრული პროზისა. მხატვარი აქ იძლევა უკანასკნელ სისადავეს და უძლიერეს გამომეტყველებას ენისას, რაც შედეგია ხალხის ენის გენიალური გაგების და ათვისებისა. ამას გარდა სოციალური შინაარსის მხრივ მეტად მდიდარ

და ღრმა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ორივე ნაწარმოები პრობლემურია. „სარჩობელაზედ“ ისახავს მიზნად დააყენოს დ გადასჭრას დანაშაულის და სასჯელის პრობლემა. და ილია უაღრესად მოწინავე პოზიციებიდან სჭრის ამ საკითხებს. იგი ამბობს, რომ დანაშაული კაპიტალისტურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციასზე დამყარებული საზოგადოებრივი პირობების მიერაა წარმოშობილი.

„ოთარაანთ ქვრივი“ დაწერილია 80-იან წლების მიწურულში, ე. ი. ბატონყმობის „მოსპობის“ თითქმის 30 წლის შემდეგ. თუმცა ბატონ-ყმობა გადავარდნილია, წოდებათა შორის ხიდი მაინც ჩატეხილია და, როგორც წინათ, ეხლაც დარჩენილა ერთმანეთს დაშორებული და ერთმანეთისათვის უცხო ორი კლასობრივი სამყარო. წოდებათა ამ განცალკევების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საკუთრების დატოვება ისევე იმ პრივილეგიური წოდების ხელში, რამაც მას შეუნარჩუნა „რჩეული“ კასტის ფსიქოლოგია, რომელიც შორს იყო გლების სულისკვეთებისაგან. ილია კი აქ ამ ხიდის გამთელების მოტივებს იძლევა, მაგრამ ნაწარმოების განვითარება თვით ამკლავებს ამ ცდის ილუზორობას. რაც შეეხება მხატვრულ ოსტატობას, „ოთარაანთ ქვრივი“ მიუწვდომელ სიმაღლეზე დგას. მარტო ოთარაანთ ქვრივის ფიგურა ისეთი ძალითაა გამოკვეთილი, რომ კემპარიტად ქართული მწერლობის უკვდავ სახეთა რიცხვს მიეკუთვნება და უნდა ითქვას, რომ არც ჰყავს ბადალი მთელს ქართულ მწერლობაში.

ლირიკის დარგში ილია ჭავჭავაძე ერთი უშესანიშნავესი პოეტია. ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილისოფიური სიღრმის უშუალო მემკვიდრეა პოეზიაში ილია. პოეზია მან გამოიყენა, უპირველეს ყოვლისა, თავისი მოწინავე საზოგადოებრივი პოზიციების დაცვისათვის. ილიამ გახადა პოეზია მომხიბლავი აზროვნების და გრძნობის შედუღებით. ასეთია მისი პოეზიის შედეგები „ელგია“, „ბაზალეთის ტბა“, „გაზაფხული“, საკვირველი მისი გამომხაურება პარიზის კომუნის დაცემაზე, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, შეიძლება, მთელს მსოფლიო პოეზიაში. უდიდეს სიმაღლეზე დგანან აგრეთვე ილიას თარგმანები რუსეთის და ევროპულ პოეტებიდან.

ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის ფუძემდებლის ადგილი და მნიშვნელობა ქართულ სალიტერატურო კრიტიკის შექმნის და დაფუძნების საქმეში. რუსეთის უდიდეს მოაზროვნეების — ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვისაგან მან გადმონერგა ჩვენში გამარეგოლუციონერებელ იდეებით გამსჭვალული კრიტიკა, კრიტიკა, რომელიც აქტიურად ებმის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. პირველად საქართველოში ილია ჭავჭავაძემ მისცა შეფასება ქართველ რომანტიკოსებს, ნიკოლოზ ბარათაშვილს და მთელს წინამორბედ ლიტერატურას. მან შესანიშნავად აითვისა შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება, რომელსაც დაუდალავად უბრუნდება თავის მხატვრულ შემოქმედებაში, რომ დაასაბუთოს ესა თუ ის სიტუაცია. მისი გმირები, როგორც მთელი ქართველი ხალხი, როგორც სიბრძნის საუნჯეს, მიმართავენ „ვეფხისტყაოსანს“ და

მისი სენტენციებით უმკლავდებიან მათ წინააღმდეგ მიმართულ სინამდვილეს.

დიდია ილია ჭავჭავაძის, როგორც პუბლიცისტის, პამფლეტისტის, პრესის შემქმნელის და მებრძოლის მემკვიდრეობა. ილია უმძლავრესი პოლემისტია ქართველ მწერალთა შორის. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი მესვეურება ნაციონალური მასშტაბით მომქმედ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისა დიდმპყრობელური რეაქციის შავბნელ ეპოქაში — ყველაფერი ეს დევგმირის კვალის დამჩენი მუშაობაა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ამ უდიდესი წარმომადგენლისა.

კოლოსალურია ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა მის თანამედროვე და შემდგომ დროის მწერლობისათვის. უდიდეს გავლენას ახდენს ილიას შემოქმედება ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლის და სხვ. შემოქმედებაზე. ბევრი რამ აქვს საერთო და ნათესაური აგრეთვე აკაკი წერეთლის შემოქმედებასთან.

დიადი მისი შემოქმედება ჯერ კიდევ უდიდეს შესწავლას და კვლევადიებას მოითხოვს. ილია ჭავჭავაძემ გულისხმიერად შეიგრძნო თავისი დროის ყველა უდიდესი სოციალური საკითხი და პასუხი გასცა მათ. მან დაგვიტოვა უმდიდრესი მხატვრული განძი, შექმნილი ხალხურობის ნიშნის ქვეშ, უდიდესად მისაწვდომი ყველა მკითხველისათვის, ამბლელვებელი და წარმტაცი. მისი მრავალფეროვანი მემკვიდრეობა ცოცხლად და ცხოველყოფლად შენახულია ხალხში. იგი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, მესაიდუმლეა წინამორბედ თაობათა უკეთეს ზრახვათა და მისწრაფებათა. და ბოლოს კიდევ შეეწირა შავბნელ რეაქციას, რომელმაც ტყვეით განგმირა უკვდავი გენია ქართული მწერლობისა, რომლის ამავს და მემკვიდრეობას იღებს და თავისად აცხადებს ჩვენი დიდი ქვეყნის უძლეველი მუშათა კლასი. აღსრულდა ილია ჭავჭავაძის ანდერძი:

დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.
რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:
იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა:
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

მე 60-ე წლები და ილია ჭავჭავაძე

I

„მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე წერს: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის, ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გაღებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმისათვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ქვეყანა აფარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს,—ფეხი აადგმევინოს; ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა... ოო, ძვირფასი ოთხი წელიწადი“. ალტაცებით ამბობს მწერალი და შენატრის მათ, ვინც ეს ოთხი წელიწადი რიგიანად მოიხმარა.

ეს ოთხი წელი საერთოდ კი არა მხოლოდ, ქრონოლოგიურადაც ძვირფასი იყო, არა მარტო ილიასათვის, არამედ რუსეთის მთელი მოწინავე ახალგაზრდობისათვის. ილიას ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ის ასე აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ამ წლებზე.

ის წლები, როდესაც ილიას რუსეთში მოუხდა ყოფნა (1857 — 1861) მე-60 წლების, განმათავისუფლებელი მოძრაობის მწვერვალია.

ყირიმის ომის შედეგებით გამოფხიზლებული საზოგადოება დიდი რეფორმების სამზადისში იყო და გაბატონებულ შეხედულებათა რადიკალურ გადაფასებას ახდენდა, თითქმის ყველა გრძნობდა ცხოვრების გარდაქმნის საჭიროებას.

„იმ დროს, „60 წლების“ ეპოქაში კრებოსტნიკების ძალა მოდრეკილი იყო. მათ განიცადეს თუმცა არა საბოლოო, მაგრამ ისეთი გადაწყვეტილამარცხება, რომ სცენა სრულიად უნდა დაეცალათ“ — წერს ლენინი ამ ეპოქის შესახებ (ტომი, I, გვ. 253. ტფილისი, 1928 წ.).

რეფორმების ილუზია პირველ ხანებში მაინც იმდენად აშკარა იყო, რომ მან, უკიდურეს რეაქციონერთა გარდა, თითქმის ყველა გაიტაცა. პროგრესიული ინტელიგენციის დიდი ნაწილი მოვალედ თვლიდა თავს დახმარება გაეწია მთავრობისათვის რეფორმების გასატარებლად. 1857

წელს, როდესაც გლახთა საქმეების კომიტეტი გაიხსნა, პირველ დღეებშივე ამ კომიტეტმა 100 სხვადასხვა ხასიათის პროექტი მიიღო.

საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის წერილობითი მოხსენებები შეჰქონდათ არა მარტო თანამდებობის პირებსა და მეფესთან ახლო მდგომ მოხელეებს, არამედ მეცნიერებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებს: კაველინს, კოშელიოვს, იური სამარინს, ხომიაკოვს, ტიუტჩევს, კონსტანტინე აკსაკოვს და სხვებს. ი. ტურგენევიც კი, რომელსაც თავის სიცოცხლეში არც ერთი საქმიანი ქალაქი არ დაუწერია, მთავრობას მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ. დამახასიათებელია, რომ ბრწყინვალე ჰუმანიური იდეებით გატაცებული ახალგაზრდა — ნ. სერნო-სოლოვიოვი, რომელსაც გერცენმა უკეთილშობილესი, უწმინდესი და უაღრესად სინდისიერი ადამიანი უწოდა, თვეობით ოცნებობდა პირადად მიეცა ალექსანდრე II-სათვის თავის ზელით დაწერილი ვრცელი პროექტი გლახთა განთავისუფლების შესახებ. ამიტომ მან მეტად სახიფათო და საბედისწერო ნაბიჯიც გადადგა. რეფორმების ილუზიებით შეპყრობილი ჭაბუკი იმპერატორის ბაღში შეიპარა და სეირნობის დროს ალექსანდრე II-ს საკუთარი ხელით ჩააბარა საკმაოდ ვრცელი რადიკალური პროექტი. ეს პროექტი და მისი „თავხედობა“ შემდეგში სერნო-სოლოვიოვის საბრალმდებლო მუხლებად იქნა მიჩნეული. რეფორმების ოპტიმიზმით გამსჭვალულმა ნ. სერნო-სოლოვიოვმა, ცხადია, არ იცოდა, თუ ეს პროექტი ცოტა ხნის შემდეგ სენატის მიერ გამოყენებული იქნებოდა მის გასაგზავნად ციმბირში.

რას გასაკვირია ჭაბუკი ნ. სერნო-სოლოვიოვისაგან, როდესაც მსცოვანი რევოლუციონერი ა. გერცენი თავის „კოლოკოლ“-ში 1857 წ. აღფრთოვანებით ესალმებოდა ალექსანდრე II-ს: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო“ სწერდა ის მეფეს. თვით ნ. ჩერნიშევსკიც პირველ ხანებში რამოდენიმედ მაინც მოექცა ამ ილუზიების გავლენის ქვეშ და კიდევ სჯეროდა ამ რეფორმების გატარების სარგებლიანობა. შეიძლება მართალი იყოს ის აზრიც, რომ ნ. ჩერნიშევსკი აქ დიპლომატიურ ხერხს მიმართავდა, უნდოდა მთავრობას არ წაეღო უკან დანაპირები, მაგრამ მაშინ აუხსნელი დარჩება ის გულისწყრომა და რისხვა, რომელიც ნ. ჩერნიშევსკიმ თავის წინა პერიოდის მოსაზრებათა შესახებ 1860 წელს გამოთქვა.

რეფორმებით გატაცება მალე შენელდა მოწინავე რევოლუციურ ახალგაზრდობაში, და თაობათა შორის გზები მკვეთრად გაიმიჯნა, მაგრამ ამ იდეების გავლენის სფერო ამ ეპოქაში საერთოდ მაინც დიდი იყო. აზრთა მფლობელად ა. გერცენის „კოლოკოლი“ და ჟურნალი „სოვრემენიკი“ გადაიქცა. „კოლოკოლი“ (1857—1867) თავდადებით შეუდგა გლახთა განთავისუფლების საქმის დაცვას. მონური დუმილი დაირღვა — წერს ლენინი (ლენინი, თხზულებანი ტ. XV, გვ. 578. ტფილისი, 1934.) ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი ახალგაზრდობამ და პროგრესიულად მოაზროვნე თაობამ ჭკუის მასწავლებლებად მიიჩნია. მოლიბერალო ინტელიგენციაც კი ვალდებულებას გრძნობდა ანგარიში გაეწია მათი შეხედულებებისათვის. დამახასიათებელია, რომ ლიბერალი ჟურნალისტ

ბოტკინი ჩერნიშევსკის სადისერტაციო შრომის („ესთეტიკური დამოკიდებულება ხელოვნებისა სინამდვილესთან“) შესახებ ტურგენევის სწერდა: „მასში (ე. ი. დისერტაციაში) ბევრია გონივრული და საქმიანი: წინანდელი შეხედულება ხელოვნებაზე მოძველდა და სავსებით უვარგისია, ჩვენს მოსაზრებათა შეცვლის გამო ბუნებასა და სინამდვილეზე“.

ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა გაანთავისუფლეს ტყვეობიდან ბელინსკის სახელი. ნიკოლოზ I მთავრობამ 4 წლის კატორღა დააწესა მათთვის, ვინც ბელინსკის თხზულებებს გაავრცელებდა. მე-50 წლებშიც კი ნ. ჩერნიშევსკის მისი აზრების მოტანა ბელინსკისათვის ნიშნული თვისებების აღნიშვნით შეეძლო: „მხოლოდ: — „40 წლების დიდი კრიტიკოსი“, „გოგოლის პერიოდის უდიდესი მოაზროვნე“ და სხვა.

ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი ბელინსკის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამაგრებლებლები იყვნენ. მათი ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპციის ჩამოყალიბებაც ბელინსკის უშუალო გავლენით ხდება. ლიტერატურის სპეციფიკის, ფუნქციონალობის, ტიპიზაციის საკითხები და რუსული ლიტერატურის განვითარების პრობლემები, რევოლუციურმა რაზნოჩინელებმა ბელინსკის ნაწერთა უშუალო გავლენით დაამუშავეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხშირ შემთხვევაში ნ. ჩერნიშევსკი საჭიროდ არ თვლიდა გაერკვია ესა თუ ის ლიტერატურული პრობლემა, და პირდაპირ ბელინსკის აზრზე მიუთითებდა.

„რაც უნდა მოხდეს რუსულ ლიტერატურაში, როგორი წარმატებითაც არ უნდა განვითარდეს ის, ბელინსკი ყოველთვის იქნება მისი მწვერვალი, მისი დიდება, მისი დამამშვენებელი. აქამდრს მისი გავლენა ნათლად იგრძნობა ყველაფერში, რაც კი რამ კეთდება ჩვენში წარმტაცო და კეთილშობილხ; აქამდის თითოეული ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო მოღვაწე აღიარებს, რომ თავის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილში ბელინსკისგანაა დავალებული: ლიტერატურულ წრეებში იშვიათად თუ შეხვდებით ხუთ-ექვს ბინძურს და გათახსირებულ პირს, რომელიც ბედავს მისი სახელის ხსენებას პატივისცემის გარეშე. რუსეთის ყველა კუთხეში არის ხალხი, ენთუზიაზმით აღვსილი ამ გენიალური ადამიანისადმი. და, რა თქმა უნდა, ისინი — რუსეთის საუკეთესო ადამიანებია“ — წერდა ნ. დობროლიუბოვი 1859 წელს. ნ. ჩერნიშევსკი ბელინსკის გენიალურ მოაზროვნედ თვლიდა და მისივე სიტყვით ის არც ისე უხვი იყო ამ გზიტეტის ხმარებაში. გოგოლის პერიოდის ლიტერატურის მიმოხილვის დასკვნით ნაწილში ჩერნიშევსკი შენიშნავდა: „ჩვენს წერილებს მიზნად ჰქონდა არა მარტო გაერკვია სხვადასხვა მიმართულებანი რუსულ კრიტიკაში, არამედ ეჩვენებია ის საფუძველი, რომლიდანაც არ უნდა უხვევდეს თანამედროვე კრიტიკა, თუ არ უნდა ჩავარდეს უძლურებაში, წვრილმანობასა და სიცალიერეში. სამართლიანი მოსაზრებანი ამ საკითხთა შესახებ გამოთქმული ჰქონდა ჩვენში ბელინსკის, და ამ კრიტიკას უნდა უყურებდეთ არა როგორც ღირსშესანიშნავს ისტორიულ მოვლენას, არამედ როგორც სახელმძღვანელო მაგალითს“.

„დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელმაც თავისი სიცოცხლე რევოლუციის საქმეს შესწირა“ (ლენინი, ტომი მე-18, გვ. 96, ტფილისი 1931 წ.) ღირსეულად შეაფასა „რევოლუციონერთა ბრწყინვალე თაობის“ ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ბელინსკი“ (ლენინი ტ. მე-4, გვ. 466, ტფ. 1930 წ.).

ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ხშირად მიუთითებდნენ ბელინსკის შრომებზე და მის შენიშვნებსაც ავტორიტეტულ ნოსაზრებებად ფიქრობდნენ. ჩერნიშევსკის ესთეტიურ-ლიტერატურული კონცეპცია მეორე პერიოდის ბელინსკის გავლენით ჩამოყალიბდა. ამიტომ ხშირად ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეხედულებანი თანხვედრილია ბელინსკის მოსაზრებასთან. მე-60 წლებში მოხდა სწორედ ბელინსკის შეხედულებათა რეაბილიტაცია რევოლუციონერ-რაზნოჩინელთა მიერ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნ. ჩერნიშევსკი სიტყვა-სიტყვით იმეორებდეს ბელინსკის წინათქმულს. ჩერნიშევსკიმ გააღრმავა მეორე პერიოდის ბელინსკი, ფოიერბახიანული მატერიალიზმის პრინციპებზე ჩამოყალიბა ის და ხელოვნების უტილიტარული ფუნქციის საკითხი გაამახვილა, მაგრამ ამ სახელოვან რაზნოჩინელებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო და შემხვედრი, ამიტომაც ის, რაც ხშირად სპეციფიკურ ჩერნიშევსკისებური გვეგონია, ბელინსკიდან მომდინარეობს.

მე-60 წლების რადიკალური ინტელიგენციის მოწინავე ფენებში მატერიალისტური მსოფლმხედველობა გაბატონებულ მიმართულებად გადაიქცა. მე-60 წლების ეპოქა ბრწყინვალე იდეალების მატარებელი იყო, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია ფართო გეგმებს სახავდა არსებული წყობილების გარდასაქმნელად. ხალხის სამსახური, ხალხის ამოძრავება ამ თაობის იდეალად გადაიქცა.

რევოლუციურმა აზრებმა გამოხმაურება ჰპოვა ხალხის ფართო მასებში. რევოლუციონერები ოცნებობდნენ მთელი ხალხი აემხედრებიათ დესპოტიზმის წინააღმდეგ და ბოლო მოეღოთ მალაჩი კლასების მიერ დაბალთა ჩაგვრისათვის. მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა, რადგან, „ას წლობით მემამულეთა მონობაში მყოფ ხალხს არ შეეძლო ამდგარიყო და დაეწყო ფართო, აშკარა, შეგნებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. იმდროინდელ გლეხთა აჯანყებებს განმარტოვებული, დაქუცმაცებული, სტიქიური „ჯანყის“ ხასიათი ჰქონდათ და მათ ადვილად აქრობდნენ“ — წერს ლენინი (ტ. მე-15, გვ. 131 — 132, ტფილისი, 1934 წ.).

მაგრამ ამ ეპოქის რევოლუციურმა თაობამ ხალხის გამოფხიზლებისა და ამოქმედების საქმეში დიდი როლი შეასრულა და სრულიად არ შეიძლება მათ ბრალი დავდვათ იმაში, რომ დაწყებული დიდი საქმე გამარჯვებით არ დაგვირგვინდა. რუსეთის ცხოვრება და სინამდვილე ზღუდავდა ამ სახელოვანი თაობის იდეალებს.

ლენინი წერს: „რუსეთის რევოლუციონერები გმირულად ისწრაფოდნენ ხალხის ბრძოლაში გამოსაყვანად, მაგრამ განმარტოვებული რჩებოდნენ და ილუპებოდნენ თვითმპყრობელობის კლანჭებში“ (ტ. მე-15, გვ. 133. ტფილისი 1934 წ.).

მე-60 წლებიდან რუსულ ლიტერატურაში გაბატონებულ მიმართულებად რეალიზმი გადაიქცა. რუსეთის უდიდესი რეალისტი მწერალი გოგოლი მე-60 წლებში განსაკუთრებით ყურადღებით იქნა შესწავლილი. ნ. ჩერნიშევსკიმ სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა გოგოლის პერიოდის რუსულ ლიტერატურას. მრავალმხრივ დასაბუთებული არგუმენტებით დაამტკიცა იმ მიმართულების უპირატესობა, რომლის ფუძემდებელი გოგოლი იყო, რევოლუციურ-რანონოინელთა მიერ გოგოლი საშართლიანად მიჩნეულ იქნა რუსეთის უდიდეს მწერლად, რუსული პროზის მამათმთავრად. ნ. ჩერნიშევსკი აღნიშნავდა, რომ „კრიტიკული მიმართულება“ რუსულ ლიტერატურაში გოგოლის გამოჩენამდის არ ყოფილა.

მართალია, სატირული ხასიათის თხზულებები რუსული ლიტერატურისათვის გოგოლის გამოჩენამდის უჩვეულო არ იყო, მაგრამ ეს სატირა, ბელინსკის შენიშვნით, ზოგად ადამიანურ ნაკლოვანებებს კიცხავდა და კონკრეტულად არავის არ ეხებოდა. ამიტომაც ასეთი სატირა უვნებლო და ნეიტრალური იყო. სულ სხვაგვარი იყო გოგოლის სატირა, ის სოციალური ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს ეხებოდა და მათ მიმართ შეუძლებელი იყო ნეიტრალური პოზიციის დაჭერა. კრიტიკული ელემენტები გოგოლის წინაპერიოდის ლიტერატურაში ძალზე მკრთალად იყო მოცემული. ნ. ჩერნიშევსკი უფრო შორს მიდიოდა და ამტკიცებდა, რომ რუსულ ლიტერატურას საერთოდ გარკვეული შინაარსიც არ ჰქონდა გოგოლამდისო.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გოგოლის გენიალურმა თხზულებებმა შოახდინა საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი დიფერენციაცია. გოგოლის ნაწერები არ შეიძლებოდა ყველას მოსწონებოდა, რადგან მათი ობიექტური ფუნქცია ბოროტების და საზიზღარი ცხოვრების მოსპობა იყო. ჯერ კიდევ ბელინსკი აღნიშნავდა, რომ გოგოლის სუფრა ყველასათვის არ იყო გაშლილი და გოგოლის თანამგრძნობი მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო. ვინც გოგოლის დაგვარად „ზიზღს ატარებდა გულში ყოველგვარი სიმდაბლის, საზიზღრობისა და ვერაგობის წინააღმდეგ“ — და „ქადაგებდა სიყვარულს, სიკეთესა და სამართლიანობას“. — ასევე შეიძლება ითქვას ჟორჟ ზანდის, ბერანჟეს და დიკენსის შესახებაცო, — სამართლიანად შენიშნავდა ნ. დობროლიუბოვი. გოგოლმა შექმნა რეალისტური სკოლა; ცხადია, ახალმა ეპოქამ ხელი შეუწყო ამ ლიტერატურული მიმართულების განმტკიცებას, მაგრამ მას უკვე ჰქონდა საიმედო საყრდენი და ტრადიცია.

ბელინსკი თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შეხაროდა რეალისტური ლიტერატურის გამარჯვებას. უბრალო უფაბულო ნარკვევებიც კი აღფრთოვანებდა უდიდეს კრიტიკოსს. ის დიდი თანაგრძნობით შეხვდა ნ. ნეკრასოვის მიერ გამოცემულ „პეტერბურგის ფიზიოლოგიას“, სადაც მოგზაურობის აღწერის, ნარკვევის და ნაამბობის ფორმაში ეცნობოდა მკითხველი რუსეთის სძნამდვილეს.

ჟუბლიცისტიკის განვითარებასთან ერთად მე-60 წლებში ფართოდ ვითარდება ეგრედწოდებული მამხილებელი ბელეტრისტიკა („ობლიჩიტელ-

ნაია“), რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სალტიკოვ-შჩედრინმა თავის „გუბერნსკიე ოჩერკი“-თ. ეს ნარკვევები დიდ წარმატებაში იყო და მიიპყრო მკითხველი საზოგადოებრივობის ყურადღება, რამაც მათი ავტორი ლიტერატორთა მოწინავე რიგებში ჩააყენა.

ამ ნარკვევებში დიდი ოსტატობით იყო გაკიცხული ბიუროკრატიული წყობილება, მოხელეების მექრთამეობა, გონებრივი სიჩლუნგე, კონსერვატიზმი, ბოროტმოქმედება, ხალხის უფულებობა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ველური დამოკიდებულება. რუსეთის დიდი სატირიკოსი მოხერხებულად და საჯაროდ ამათრახებდა პოლიციურ-ბიუროკრატიულ რეჟიმს.

სალტიკოვ-შჩედრინის ამ ნარკვევების არაჩვეულებრივმა წარმატებამ შექმნა მოთხრობათა და ნარკვევთა მთელი სერია „შჩედრინის მაგვარი“. მათ შორის უთუოდ საყურადღებოა: „სტარე გორი“ მელნიკოვ-პეჩორსკის, „ოტკუპნოე დელო“ ელაგინისა და სელივანოვის მოთხრობები.

ეს „მამხილებელი“ („ობლიჩიტელნაია“) ბელეტრისტიკა ძალზე მარტივი იყო თავის ფორმით. მხატვრული შესრულების თვალსაზრისით ის ვერ დააკმაყოფილებდა პუშკინის, ლერმონტოვის და გოგოლის მკითხველს. ეს თხზულებები მიზნად ისახავდა მკითხველი საზოგადოების ამხედრებას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. დაკვირვებისა და შესწავლის საფუძველზე ავლენდა ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმის მახინჯ მოვლენებს. ასეთ ნარკვევებს უმეტეს შემთხვევაში სატირული ხასიათი ჰქონდა. მკითხველი საზოგადოება ამ ეჟარის ნაწარმოებებს აღტაცებით ხვდებოდა.

ლიტერატურას ახლა უფრო დიდი მოთხოვნილებები წამოუყენა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ. ძირითადად არა „ესთეტიური სიამოვნება“ შეფასების კრიტერიუმში, არამედ „სარგებლიანობა“. ამ სარგებლიანობის პრინციპი დაედო საფუძვლად სწორედ სამოქალაქო მოტივებს.

საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლება, ხალხის სამსახური, ცხოვრების მოძრაობაში მოყვანა იყო ამ ლიტერატურის მთავარი მოტივი, ვ. სოლოგუბის პიესის („ჩინოვნიკ“) ერთ-ერთი გმირი უშიშრად იძახოდა პეტერბურგის სტენიდან: „გადავძახოთ მთელ რუსეთს, რომ დადგა დრო ბოროტების ძირფესვიანად აღმოფხვრისა“. ძველი რეჟიმის წინააღმდეგ განწყობილი და ახალი ცხოვრების იმედებით გამსჭვალული საზოგადოება ყოველ ვადაკრულ აზრსაც კი აღფრთოვანებით ეგებება.

დამახასიათებელია, რომ მე-60 წლების რუსულ ლიტერატურაში იმდენად მკვეთრად სჩანს სამოქალაქო მოტივები, იმდენად რეალისტური გახდა ის, რომ შესაძლებელი შეიქნა მათი ანალიზის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვევა.

პირველი წლების ოპტიმიზმმა მალე განვლო, აღმოჩნდა, რომ რეფორმებით გატაცება უფრო ილუზია იყო, რომ ალექსანდრე II-ს მთავრობა არც ისე ჰუმანიურად იყო განწყობილი, როგორც გერცენს ეგონა. ლიბერალურ ინტელიგენციასაც არ აკმაყოფილებდა ის ცვლილებები, რომელსაც მთავრობა „დიდ რეფორმებს“ ეძახდა. მეორე მხრივ ლიბერალუ-

კი ინტელიგენცია დაფრთხა გლეხთა მასიური მოძრაობით და ხალხს მშვიდობიანობისაკენ მოუწოდებდა, მაშინ როდესაც ჩერნიშევსკი პროკლამაციებს წერდა — „ნაჯახი აიღეთ ხელში მებატონეებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ“. „ის პროტესტს აცხადებდა, სწყევლიდა რეფორმას, მარცხს უსურვებდა მას“ (ლენინი, ტომი I, გვ. 250, ტფილისი, 1928 წ.).

1861 წლიდან იწყება რეაქციის ხანა, და სულ ცოტა ხნის შემდეგ 5. ჩერნიშევსკი პეტრეპავლოვის ციხეში იძულებულია უმტკიცოს მთავრობას „თავისი სიმართლე“.

მაგრამ მე-60 წლების დიდი მოძრაობის ტალღები ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი, ხალხი ღელავდა და ასე ადვილად ვერ ურიგდებოდა იმ სულის შემზუთავ ატმოსფეროს, რომლის რესტავრაციას სულ მცირე ხანში მთავრობა აპირებდა. მისუსტდა გერცენის „კოლოკოლის“ ხმა, 23 წლის ჭაბუკმა დობროლიუბოვმა საფლავში ჩაიტანა. გებრძოლი რევოლუციური ენტუზიაზმი, ჩერნიშევსკი სამუდამოდ გაისტუმრეს კატორღაში, მიწყნარდა „სოვრემენიკი“, პოეტი ნეკრასოვი, — ვერ გასწვდა ჩერნიშევსკობას.

პისარევის „რუსკოე სლოვო“ კი უფრო მყვირალა რადიკალიზმით და ისტერიული ნიჰილიზმით ხასიათდებოდა და აკლდა ის სიღრმე და პერსპექტივა, რაც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის დროს „სოვრემენიკ“-ს ჰქონდა.

ამ სახელოვანი ბრძოლების ოცი წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ, თანაგრძნობით გამთბარი სტრიქონები უძღვნა მე-60 წლების განმანთავისუფლებელ მოძრაობას:

„ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს, იმ დრომდე თვალდახუჭულმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიღვა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების, ნამუშევარმა“.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით აფასებდა ამ საზოგადოებრივი მოძრაობისა და გამოფხიზლების ეპოქას და იმ კრიტიკას, რომელსაც ეს თაობა ძველი წყობილებისა და წესების მიმართ აწარმოებდა. ილია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ახალმა თაობამ ნახა, რომ რუსეთის „სნეულეზის. სათავე — თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება ერთხელ და ერთხელ შემოდებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარპყო იგი წყობა. უარპყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა.

უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა პოეზიაში, მეცნიერებაში და პუბლიცისტიკაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუფიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განხედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალი მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „სოვრემენიკ“-ი.

საყურადღებოა, რომ პისარევის უარყოფილობა ილია ჭავჭავაძეს არ მიაჩნია სახელოვანი „სოვრემენიკ“-ის გაგრძელებად. ილიამ სწორად შენიშნა პისარევისა და ჩერნიშევსკის შეხედულებათა შორის განსხვავება. სანამ მე-60 წლების განმათავისუფლებელ მოძრაობას სახელოვანი „სოვრემენიკ“-ი ედგა სათავეში, „ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენევმა რომ ყოვლის უარყოფელი გამოხატა, „სოვრემენიკ“-მა თავის მოძმედ არ მიიღო და ითაკილა, თუმც კი ჭეშმარიტი ლიბერალური მოძრაობა რუსეთში და თვით უარყოფა „სოვრემენიკ“-ის საქმე იყო და დროშა ლიბერალებისა მას ეჭირა. პისარევმა კი ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ეს?.. იმიტომ რომ „სოვრემენიკის“ უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა—ამას გარდაცილებული და ბაზაროვისათვის ავისა და კარგის გაურჩეველი“.

ილია ჭავჭავაძე სწორად არკვევს ამ ორი მიმართულების სხვაობას: სავსებით მართალია, რომ პისარევმა მიიღო ბაზაროვის ნიჰილიზმი; ის წერდა:— „ტურგენევი ჩაუფიქრდა ბაზაროვის ტიპს და გაიგო ის ისე სწორად, როგორც ვერ გაიგებს ვერც ერთი ჩვენი ახალგაზრდა რევალსტი“. პისარევმა ბაზაროვი ახალი თაობის წარმომადგენლად მიიჩნია დამასში დაინახა „ის თვისება, რომელიც მასებშია მიმოზნეული“. სულ სხვაგვარი იყო ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მიმდევრის მ. ანტონოვიჩის აზრი: მან ტურგენევის რომანი მონათლა როგორც „ულმობელი და გამანადგურებელი კრიტიკა ახალ თაობაზე“.

ილია სავსებით სწორად ამბობდა, რომ ბაზაროვი არ იყო მე-60 წლების რევოლუციური დემოკრატიის ტიპი, ის უფრო პაროდია იყო ამ თაობაზე. იმიტომ ამ ბრძოლებში ილიას სიმპატიები „კარგისა და ავის გამრჩევ“ სახელოვან „სოვრემენიკ“-ისკენ იხრება. ილია ჭავჭავაძე ძველის დიდი უარყოფელი და ულმობელი კრიტიკოსია; მაგრამ პისარევის ნიჰილიზმამდის ის არასოდეს არ მიდის.

პეტერბურგის უნივერსიტეტი, სადაც იმ დროს ილია ჭავჭავაძე სწავლობდა, მე-60 წლების განმათავისუფლებელი იდეების ქარტეხილში იყო მოქცეული. „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები აღიჭურვენ იმ რწმენით, რომ მათაც ეთქვათ თავისი სიტყვა.“

1857 წლიდან უნივერსიტეტში გამოსვლას იწყებს სტუდენტთა კრებული, რომელმაც საკმაოდ გამოამყლავნა ახალი თაობის რადიკალური განწყობილებები. არსდება სხვადასხვა საზოგადოებები და წრეები, იმართება სტუდენტთა საჯარო კრებები. რევოლუციის ენტუზიაზმი სტუდენტობასაც იპყრობს.

ოფიციალური „აკადემიზმი“ ველარ აკმაყოფილებს ახალ თაობას, გერცენის, ჩერნიშევსკის, გარიბალდის და ეპოქის სხვა სახელოვან ადამიანთა იდეები ბატონდება უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრებს ამშვენებდნენ ლიბერალური იდეებით განთქმული პროფესორები: კ. კაველინი, ვ. სპასოვიჩი, პ. რედ-

კინი, პ. პავლოვი, მ. სტასიულევიჩი, ა. პიპინი, უტინი, კოსტომაროვი და სხვები.

საძოქალაქო სამართლის იშვიათი სპეციალისტი, ბელინსკის, გრანოვსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის უახლოესი პედაგოგი. — პროფ. კ. კაველინი, იურიდიული ფაკულტეტის სხვა სტუდენტთა შორის ილია ჭავჭავაძესაც უკითხავა ლექციებს. ცნობილია, რომ კაველინს სტუდენტთა არეულობის ხელის შემწყობად თვლიან და 1861 წ. კიდეც კაპაძეებს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან.

„მიმზიდველობის ძალა, რომელიც კაველინს გააჩნდა, იმდენად დიდო-იყო, რომ მას ემორჩილებოდა ყოველგვარი ასაკის, ნაციონალობის, ხელობის და კლასის წარმომადგენლები“ — წერს კაველინის უახლოესი მეგობარი სპასოვიჩი. კაველინი ფართო ლიბერალურ გეგმებს აყენებდა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების შესაცლელად. მათგან მთავარი გლესთა ქანთავისუფლების საკითხი იყო.

კაველინი თავის მოხსენებითს ბარათში უამრავი დოკუმენტალური მასალით ამტკიცებდა ბატონყმური რეჟიმის გამანადგურებელ გავლენას საზოგადოებაზე. ფართო რადიკალური გეგმები ჰქონდა მას აგრეთვე ეროვნული საკითხის მოსაგვარებლად.

ეს ის დრო იყო, როდესაც პოლონეთის საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა. გერცენმა ფართო ადგილი დაუთმო „კოლოკოლ“-ში პოლონეთის ამბებს და პოლონეთის ნაციონალურ მოძრაობას თანაგრძნობა გამოუცხადა.

სწორედ ის წლები, როდესაც ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა; იყო კაველინის ცხოვრების მწვერვალი. მისი სახელი სცილდებოდა საუნივერსიტეტო აუდიტორიებს, ის ძალზე ახლოს იდგა „სოვრემენიკ“-თან.

თავის მოგონებაში კაველინი ლაპარაკობს, რომ „უარყოფითმა დამოკიდებულებამ ჩემს გარშემო არსებულ სინამდვილისადმი, — როგორც სოციალურ-რელიგიურ, აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრებისადმი, ღრმად გაი-იდგა ჩემში ფეხი ბელინსკის გავლენით“. თუმცა კაველინის ეს ლიბერალური ტენდენციები მალე მინელდა. ლენინი გენიალურად ახასიათებს მის ლიბერალიზმს: „ლიბერალური მონობის ერთი უსაზიზღრეს ტიპთა-განი, კაველინი, რომელიც ადრე აღტაცებაში მოდიოდა „კოლოკოლით“ (ტომი XV, გვ. 579, ტფილისი, 1934).

პეტერბურგის სტუდენტთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „სისხლის სამართლის“ დიდი სპეციალისტი, განთქმული იურისტი პროფ. ვ. სპასოვიჩი. მან სწორედ 1857 წლიდან დაიწყო ლექციების კითხვა პეტერბურგის უნივერსიტეტში.

მისი მომზიბლავი ლექციების შესახებ საკმაოდ ვრცლად ნ. ნიკოლაძე ლაპარაკობს თავის მოგონებებში.

ილია ჭავჭავაძე, გ. ყიფშიძის ვადმოცემით, ღიმილით იხსენებდა თავის პოლემიკას უცნობ კაცთან, რომელიც შემდეგ ვ. სპასოვიჩი აღმოჩნდა. შემდეგშიც ილია ჭავჭავაძეს ხშირად მოუხდა მიემართა სპასოვიჩის ავტო-

რიტეტიისათვის სხვადასხვა საკითხის გასარკვევად. ცნობილია, რომ ლი-
ბერალი სპასოვიჩი მხარს უჭერდა „ეროვნებათა უფლების აღდგენას“.
„ბ-ნ სპასოვიჩის სიტყვას, თქმულს ამ საგანზე, — წერდა ილია 1880 წ.
მარტის შინაურ მიმოხილვაში, — იურიდიულ საზოგადოებაში 2-ს თებერ-
ვალს, ასეთი ზედმოქმედება მოუხდენია მსმენელებზედ, რომ ტაშის კვრას
ბოლო არა ჰქონია... სპასოვიჩს უთქვამს, რომ საჭიროა სამართალი იმ
ენაზედ სწარმოებდეს, რომელზედაც თითონ ერი ლაპარაკობს“.

მე-60 წლებში ვ. სპასოვიჩის სახელი ძალზე პოპულარული იყო. მას
მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა სტუდენტთა შორის. განსაკუთრებით
სპასოვიჩი ეროვნებათა საკითხით იყო დაინტერესებული. სპასოვიჩის
პროგრამა ვერ სცილდებოდა ლიბერალურ რეფორმისტულ იდეებს, მაგ-
რამ მისი ავტორიტეტის მოშველებას მაინც საჭიროდ ცნობდნენ იმ დროს.

ნაციონალური მოძრაობის გარკვევისას სპასოვიჩი ხაზს უსვამს იმ
გარემოებას, რომ მე-60 წლებამდის პასიობა იყო გამეფებული, ბრმა
ოწმენა ხელისუფლებისადმი. „ამის რეაქციაა სწორედ ნამდვილი პატრიო-
ტიზმი — სიყვარული ცოცხალი ხალხისადმი“. სპასოვიჩის ამ მოსაზრე-
ბას ჩვენ თერგდალეულთა შეხედულებებთან, კერძოდ ილია ჭავჭავაძის
ეროვნულ პროგრამასთან, თვალსაჩინო მსგავსება აქვს. შეიძლება ითქვას,
სპასოვიჩის ზოგადად გამოთქმული აქვს ის აზრი, რაც მე-60 წლებში ამ
საკითხზე მოწინავე ახალგაზრდობის შეხედულებებს წარმოადგენდა.

მემუარული ლიტერატურით და დოკუმენტალური მასალებით დადას-
ტურებულია ის ფაქტი, რომ სპასოვიჩის, კაველინის, კოსტომაროვის და
სხვა მოწინავე პროფესორთა დროს აუდიტორია ველარ იტყვდა მსმენე-
ლებს.

„დიდძალი ცნობისმოყვარე ხალხი ორივე სქესისა და სხვადასხვა ასა-
კისა ავსებდა ღია აუდიტორიებს“ — წერს სპასოვიჩი თავის მოგონებებში.
ამ მრავალ მხრიდან განვითარებული პროფესორებისაგან საზოგადოება
იღმენდა ეპოქის მოწინავე ადამიანთა აზრებსა და იდეებს.

განმათავისუფლებელი ეპოქის ქაროშხალი შეიჭრა საუნივერსიტეტო
ცხოვრებაში. ამოძრავდა ახალგაზრდობა. 1861 წლის გაზაფხულიდან
მთავრობამ მოინდომა „წესრიგის დამყარება“ საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის ყველა დარგში. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობას მნიშვნე-
ლოვანი მონაპოვრები ჰქონდა ამ დროისათვის სხვადასხვა საზოგადოე-
ბების, წრეების თავისუფალი შეკრებების, კრებულის გამოცემის და სხვა-
თა სახით. განათლების სამინისტროს ორგანოები შეეცადნენ ყველა ამ მო-
ნაპოვართა თანდათანობით წართმევას, მოწინავე სტუდენტობა წინ აღუ-
დგა მთავრობის რეაქციულ ზომებს.

ვ. სპასოვიჩის გადმოცემით სტუდენტთა მღელვარება ჯერ კიდევ 1861
წლის თებერვალში დაიწყო. 1861 წლის 8 თებერვალს საუნივერსიტეტო
შეკრებაზე, სადაც პროფესორ კოსტომაროვს მოხსენება უნდა წაეკითხა
კ. აქსაკოვის შესახებ, ხელისუფლების წარმომადგენელთა და სტუდენტთა
შორის ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ადმინისტრაცია
მოითხოვდა სტუდენტთა შეკრებების ლიკვიდაციას. შეიქნა ხმაურობა,

ხალხი და სტუდენტობა ზმამალა მოითხოვდა კოსტომაროვის მოხსენებას, რექტორი დიდის ჯაფით ამშვიდებდა ხალხს დაპირებებით... 1861 წლის თებერვლის ბოლო და მარტის დასაწყისი მიმდინარეობდა ახალი შეჯახებებით სტუდენტთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის, რომელმაც თანდათანობით გრანდიოზული ხასიათი მიიღო.

სტუდენტთა მღელვარებამ ზენიტს სექტემბრის ბოლო რიცხვებსა და ოქტომბერში მიაღწია. მთელი საზოგადოებრივობის ყურადღება „სტუდენტთა ისტორიისაკენ“ იყო მიქცეული. მალი-მალ იწვევდა სამინისტროსა და უნივერსიტეტის საბჭოს სხდომები. მუშავდებოდა ცირკულარები, ქვეყნდებოდა განცხადებები და მოწოდებები, მაგრამ სტუდენტობა აგრე რიგად არ თმობდა თავის პოზიციებს.

მთავრობამ მიმართა ე. წ. „მატრიკულების“, სისტემას, რითაც გარკვეული ბიუროკრატიული რეჟიმი უნდა განმტკიცებულიყო უნივერსიტეტში; „მატრიკულების“ დარიგებას განათლების სამინისტროს ორგანოები პროფესორებს ავალდებდნენ. მაგრამ პროფესორთა საბჭოში არ აღმოჩნდა ისეთი პირი, რომელიც იკისრებდა ამ „მატრიკულების“ შემოღების პრობანდას. მთავრობა უნივერსიტეტიდან გარიცხვით ემუქრებოდა იმ სტუდენტებს, რომლებიც უარს განაცხადებდნენ მატრიკულის მიღებაზე.

დაცალიერდა უნივერსიტეტის აუდიტორიები, თითო-ოროლა არ არღვევდა დერეფნებში მყუდროებას, სამაგიეროდ უნივერსიტეტის ეზო ამჟღავნებდა სტუდენტთა სულისკვეთებას.

„ბევრი „მატრიკულისტი“, რომლებსაც უსაყვედურებდნენ ამხანაგები საუნივერსიტეტო წესების დამორჩილებას, ხევდა წიგნაკს და ყრიდა ქვაფენილზე. ასე რომ დახეული ქალაღების გროვა მიმოფანტული იყო მთელი უნივერსიტეტის შენობის გასწვრივ“ — წერს სპასოვიჩი.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში მასიურად დაიწყეს სტუდენტების დაქერა. სტუდენტთა „არეულობის“ გამო პირველ დღეებშივე 300 კაცამდის იყო დაპატიმრებული. ეს მოძრაობა უაღრესად მასიური იყო და ქართველ სტუდენტებს ამ მოძრაობაში უკანასკნელი ადგილი არ ეჭირათ. პეტრეპავლოვის ციხეში ადგილის უქონლობის გამო, ბევრმა ქართველმა სტუდენტმაც მოინახულა კრონშტადტი.

სწორედ ამ ამბების მონაწილე ილია ჭავჭავაძე ბრუნდებოდა საქართველოში და თან მოჰქონდა მოწინავე აზრებით გატაცებული თაობის საუკეთესო იდეალები.

II

„როგორც ბურუსიანი, ღრუბლიანი, თბილი და მშვიდი დღე, ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრებაც.

არც წვიმა საღმე, არც ქარიშხალი, ელვას რომ ათასში ერთხელ ვღირსებოდით, დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, ხელს აღვაპყრობდით ცისკენ და ღალადებით ქებასა და მადლობას ვეუბნებოდით უფალს ელვისა და ქუხილის გაჩენისათვის ერთის წამით“. — საქართველოში დაბრუნებიდან

22 წლის შემდეგ წერდა ილია. ამ შეტყობვაში მოცემულია მე-19 საუკუნის I ნახევრის საზოგადოებრივი ყოფა. ცოცხალი აზრი იშვიათად თუ გაიფიქრებდა, საზოგადოებრივი აზრი მოდუნებული იყო და წვრილმანი ინტერესებით შემოფარგლული.

„ასეთი გახლდათ ის წარსული დრო, დრო მე-40—50 წელთა, დრო ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიმდინარებისა“.

მართალი იყო ილია ქავკავაძის ეს შეხედულება, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა სდევნიდა ყოველგვარ ეროვნულს, პრივილეგიური წოდება ქართველი ხალხის ინტერესებს ჩინ-მენდლებზე ცვლიდა, და მეფის რუსეთის მხედრობასთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა დაღესტნის მთებში შამილის შესაპყრობად. კულტურული ცხოვრება იმ დროინდელ საქართველოში მოდუნებული იყო. ფეოდალიზმის წყვედიადით მოსილი იყო ქვეყანა, ხალხი კოლონიზატორთა უხეშ ბრძკვალებსა და ქართველი ფეოდალების ბატონობის უღლის ქვეშ გმინავდა და მცირე ელვაც ხომ სანატრელი იყო ამ პერიოდში.

„მწერლობაც ამგვარის მიმდინარებულის ხასიათისა გახლდათ მაშინ, იგი ზედმიწევნის სინამდვილით გვიჩატავს მაშინდებურს ჩვენს არარაობას, ჩვენ სილატაკეს აზრისას თუ ცხოვრებისას; ჩვენს მოღალულობას; ცხადი საბუთებით მოწმობს დღესაც მაშინდელი ჩვენი მწერლობა და ლიტერატურა. მაშინდელის ჩვენის მოღალულობის, ჩვენის დავარდნის, ჩვენის განიადგების ცხადი, უტყუარი სახსოვარია ამ ჩვენი გონების ნაღვეწში“. მართალი იყო ილია, იმ დროინდელი ქართული ლიტერატურა სწორედ დაცემულობას და განიადგებას გამოხატავდა.

ჯერ კიდევ რუსეთიდან გამოგზავნა ილიამ ჟურნალ „ცისკრის“ სამსჯავრო მასალა, რითაც განადგურა არა მარტო რევან ერისთავის ზილაჯო თარგმანი, არამედ „ცისკრის“ მთელი მიმართულებაც. ამ წერილით ილიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა უშინაარსო სიტყვებითა და რითმების რახარუხით გატაცებულ „ცისკრის“ პოეტებს; „პოეზია განსხივოსნებაა ქეშმარიტებისა. ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადამბულ რითმებისა“ — წერდა ილია.

კიდევ უფრო რელიეფურად ეს აზრი ილიამ „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში გამოთქვა: „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასაუქვობესებელ ღონისძიებათა... ჩვენ შეჩიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვირთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა“.

ილიამ ბრძოლა გამოუცხადა სქოლასტიკურ-ფეოდალურ აზროვნებას და მწერლობას და მწერლობისაგან მოითხოვდა საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლება-ამოძრავებას, ლიტერატურა ცხოვრების შემეცნებისა და გარდაქმნის იარაღად გამოაცხადა.

ამიტომ ბუნებრივია, ილიას ვერ დააკმაყოფილებდა ის „ცისკარი“, რომელიც „დაგვიანებულია და უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მისჩანჩალებს, როგორც ფენმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოჭლი ჟურნალი არამც თუ

არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებას, არამედ თავ-
მოწონებით ჰკრევს, რაც თვით საზოგადოებამ თავის განვითარების გზა-
ზედ გადაყარა, როგორც უვარგისი და გამოუსადეგარი“.

„ცისკრის“ წინააღმდეგ ბრძოლა არ განისაზღვრება მარტოოდენ ლი-
ტერატურული საკითხებით: ილია ჭავჭავაძეს პირველ კრიტიკულ წერი-
ლებს ჰქონდა უაღრესად საზოგადოებრივ-პოლტიკური მნიშვნელობა.
როდესაც ილია სენტიმენტალურ-რომანტიულ მწერლობას კიცხავდა, ამით
ის ბრძოლას უცხადებდა საზოგადოებრივ უმოქმედობას, უიღებობას, კონ-
სერვატიზმს.

საჭირო იყო რეალისტური ხელოვნების კრიტიკული, მამხილებელი და
ძლიერი ხმა, რომ გამოეფხიზლებია მიძინებული საზოგადოებრივი აზრი,
მოეხდინა სასიცოცხლო ძალების კოორდინაცია. თუ „ცისკრის“ მწერ-
ლობის ჩამორჩენილობას და მაჩანჩალობას გავითვალისწინებთ, ადვი-
ლად ასახსნელი იქნება ილიას კრიტიკული წერილების მკაცრი პოლემი-
კური ტონი.

ილია მოითხოვდა ლიტერატურისაგან ცხოვრების შეცნობას, საზოგადო-
ებრივი აზრის ამოქმედებას.

ამიტომ, ყალბი, მტირალა — სენტიმენტალური მიმართულება, რომე-
ლიც რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ 40 წლებში ბ. ბელინსკის მიერ
ენერგიულად იყო გაკიცხული, სქოლასტიკა, ცხადია, ვერ დააკმაყოფი-
ლებდა ილია ჭავჭავაძეს.

თავისი ლიტერატურულ შეხედულებათა გარკვევისას ილია ჭავჭავაძე
ხალხის ინტერესებიდან გამოდის. პირველად ილიამ წამოაყენა გაბედუ-
ლად ხალხურობის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში.

„წინათვე მოგახსენეთ — წერს ილია — ხალხია ენის კანონის დამდგენი
და არა ანბანთ თეორეტიკა“. ხალხი ილიასთვის იყო არა მარტო ენის
კანონმდებელი, არამე დიდი შემომქმედი ძალა, დასაყრდენი საზოგადო-
ებრივი აზრის გამოეფხიზლებისა. თავისი პროგრესიული იდეების მატარებ-
ლად და განმხორციელებლად ილიას ხალხი მიაჩნდა. ილიას აზრით,
მწერლობას უნდა გამოეფხიზლებია ხალხი, შეეტყო მისი მაჯის ცემა.

„მრავალი წელიწადია, რაც ჩვენს საზოგადოებას ერთი ცოცხალი
აზრი, ერთი ფხიზელი გრძნობა არ ჩავარდნია გულში“ — წერდა ი. ჭავ-
ჭავაძე.

საზარალია განახლების სურვილი, ეროვნული თვითცნობიერების
აზრი მძლავრად გაისმის ილიას პირველ ნაწერებშიაც. პასიობას და ჩა-
მორჩენილობას მწერალმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუტყადა. ილიამ
მოითხოვა ბრძოლის სულით გაჟღენთილი მწერლობა. უდარდლობის და
ტკბილი ძილისთვის მან სამართლიანად გაკიცხა „ცისკრის“ პოეტები, და
კერძოდ დ. ბერიევი: „რომელიც გუთნის-დედას აძინებს ხოლმე და ანუ-
გეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არა არის-რა ქვეყანაშიო—ის კი არ აგონ-
დება უფ. ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა და-
გვლუპა“.

ბრძოლით მოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში. ილია.. „ნუ თუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა. — კითხულობდა ილია და თვითონვე იძლეოდა პასუხს — მეც მაგას ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა, მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს“. ხალხის სახელით ილია მოითხოვდა კატეგორიულად ფეხი ამოეკვეთა ლიტერატურიდან უნიჭო მბლაჯნელებს.

„აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო, უამი რას ითხოვს ტირილსა თუ სიცილსა, გაყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას“. „აჩრდილში“, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „მგზავრის წერილებს“, ილია ჭავჭავაძემ საქართველოს ასე მიმართა:

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამალღებული ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას, იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული, უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის, მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა, და იგი ცრემლი ურწმენობის, ექვის და ტანჯვის, ჰლაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა“.

ამ მიმართვაში ჩანდა ცხოვრების შეცნობის, მისი „დენის“ უსუსურობა, რომელიც იმ დროინდელი ქართველი საზოგადოებრივობისათვის დამახასიათებელი იყო. ილია იმ თავითვე გარკვეულ სამოქმედო გეგმით გამოდის; შეიძლება ითქვას, არც ერთი ქართველი მწერალი არ გამოსულა ისე ჩამოყალიბებული და გარკვეული მსოფლმხედველობით, როგორც ილია ჭავჭავაძე. ილიას ლირიკული ლექსებიც უაღრესი იდეურობით არის გამსჭვალული.

პირველ რიგში ილიამ ეროვნული თვითგამორკვევის, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი შოძრაობის საკითხი წამოაყენა. ეს იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მაგისტრალური ხაზი.

მამათა და შვილთა ბრძოლის მთავარ საგნად ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ საკითხს აყენებდა და მიჯნად ორ თაობას შორის ამ საკითხის წამოჭრას თვლიდა. „ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულყო. ის „სხვა რამე“ იყო ჩვენი. დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველთვის მოსალოდნელის ფათერაკისაგან, რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხად-ზედ ცხადია“.

ეს საკითხი ილიას მიაჩნდა ყოველთვის ცხოველმყოფელ ცენტრალურ საკითხად. „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“, — სთქვა ჭაბუკმა პოემატ და ამ მამულის აყვავებას ემსახურა ის ნახევარ საუკუნე

ნის განსაველობაში. მისთვის დაცემული ვინაობის აღდგენა ყოველთვის აყო ახალი და სასიცოცხლო პრობლემა.

„ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერ და კუთვნილ ადგილს არ დაიქერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი, ამაზედ უმძი-მესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს“.

მე-60 წლებში, როდესაც ი. ჭავჭავაძე გამოდის სამწერლო ასპარეზზე, მამულის ცნება პირველად ლებულობს შესაფერ მნიშვნელობას. ფეოდა-ლიზმით დაქუცმაცებულ საქართველოს, კუთხური, სეპარატული იდეებით დანამცეცებულ ქვეყანას, ბუნებრივია, საერთო ინტერესები არ ამოძრა-ვებდა:

აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა,
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული.
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული.

სხვა ადგილას ილია წერდა: „ასეთნაირად დანამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ გავანამცეცეთ. მამული ერთობ ჩვენს სამშობლო ქვეყანას კი არა ჩიხნავს, არამედ თვითეულს სოფლის საკუთრებასა“.

ამხანაგი ი. სტალინი შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლო-ნიალური საკითხი“ — არკვევს ქართველების ერთ მთლიან ერად შეკავში-რების საკითხს:

„რეფორმების წინა-ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ; მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან, ნაწილდებოდნენ რა ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მთელ რიგ სამთავროებად, მათ არ შეეძ-ლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეების გან-მავლობაში ომობდნენ ურთიერთშორის და ანადგურებდნენ ერთმანეთს, უსისიანებდნენ ერთიმეორეს სპარსელებსა და თურქებს. სამთავროების ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა, და ეს გაერთიანება ჩქარა ინგრე-ოდა თავადების უნიანობით და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების პირობებში. საქართველო, როგორც ერი, გაჩნდა მხოლოდ მე-19 საუკუ-ნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის დაცემამ და ქვეყნის ეკონო-მიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარ-მოშობამ დააწესა შრომის დანაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროების სამეურნეო კარჩაკეტილობა და შე-აკავშირა ისინი ერთ მთელად“ (ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, გვ. 9. ტფილისი, 1934 წ.)

ამიტომაც სამოციან წლებამდის „მამულის“ ცნება ერის მნიშვნელო-ბით არ არსებობდა. ფაქტიურად ის ილია ჭავჭავაძის ეპოქასთანაა და-

კავშირებული. ეროვნული თვითგამორკვევის და თვითმოქმედების იდეა ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. პატრიოტული მოტივები ქართული ლიტერატურისათვის უჩვეულო არ ყოფილა წინათ, მაგრამ მას უმეტეს შემთხვევაში კუთხური ხასიათი ჰქონდა. ეროვნული მთლიანობის იდეა მე-60 წლებამდის ქვიშაზე იყო აგებული. ამავე დროს გასათვალისწინებელია საქართველოს სპეციფიკური კოლონიალური ჩაგვრა.

ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლები ადვილად შეურიგდნენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას; მხოლოდ რომანტიკული ოხვრა თუ აღმოხდებოდა ზოგიერთს. ცარიზმისათვის უვნებელი იყო ეს სასომიხილი წუწუნი, რადგან რეალური საყრდენი ამ პატრიოტიზმს არ მოეპოვებოდა. მე-60 წლებიდან შესაძლებელი ხდება „მამულზე“ ლაპარაკი სამშობლოს მნიშვნელობით.

ილია ჭავჭავაძემ გაბედულად წაპოაყენა საქართველოს გაერთიანების, ეროვნული თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის იდეა. საყურადღებოა, რომ ილიამ ამ ეროვნული იდეების მატარებლად ხალხი მიიჩნია, „ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“. ამ შეფასებაში ილია სავსებით სწორი იყო. ის ხალხს ეყოდნობოდა, ამ გამოფხიზლების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სული და გული ხალხი იყო. იტალიის სახელოვანი გმირის გარიბალდის მოღვაწეობა ცხადლივ ამტკიცებდა ამ დებულებას. ილიამ საფუძვლიანად იცოდა ამ მოძრაობის ამბავი და ალტაცებით თანაურგძნობდა ყოველთვის გარიბალდის სახელთან დაკავშირებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იტალიაში. ასეთივე თანაგრძნობით ხედებოდა ის ამ მოძრაობას საბერძნეთში, ირლანდიაში და სხვაგან.

ილიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამა რომანტიკულ ილუზიებზე არ ყოფილა აგებული. ეროვნული თვითგამორკვევა უნდა მიღწეული ყოფილიყო ცხოვრების საერთო გარდაქმნასთან ერთად. ბუნებრივია, შეუძლებელი იყო ლაპარაკი ეროვნულ მოძრაობაზე ბატონ-ყმობის და საერთო ჩამორჩენილობის პირობებში. ამიტომ ილიას ეროვნული პროგრამა მკიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო რეფორმებს, უპირველესად ყოველისა ბატონ-ყმობის მოსპობას. ეს ინსტრუქტი პირდაპირ შეუთავსებელია ილიას ეროვნულ პროგრამასთან.

იდეა ქვეყანას

რუსთაველის ხალხი გზრდიდა,
რუსთაველური მადლი ზენა,
შენ სინათლედ მოხველ მზიდან,
ირგვლივ რყო ცრემლის დენა;
საქართველოს ბედზე ფიქრმა
არსად აღარ მოგასვენა.

შენ მთასავით იდექ მთებთან,
ფალავანი, ქართვლის გმირი;
ხალხის ტანჯვა გაშფოთებდა,
გაღელვებდა მოძმის ქირი;
ხალხს ეძებდი, ხალხმა გნახა
ხალხისათვის განაწირი.

ყვარელის მთებს აღარ სძინავთ,
ბროლის სხივებს აფრქვევს მტკვარი;
თერგი შხუის, ზევში გრგვინავს
სიმღერის და შრომის ქარი;
სამშობლოში ყველგან ბრწყინავს
დიდ ილიას ნატერფალი.

დიდო მეოსანო

დღეს საქართველო ყველას გვახარებს,
ბაღში არ სტირის თბილი ვაზი.
ნეტავ განახა სამშობლო მხარე
ამ გაზაფხულით და სილამაზით.

ხმამ სიმართლისამ რომ დაიქუხა,
კვამლივით გაჰქრა წარსულის ლანდიც.
შენს ალაზანთან გაცოცხლდა მუხა,
შენს ნაცრემლარზე ამოდის ვარდი.

და მწვანე ჰფარავს ტრამალს ქვიშიანს
ოდამ შესცვალა ქოხები ისლის.
ნეტავ იცოდე, ქართლის ძიღშიაც
რა განახლების სიმღერა ისმის!..

წინამართას

მეხის ქუხილი რომ შემოგესმა,
ქართლზე ფიქრობდი მაშინ იქნებ და...
რას იაზრებდი, ვინმე ოდესმე
შენს სასიკვდილოდ ხელს გაიქნევედა,
ტყვია მოგარტყეს, შეგაწყვეტინეს
ჩუმი ბაასი მაღალ ფიქრებთან.

თვალცრემლიანი დასტოვე ვაჟა,
აკაკიც დარჩა ობოლ სანთურად.
ატირებულან, შშობლიურ ლაჟვარდს
რომ მოგაშორეს მუხანათურად,
მიწაში ჩაფლეს შენი სახელიც,
დღეს რომ ამდგარა და გამართულა.

შემოიღრუბლავს გულს წიწამური
და მოგონება თვალებს დანამავს;
ქვეყნის ვარამის მხრებით ამტანო,
დიდება სისხლში ვინ აბანავა, —
ბრალია დღენი ლოდს ქვეშ ატაროს
ხალხის მესიტყვემ შენისთანაჟა.

ვიგონებთ გმირს და დიდებულ მგოსანს,
გზაზე დაცემულს ვერაგის ხელით;
ნეტავ დაგცლოდა ჩვენამდე მოსვლა,
შენი სამშობლოს გენახა მხსნელი,
რა სიყვარულის დაფნებით გმოსავს,
დღეს საქართველო თვალგანახელი.

იქიას

მთაწმინდის კლდისა ნაჟური
 წარსულის ცრემლის დენაა;
 ხოლო სიმტკიცე კაჟური
 დღევანდებობის ღხენაა...
 შენი სამშობლო ამჟამად
 *ზაფხულის გამოფენაა:
 უწინ თუ არსად არ სჩანდა,
 დღეს, ნახე, რამოდენაა...
 ცა გადმოსცქერის ლაჟვარდა,
 მზის სხივთა ჩამოცვენაა.

აქ ყველა ერის ჰანგების
 ერთ ხმაზე ამღერებაა,
 ხმაშეწყობილი ჩანგების
 საამოდ აჟღერებაა...
 შენ რომ ელოდი, იმ გმირის
 აზრების დაჯერებაა...
 გულითად ამხანაგების
 გულების აძგერებაა...
 ძველად ნგრეული ამ ქვეყნის
 გულდაგულ აშენებაა,
 შენ დროს ჩაგრული ხალხების
 სილალით გაჯერებაა.

ილიობაზე წამოვლენ
 ფოლადატურის მუხლითა,
 დამხვდურნი დაუხვდებიან
 ღიმილით, განა ჭმუხვითა,
 ჭიშკარში შეუძღვებიან
 გულის სილალით — უხვითა,
 ნიგოზ ქვეშ — სადაც ქვებია,
 წყარო სჩქედს ამოქუხვითა,

რიგრიგად ჩამოსხდებიან
დამტყბარნი ნასაუბრითა,
ძახილით ვადუწვდებიან
ერთმანეთს გაშლილ სუფრიდან,
მზის სხივებს მოიჩრდილებენ
ნიგვზის ტოტებით — ჯმუხითა,
სიმღერებს მოუხშირებენ
ჯიხვების ჯახა-ჯუხითა.

შენ გამოჩნდები მკინვარზე,
როგორც მოხუცის აჩრდილი;
მზეს გაუღიმებ ბრწყინვალეს —
ცისაკენ ხელებგაწვდილი...
მხარე ზურმუხტად ბზინვარებს,
ხალხს უდგა ბალი გაშლილი:
ელირსენ ასეთ სილადეს
ზაქრო და ბლაჭიაშვილი.

შენ უკეთ იცი: მათ მხრებზე
რა გრგვინვამ გადაიარა;
საუკუნეთა მანძილზე
აჟღარუნებდნენ იარაღს!
დღეს მათ სინათლე არტყიათ,
ტყე და ღრუბელი კი არა.
მგოსანო, არც შენ გატყვია
დიდებულ შუბლზე იარა.

მოხვალ, შეხვდები წვეულებს —
დარბაისელი ქართველი,
მამულიშვილი, მეურნე
და მთელი ერის მმართველი...
ხელს ჩამოართმევ რჩეულებს,
ეტყვი რაცა ვაქვს სათქმელი;
შრომით გმირობას ჩვეულებს,
მოხიბლავსთ შენი სახელი.
შენ-კი, რაც იყავ — ისა ხარ:
კაცი, ნამუსის ქუდიფა.
დღესაც შუქურად გვიდგახარ
გაბრწყინებული შუბლითა...
ახდა, რაზედაც მღეროდი
ბრძოლის ხმით ანთებულთა,
დღეს ვხარობთ საქართველოთი,
მთა-ველებ მოჭარგულითა.

ილია ჭავჭავაძის კომედიური მემკვიდრეობა

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ნიკოლოზ ბარათაშვილმა გამო-
სთქვა არსებულ ცხოვრების მიმართ სრული უთანხმოება. პოეტმა კოს-
მიურ ტკივილამდე შესძლო აეყვანა მაშინდელ საზოგადოებაზე. მალე
მდგომ პიროვნების შინაგანი დრამა.

„მერანი“ს ქროლვისას ავტორმა მაინც გაიხსენა მყოფადში მიმავალი
თავისი მოძმე და განაცხადა, „გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩე-
მო, მაინც დარჩება, და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს“-ო.

ილიას განსაკუთრებით უყვარდა ბარათაშვილის ზემოთ მოყვანილი
სტრიქონები; ილია აზრობდა: „ბარათაშვილმა მართლაც გაათელინა გზა
მერანსა და ნავალიც დაამჩნევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდოდო?

ეს ამონაწერი ნათლად გვიმტკიცებს, რომ ბარათაშვილმა მოძმესა
თვისა თუ ვერ გაუადვილა სავალი გზა, მისამართი მაინც მისცა ილიას
მომავალ შემოქმედებას. ამიტომ ილიასა და ბარათაშვილის შორის ნა-
თესაობაც დიდია და განსხვავებაც. ქართველთა ცხოვრების სხვადასხვა
ხანის სუნთქვამ ისინი დააშორა და სხვადასხვა შინაარსი მისცა მეცხრა-
მეტე საუკუნის ორ დიდ შოაზროვნე პოეტის შემოქმედებას.

ბარათაშვილის პოეზია მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და
შასზე მალე მდგარ პიროვნების შორის არსებულ დისონანსის გამოხატ-
ვას წარმოადგენდა. მისთვის ნაპოლეონის სულიერი ენერგია და საკუ-
თარი მღელვარება ერთგვარ მხატვრულ ასოციაციებს იწვევდა. ერის და
საკუთარი პიროვნების ბიოგრაფიული ტკივილებით საზრდოებელი პოე-
ტი ეძებდა შვებას ბუნების საიდუმლოებაში და პირად ტკივილებს კოს-
მიურ ტკივილებს უახლოვებდა. ქართველთა სოციალური დრამის გა-
მოხატვაში ბარათაშვილი საკუთარ საბრძოლო პროგრამას ვერ აყენებდა
შკაფიოდ და ზოგად ემოციურობის ხასიათს ატარებდა მისი შემოქმედე-
ბითი მღელვარება. წარსულისა და მომავლის შეფასებაში „მერანის“
ავტორმა დაგვიტოვა უდიდესი პოეტური მღელვარება. მაგრამ საზო-
გადოებრივ საკითხებზე მკაფიოდ ვერ გამოთქვა თავისი სოციალური

პროგრამა. არც რეალისტურად დაწერილ „ბედი-ქართლისა“-ში მოგვცა პროექტმა საზოგადოებრივ საკითხებზე ნათელი წარმოდგენა და უფრო ფილოსოფიურ ლირიკას შესწირა თავისი ჩანგი. ილიას პროეტური ამოცანა უფრო კონკრეტული, მკაფიო და მიწიერი იყო. ილიას ერის წყლული აჩნდა წყლულად და ედაგოდა ერის წყლულით პროეტური შთაგონება. იგი პროეტური სიტყვით იბრძოდა ქართველი ხალხის გონების ამაღლებისთვის და ებრძოდა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას ჩვენს ცხოვრებაში. ლირიულ მონოლოგის თემად ილიამ უპირველესად ქართველი ხალხის ცხოვრება გაიხადა და არა პროეტის პირადი ბიოგრაფია. ბიოგრაფია საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე ილიას თითქმის არ გააჩნდა და ყოველი ლირიკული გამოთქმა პროეტისა საზოგადოებრივ შინაარსს ატარებდა. ერთი სიტყვით ილიას არ ჰქონია ის ეგოცენტრული „მე“, რომელიც ბარათაშვილისთვის და საერთოდ მსოფლიო რომანტიკოსების პოეზიისთვის იყო დამახასიათებელი.

ილიამ მაინც ბარათაშვილთან ერთად მიუახლოვა ქართული პოეზია მსოფლიო მოწინავე იდეების სამყაროს და ევროპის პროეტურ ოსტატობის კულტურას.

არ შეიძლება ითქვას ილიაც არ ყოფილიყოს კოსმიურ ჰარმონიის საკითხებით დაინტერესებული და ბუნების საიდუმლოებათა დიდი მხილველი. მაგრამ მაინც სამოქალაქო კილო და ერის წყლულები უმთავრეს პროეტურ ამოცანად იდგა ილიას მძაფრად ამღელვარებულ პოეზიაში. შინაგანი კავშირი მის პანტიესტურ და სოციალურ ლირიკის შორის არასოდეს არ დარღვეულა. ლირიული და ეპიური კულტურა ყოველთვის უკავშირდებოდა პროეტის მსოფლმხედველობითს მთლიანობას. მისი ლირიული დღიურები ეს ქართველი ხალხის განსაზღვრული დროის ცხოვრების აღმნიშნავი ჩანაწერებია.

საქართველოს ცხოვრებიდან ამოღებული თემატიური მასალა გახდა ილიას შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ. თვით მცნება ხალხისა პირველად ილიამ განსაზღვრა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენი სინამდვილის სურათები იყო მთავარი მამოძრავებელი ძალა ილიას პროეტური შთაგონებისა. ამიტომაც „აჩრდილის“ ავტორი გახდა მამათმთავარი ნამდვილი სოციალური პოეზიისა სიტყვიერ ხელოვნებაში.

„მგზავრის წერილებში“ პროეტმა ლირიული მონოლოგით დაგვისურათა პროეტის მოვალეობა. მისი აზრით პროეტმა უნდა „შეკრიბოს ყოველ კაცში არსებული ნაპერწკალი და ნუგეში სცეს დავრდომილს და მოსწმინდოს ცრემლი მტირალსა“. პროეტის ამგვარი გაგების შედეგად ილიას სწამდა: მამული მიიღებდა მის შემოქმედებას; საყვარელ მამულის სიტყვას არა მარტო ყურით ისმენდა პროეტი, არამედ მამულის სიტყვასა და დუმილსაც ერთნაირად ისმენდა მისი გულის ფეთქვა. ასეთი მღელვარებით შემოვიდა ილიას შემოქმედებითი ენერგია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოქალაქობრივ გრძნობების გაღვივება გაიხადა პროეტური თქმის მთავარ ამოცანად და მას დაეკისრა. წინამძღოლობა ქართველი ხალხისა.

ილიას პოეზია მთლიანად მიმართულია ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს განწყობილება უდიდესი ექსპრესითაა გამო-
თქმული პოეტის ლექსებში. ილიას პოეტური მემკვიდრეობის ყურადღე-
ბით შესწავლა ჩვენ გვაბედვინებს ვთქვათ: ილიას პოეზიაში არის ში-
ნაგანი მღელვარება რიტმისა, რომელიც უსათუოდ მომავალი რევოლუ-
ციის მომასწავებელია. მთელი ილიას პოეტური შემოქმედება გვიმტკი-
ცებს, რომ პოეტს ტიუტჩევისებურად არ ეშინოდა რევოლუციისა; პა-
ეტი ფარდას ხდიდა საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველგვარ კუნჭულს,
რათა დაბალი ფენების შეგნებაში შესულიყო ახალი სინათლე და ცხოვ-
რების წინააღმდეგობანი მზის სინათლეზე დიდი სიმძაფრით გამოჩე-
ნილიყო.

ილიას შემოქმედებას არ ახასიათებს სიწყნარე დასრულებულ ოსტა-
ტისა. მისი პოეტური ეპიზოდების დრამატიული მღელვარება უძლიერე-
სია და პოეტი შეთანხმებულია მთლიანად თერგის გაქანებულ დენასთან,
სწორედ ამიტომ არის რევოლუციის წინაგრძობა, ან უკეთ რევოლუ-
ციის მომლოდინე რიტმიული დენა მხატვრული სახეებისა ილიას შე-
მოქმედებაში; თუ ილიასთვის საყვარელ საგანში, ან ისტორიულ სახეში
არის ოლიმპიური სიწყნარე, ილია ცდილობს დასძრას იგი თავის სიწყნა-
რიდან და დაუკავშიროს თერგის მღელვარებას, ჩაითრიოს საზოგადო-
ებრივ კიდილში და დაურღვიოს სიმშვიდე სულისა. ამ დებულების სა-
უკეთესო გამოსახულებაა ილიას პოემა „აჩრდილი“ და მთელი რიგი პა-
საჟები, „მყინვარის“ გამო დაწერილი.

I

დასახელებული პოემა გვირგვინია ილიას სამოქალაქო მოტივების მა-
ტარებელ მხატვრულ მასალებისა. „აჩრდილის“ შესახებ ბევრი დაწერი-
ლა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში და, ალბათ, მომავალშიაც ბევრი
მკვლევარის ყურადღებას შეაჩერებს ეს მონუმენტალური, ლექსად თქმუ-
ლი ეპოპეია. „აჩრდილის“ სახით ქართულ პოეზიაში გვევლინება სრუ-
ლიად ახალი ტიპი პოემისა, რომლის მსგავსი, არც შინაარსობრივად და
არც ფორმის აღნაგობის მხრივ, არ შეუქმნია ქართულ სიტყვაკაზმულ
მწერლობას წარსულში.

პოეტმა ხსენებულ პოემაში საკუთარი მონოლოგი ორად გაჰყო. ერთი
ნაწილი თვითონვე წარმოსთქვა, ხოლო მეორე ათქმევინა მოხუცს; რო-
მელიც მყინვარზე მოევლინა ავტორის შთაგონებას. ამ მონოლოგებმა
ახსნეს მაშინდელი სოციალური გარემო და დაუსახეს ახალი საზოგადო-
ებრივი ტენდენციები ჩვენი ხალხის ცხოვრებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ მყინვარი და მოხუცი ერთი და იგივეა, ან
უკეთ, მოხუცი. სახეშეცვლილი მყინვარია. ჩვენი მტკიცება რომ მართა-
ლია, გვიდასტურებს თვით მყინვარის განხილვა ილიას პოეტურ და პრო-
ზაულ შემოქმედებაში. ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებ“-ში პოეტმა და-
გვიხატა მყინვართა და თერგით შედგენილი პლასტიური სურათი ბუ-

ნებისა. მყინვარი პოეტმა შეადარა გოგონს, ხოლო თერგი ბაირონად წარმოგვიდგინა; მაგრამ არა მარტო ბაირონად იყო ილიას მხატვრულ შეგნებაში თერგი, არამედ თერგი წარმოადგენდა აგრეთვე ახალი საზოგადოებრივი ფენის სახეობასაც. ამ ახალ ფენას უნდა აემოძრავებინა ქართველი ხალხის ცხოვრება. მყინვარი და თერგი „მგზავრის წერილები“ს მიხედვით ორივე დიდი სახეობის მატარებელი სიმბოლოები იყვნენ. შემდგომშიაც ილიას მყინვარის სახე არ მოშორებია და ბარელიეფის მსგავსად ადგია მთელ მის მხატვრულ შემოქმედებას. როგორც მოგვხსენებათ, მყინვარი ჩნდება „გლახის ნაამბობში“, „განდეგილში“, „აჩრდილში“ და სხვაგან...

როგორც ხსენებულ ნაწერებში დავინახავთ, თერგის სიმბოლომ გარკვეული რეალური სახე მიიღო და ხალხის სურათებად გადაიშალა ილიას შემოქმედებაში. თერგის სახეობის შედეგად დაიბადა „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „გუთნის-დედა“, „ქართველის დედა“ და სხვა. მყინვარის სახე დიდხანს გაუხსნელი დარჩა ილიას. სიმბოლომ რეალური ცხოვრების სახე ვერ მიიღო, ხოლო თერგი მოძრავ ძალთა სიმბოლო იყო. თერგის მსგავს ძალების ხატვას პოეტმა შეაღია თავისი სიყვარული და მთელი მხატვრული შესაძლებლობა.

მყინვარი საქართველოს წარსულის სიმბოლოდ ჰქონდა ავტორს გამიზნული. ილიას უნდოდა დღევანდელ მამოძრავებელ ძალას თანხლებოდა საქართველოს წარსული და დაემშვენებინა არსებული, როგორც თერგის მდინარებას ამკობს მყინვარის აღმართული სიდიადე. ამიტომაც პოეტმა მოხუცი მყინვარზე დააყენა და თავის გასამართლებლად შეკითხვაც მისცა:

ჰოი საკვირველო კაცო, შითხარი,
რად დაგიგდია შენ შენი ბინა
და ამა მთაზე რისთვის ხარ მდგარი?

ხსენებული შეკითხვა ადასტურებს, რომ არა მარტო მხატვრული პოზისთვის იყო საჭირო მოხუცის მყინვარზე დაყენება, არამედ მოხუცის ადგილსა და პედესტალს ჰქონდა უდიდესი შინაარსობრივი მნიშვნელობა პოემის ავტორისათვის.

ჩვენ ვიცი, ილიას სურდა ქართველთა წარსულში ენახა ხალხური მოღვაწის სახე და მის საშუალებით გადმოეხედა მის გარშემო არსებულ საზოგადოებაში, მაგრამ, როგორც თვითონ სწერდა, ისტორიაში მან ვერ ნახა ხალხის წარმომადგენელი და ისტორიულმა ნაწილმა ძლიერ გააწვავა შემომქმედი, ან მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „ტყავი გააძრო“.

პოეტისათვის აუცილებელი იყო მყინვარის და თერგის შეთანხმება.

თერგის სიმბოლოს ქვეშ ილიამ გვიჩვენა ხალხის ძალა, ხოლო მყინვარის სახემ წარსულში ვერ ჰპოვა ცოცხალი მასალა თანამედროვეობისათვის შესაფერი. თვით მყინვარი ცოცხალ სიმბოლოდ ვერ გამოდგებოდა, რადგან სიმბოლოს უნდა განეხილა ილიას გარშემო არსებულ ძალები კრიტიკულად და შეთანხმებოდა წამყვან ფენას ახალ საქართვე-

ლოში. ხოლო ამ ხანებში ილიას მყინვარი ძლიერ სტატიურ სახედ
ჰქონდა წარმოდგენილი.

წარსულში ასე არ უნდა ყოფილიყო მყინვარის სახე, ილიას განცდით
მყინვარი არ ყოფილა ყოველთვის გაშეშებული, დადუმებული და უმო-
ძრავო:

ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მდგრად
ცის გასარღვევად ზე აზიდულა
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
რალაც განგებით შეჩერებულა...

აქედან ცხადია, ოდესღაც მწვერვალი კიდევ მიიღტვოდა მაღლა, მაგ-
რამ რალაც განგებას ის შეუჩერებია და ეხლა მისი ყინულით ნაკვეთი
თავილა დარჩენილა; ამიტომაც არ უნდოდა პოეტს წარსულთან შეუთან-
ხმებლად ახალის განხილვა, რადგან ფიქრობდა: მის „ფიქრებსა და თერ-
გის ჩივილის შუა იყო რალაც საიდუმლო კავშირი“, მაგრამ პოეტს
აკრთობდა ეს კავშირი და გრძნობდა, რომ სრულყოფილი არ იყო მისი
პოეტური ხატი. „ვერ ვიტყვი, მყინვარის მეშინიაო“ — დასძენდა პოეტი,
მაგრამ უნდა ითქვას, პოეტს უსათუოდ ეშინოდა მყინვარისა და იბადე-
ბოდა შინაგანი ღრამა წარსულის რომანტიკოსისა და არსებულის მოყვა-
რულ პოეტს შორის.

ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა ილიამ სცადა „აჩრდილის“ მთლი-
ანობაში მოეცა.

მყინვარის სიმბოლოსა და რეალურ ცხოვრებისაგან ამოღებულ სუ-
რათებს შორის სოციალური დიალოგის გაპართევა ვერ იქნებოდა მხატვ-
რულად დამაჯერებელი და ილია დაიძრა მყინვარიდან და შექმნა მო-
ხუცის სახე. როგორც მითში ტალღებიდან იბადება აფროდიტე, ისე
მყინვარიდან გამოიკვეთა მოხუცის სახე და მყინვარზე მდგომმა ლა-
ლადჰყო: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო
შენი თანამდევი უკვდავი სული“; როგორც ხედავთ, მოხუცი საქართვე-
ლოს უკვდავი სულის წარმომადგენელი ყოფილა, წარმოშობილი მყინ-
ვარის სახეობით, ე. ი. წარსულ საქართველოში მომქმედ ხალხის სიმ-
ბოლო; ამას გვიდასტურებს თვით მხატვრული განათება მყინვარისა და
მოხუცის და შემდეგ მათი გარეგნობის ერთნაირობა:

და მოშველინა მე კაცი დიდი
მყინვარზე მდგომი, მოხუცებული.
ვითა ქვეყანა, ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.

თუ შევადარებთ მრავანილ სტრიქონებს მყინვარის აღწერას პოემის
შესავალში, ამავე სურათის განშეორებას მივიღებთ:

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ დიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დაღუბებულ.

მყინვარი რომ უკვდავებასა ჰგავს და კოსმიურ სიმშვიდის შატარე-
ზელია, ეს „მგზავრის წერილებში“ც აღნიშნა ილიამ. ამგვარად კავკასი-
ონის ერთმა მწვერვალმა გაიმეორა თავისი სახე მოხუცის გამომეტყველე-
ბაში. სიმბოლომ უკვე მითითური სახე მიიღო და ელინურ ღმერთების
მსგავსად შესძლო მონაწილეობა მიელო ახალ საქართველოს განწესრი-
გებაში და რეალურ ცხოვრებაში. წარსული და დღევანდელი საქართვე-
ლოს ორგანიული კავშირის ძიებამ პოეტი ამგვარ სქემამდე მიიყვანა.
მყინვარის სიმშვიდე პოეტს აზინებდა და სურდა წარსულს გაეგო არ-
სებულის ვითარება და ამავე დროს დღევანდლობიდან წარსულს მისცე-
მოდა სიცოცხლე. ამ ამოცანის შესასრულებლად ილიას კარნახით მო-
ხუცმა განიხილა მთელი არსებული საქართველო; როგორც ვირგილი-
უსი, ილია მიუძღოდა მოხუცის მზერას და უჩვენა მოხუცს ჯოჯოხეთი,
სალხინებელი და მომავლის სამოთხის შესაძლებლობა. საქართველოს
„უკვდავმა სულმა“ ე. ი. ხალხის სიმბოლომ მყინვარზე მდგომმა თითქოს
გაიგო კიდევ, რომ „მოდრაობას და მოძრაობა ყველაფერი“.

ილია წარსულში ეძებდა ხალხურ მოღვაწეს, რომელიც სანიმუშო უნდა
ყოფილიყო დღევანდელ საზოგადო მოღვაწისათვის, ამგვარად ხალხის
ლტოლვების გამგებ მოღვაწის ძიებაში ილიამ მთელი საზოგადოება დაა-
ხასიათა და მონახა მოწინავე ძალა საქართველოსი და ხალხური საზო-
გადო მოღვაწის მოვალეობანიც შეიმუშავა. ამგვარივე იდეით იყო თავის
დროზე მოთქმებული ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“.
ბარათაშვილსაც უნდოდა ეჩვენებია სახალხო საზოგადო მოღვაწე ე. ი.
ხალხის სურვილების გამგები ხელმძღვანელი და ხალხური მოღვაწის და-
სახასიათებლად შესანიშნავი სურათები დაგვიხატა თავის პოემაში. მაგ-
რამ ბარათაშვილის იდეური არე ვერ იქნებოდა ილიასავით რადიკალური
და ბარათაშვილმა ვერ შესძლო ილიასებური ვრცელი დახასიათება
მოეცა საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ჩვენი საზოგადოებრივობა ავ-
ტორმა მხოლოდ ირაკლის, ლეონიძისა და სოფიოს დახასიათებით წარ-
მოგვიდგინა და ხალხურ ძალთა აღნუსხვა ვერ მოახერხა. ამასთანავე
„ბედი ქართლისა“ს ცოცხალი მასალა მაინც მე-18 და მე-17 საუკუ-
ნის პოეზიაში გაბატონებულ მეფეების გაღმქსილ ქრონიკების ტრადი-
ციას აგრძელებდა, მართალია, ბარათაშვილმა მეფეების ქრონიკისათვის
სრულიად ახალი ფონი შექმნა და სრულიად სახალხო სჯკითხები და-
აყენა პოემაში, მაგრამ ფაბულის შემადგენელი ერთეულები მაინც არ
იყვნენ ხალხის სიღრმიდან ამოყვანილი ჭდამიანები. ავტორს არ გააჩნდა
თუ ვინდ გურამიშვილისებური დემოკრატიზაცია ადამიანის მასალისა.
მაინც „ბედი ქართლისა“ რეალისტური ნაწარმოებია და მისი სიუჟე-
ტური კომპოზიცია და ცხოვრების ეპიზოდები სრულიად რეალისტური

პოემის დამახასიათებელ თვისებებითაა აგებული. მთელი დრამატიული დენა პოემისა რეალისტური სადებავითაა შესრულებული და სახეებიც ამქვეყნიურ სიცოცხლის მატარებელნი არიან.

ილიას „აჩრდილში“ არ უნდოდა წარსულის წარმოშადგენლად მეფე გამოეყვანა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ილია წარსულშიაც ხალხის სახეს და ხალხის წარმომადგენელს ეძებდა. რადგან ხალხის წარმომადგენლის ისტორიულ სახეს ვერ მიაკვლია, პოეტმა არჩია ხალხის სიმბოლოს გამოყვანა, სიმბოლო ამეეტყველებინა და თერგის ცხოვრებასთან შეეთანხმებინა.

ასეთმა შინაარსობრივმა ძიებამ დაბადა პოემაში ერთგვარი სტილიური აღრევა. წარსულის წარმომადგენელი დადგა მყინვარზე, ხოლო მის წინაშე გადაიშალა რეალური ცხოვრება საქართველოსი. ნამდვილ ცხოვრებიდან ამოღებული ეპიზოდები დიდი მხატვრული სიძლიერით გაუმუქა პოეტმა მყინვარზე მდგომ მეთვალყურეს. ამგვარად, ერთის მხრივ „ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ“ სიმბოლო, ხოლო მეორე მხრივ რეალისტური სურათები არსებულ ცხოვრებისა. ერთი მხრივ ლირიულმა სქემამ და მეორე მხრივ ცოცხალმა ძალებმა პოემას დაუკარგეს რეალისტური ხასიათი და პოემაში სტილიური აღრევა მოხდა. ამის შედეგად „აჩრდილის“ კომპოზიცია უფრო რომანტიული პოემის კომპოზიციას მოგვაგონებს. როგორც ვთქვით, სიმბოლოსა და ხალხის ცხოვრების შეხვედრამ პოემა სტილიურად გაართულა და ცალკეულ ეპიზოდების ერთ მხატვრულ დენაში მოქცევა ავტორს ძალიან უნდა გასჭირვებოდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად პოეტმა საკუთარი ლირიული მონოლოგით დაუკავშირა ერთმანეთს სხვადასხვა სტილით შესრულებული ეპიზოდები; როგორც იცით, პოემაში ფილოსოფიური ლირიკა, ბუნების პლასტიური მხატვრობა და პუბლიცისტური პოეზიის ნიმუშები ხშირად ესაზღვრებიან ერთმანეთს.

ილიამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ხსენებულ პოემაში, რომ ცხოვრების რეალისტი მხატვარი და მეოცნებე რომანტიკოსი ილიას პიროვნებაში ერთგვარად იბრძოდა ხალხის კეთილდღეობისათვის. ავტორმა შესძლო თავისი მღელვარე მონოლოგით მხატვრული მთლიანობა მიეცა „აჩრდილის“ შინაარსობრივი განფენისათვის. ამგვარად პოეტმა პოემისთვის საჭირო მთლიანობას უსათუოდ მიაღწია. უდიდესი პოეტური მღელვარებით დაფარა პოემაში სხვადასხვა სტილიური დენები და „აჩრდილი“ აღიმართა ქართულ პოეზიაში, როგორც მონუმენტალური მთლიანი ეპოპეია.

„აჩრდილში“ პოეტმა გამოხატა ნამდვილი ბრძოლა ახალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად და „აჩრდილშივე“ მკაფიოდ გამოჩნდა იპოპოსა და რუსეთის მოწინავე იდეის ზედგავლენა ილიას შემოქმედებაზე; თავისი აზრები ილიამ გამოხატა ხშირად არა სახეებით, არამედ პირდაპირ გართიმული სტრიქონებით. გართიმული სტრიქონებითვე უთხრა საქართველოს — „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მკენების ნათლით ზე აღზიდულ, ამაღლებული ქვეით არ განსჭვრიტავს“.

საზოგადო ცხოვრების დენას, იქამდის შენ ვერ აღსდგები“-ო—ამ სტრიქონებით გარკვევით აღიარა პოეტმა, რომ ქართველი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქე და ინტელექტუალურად ამაღლებული პიროვნება. ილიას წარმოდგენით, ინტელექტუალური ამაღლება პიროვნებისა მოხსნიდა საზოგადოებრივ უთანასწორობას. ილია ადამიანი „აჩრდილში“ მაინც ლირიული სქემაა, რომელსაც დაბალი ფენის ინტერესები უფრო მეტად აღელვებს. დაბალ ფენას გონებრივ ამაღლებით უნდა გადაეწყვიტა საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობა, აპიტომაც „აჩრდილში“ პოეტი მოუწოდებდა ქართველებს შეეგნოთ საზოგადო ცხოვრების დენა, და ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას ერთგვარად ებრძოდა პოეტის ხმაღზე უფრო მჭრელი კალამი. ილიას ადამიანი მთავარ საკითხად აყენებდა შრომის განთავისუფლებას ექსპლოატატორისაგან:

შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი
ძღვევაჟოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბჭძვის...

ან,

ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას...
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების...

ილიამ, როგორც რეალისტმა მწერალმა, სცადა ცხოვრების ობიექტური სინამდვილის ჩვენება. დავიხატა კლასობრივი ბრძოლის სურათები და შრომის სუფევის აუცილებლობა აღიარა. შრომის სუფევის შედეგად უნდა დაწყებულიყო ჰარმონიული პიროვნების ფორმაცია. ილიას წარმოდგენა, როდესაც განთავისუფლდება შრომა, მაშინ გუთნის-დედის სიმღერა ტკბილ ლოცვად მოეფინება ბუნებას:

მინდორნი, ტყენი, სახნავნი ველნი
შენი ლხენითა განიხარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილ სიმღერას ბანს გამოსცემენ.

ამ სტრიქონებში ილია ისევ უბრუნდება ბუნებისა და ადამიანის უშუალო ნათესაობას. ბუნების მთლიანობასთან კავშირი ჰარმონიულ პიროვნებისათვის აუცილებელია. ბუნება თითქო იღვიძებს პოეტის არსებაში; პოეტი ბუნებისა და ადამიანის მთლიანობისაკენ მიილტვის.

ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ მყინვარისა და მოხუცის სახეთა ერთნაირობა, რომელიც პანთეისტურ ნაკადს ქმნის ილიას შემოქმედებაში. ბუნება ილიასთვის მხატვრული სახეების საყრდენია, საიდანაც იკვეთება პიროვნების სრულყოფილი სახე. ამგვარად არაგვის პოეტური აღწერა უკავშირდება საქართველოს წარსულ ცხოვრებას და არაგვის ტალღების ზმაურში პოეტს ესმის მამულისათვის თავდადებულ ქართველთა მქუხა-

რე. ხმა. ეს დიდი ნდობა ბუნებისა ილიას ეუბნებოდა, რომ ქართველთა ბუნებაში ყოველივე მშვენიერებით შემკულია, რათა ხელი შეუწყოს ახალი ადამიანის ფორმაციას:

თქვენ გარს მადლითა სავსე ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი,
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.

ამის შედეგად ბუნებასთან ახლო მდგომ საზოგადოებრივ ფენას ილია განსაკუთრებული სიყვარულით და სითბოთი უტკებროდა; ბუნებასთან ახლო მყოფი ფენა, ილიას აზრით, დაბეჩავებული გლახობაა. კაცობრიული სიზარათლევ ამ გლახობის მხარეზეა. ბუნებასთან ახლო მდგომმა გლახობამ სულიერი სიტაქიზე უნდა შეინარჩუნოს და ინტელექტუალურ ამალღებით სრულყოფილი ადამიანი გახდეს. „კაკო ყაჩაღის“ შესავალში უდიდესი ოსტატობით დაგვისურათა პოეტმა გლახისა და ბუნების სიმშვენიერის შორის საკრალური ნათესაობა. თვით „აჩრდილის“ კომპოზიციური მთლიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გეოგრაფიას და მთლიანად ბუნებას. საქართველოს ბუნება „აჩრდილის“ შინაარსს თითქოს კომპოზიციურ გარემოცვას უქმნის და ძოხუცის მონოლოგს საყრდენებს აძლევს ბუნების სურათები. ბუნებაც სიუჟეტურად „თამაშობს“ პოემაში და კომპოზიციურ ჩარჩოს უსაზღვრავს ნაწარმოების გარემოცვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, „აჩრდილ“-ში აღწერილი ადამიანი არ არის მარტო საქართველოს წარმომადგენელი. ილიას პიროვნება არის მსოფლიო მოქალაქე. ილიას გარკვეულად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მისი ხალხი მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც სხვა ხალხთა ბედნიერება დამყარდება. „აჩრდილის“ გეოგრაფიულ არეს დიდი კომპოზიციური მნიშვნელობა ჰქონდა პოემისათვის და ილიას ეს საშუალებას არ აძლევდა დაერღვია ხსენებული კომპოზიცია და ამ გეოგრაფიულ არედან სხვაგან გადაეხედნა, მაგრამ, როგორც ვიცით გამოქვეყნებული „აჩრდილის“ ვარიანტებიდან, ილიამ ამიერკავკასიის ერების ბედნიერებას დაუკავშირა თავისი ერის ბედნიერება. კავკასიის ერებისადმი პოეტმა გამოიჩინა ისეთივე სიყვარული, როგორც ტარას შევჩენკომ პოემა „კავკასით“ უდიდესი სიყვარული გამოსთქვა მთიელ ხალხებისადმი. „დედა და ვეილშიც“ მთელი კავკასი წაჰოაყენა ავტორმა და ამიერკავკასიის ერთა ძმობა დღიურ წესრიგში დასვა. და არა მარტო ამიერკავკასია, არამედ მთელი კაცობრიობის ტკივილები ილიას პოეტური შთაგონების წყარო იყო, გარბაღდის ბრძოლები იტალიაში ილიას ადფრთოვანებას იწვევდა და ესალმებოდა იტალიის განმათავისუფლებელ ქაიშხალს. როდესაც 1871 წელს 23 მაისს პარიზის კომუნა დაეცა „აჩრდილის“ სურათებში გახლართულმა პოეტმა უდიდესი სიყვარული იგრძნო პარიზის კომუნარებისადმი და კავკასიის ქედების გადმოღმოდან მიესალმა კომუნარების გაშლილ დროშას. ილია „აჩრდილში“ აღწერილი ცხოვრების სიღრმიდან

მსოფლიოში იცქირებოდა მკრელი თვალებით და დიად საკაცობრიო
ცეცხლს ანთებდა „აჩრდილის“ სამშობლოში.

მთლიანად ხსენებული პოემა ორკესტრით ააწყო ავტორმა და გვი-
ჩვენა მასების მოძრაობის მხატვრული სახეები. დიდი ოპტიმისტური,
მღელვარებით გააქანა პოემის სიუჟეტი, ამიტომაც „აჩრდილის“ შინაგანი
დენა რევოლუციის რიტმის ხმაურია, ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაწე-
რილი და ამღერებული.

II

როგორც ზემოთ დავინახეთ, „აჩრდილში“ ავტორმა დაგვიხატა არ-
სებული სიხამდვილიდან ამოდებული სურათები, ან უკეთ, პოეტმა აღ-
ნიშნა მაშინდელი ცხოვრების სიავ-კარგე და საზოგადოებრივ ძალების
აღნუსხვა მოახდინა. მართალია, პოეტმა ყოველივე საგანი და მოვლენა
განსაკუთრებული „რაკურსით“ გაანათა და ცოცხლად გადმოიღო პოე-
ტურ ტილოზე, მაგრამ ტიპებისა და ხასიათების გამომკვეთ ნაწარმოებად
„აჩრდილი“ შინც ვერ ჩაითვლება. პოემაში ნაჩვენებია საერთო ფონი
საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცხოვრების დრამატიზმი გამოსჭვივის
ლირიულ გადახვევებში და მხატვრულ კომენტარების მსგავსად ჩამოქან-
დაკებულ ნაწყვეტებში. პოემაში გადაშლილ სურათების საფუძველზე
უნდა აღმოცენებულიყო შემდეგ არსებული საზოგადოების ტიპიური სა-
ხეები ადამიანებისა და ტიპიური ფაბულები საზოგადოებრივი დრამისა.
ეს იქნებოდა „აჩრდილის“ ერთგვარი გაგრძელება და აშავე დროს პოე-
მაში დასმულ ამოცანების ახალ ხარისხში აყვანა. ეს ამოცანაც ილიამ
შეასრულა. ქართულ პოეზიაში ჩამოყალიბდა პოეტის კალმით ნამდვილი
ხალხური სახეებისა და სიუჟეტების მატარებელი პოემები. და ლირიული
ესკიზები. ამათში გამოირჩევიან „კაკო ყაჩაღი“, „დედა და შვილი“
„ქართველის დედა“, „გუთნის-დედა“, „მუშა“, და სხვ. მრავალი. ისეთი
შთაბეჭდილება რჩება, თითქო აღნიშნული სახეები დაიბადნენ „აჩრ-
დილის“ მთლიანი პანორამიდან და მათი მხატვრული ფესვები „აჩრ-
დილის“ მთლიან სურათშია პირველად დასახული. ისინი თითქო ერთ-
დროს წარმოადგენდნენ პოემის დეტალებს და დამუშავების პროცესში
დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა მიიღეს. „აჩრდილში“ ცხოვ-
რების მთლიან პანორამის გადმოცემისას ეს სახეები მთელი შოცულო-
ბით ვერ იყვნენ გამოჩენილნი; ახალი განათებით ისინი ყოველმხრივ გა-
მოკვეთილნი ხდებიან და დამოუკიდებელ ხალხურ სახეებად იბადებიან
მკითხველის წინაშე.

ხსენებული ლექსები მარჯაფა ცხენებივით მისდევენ „აჩრდილის“ შე-
სანიშნავ პოეტურ ესკიზებს. ხშირად პირველობა „გუთნის დედისა“ თუ
„კაკო ყაჩაღის“ მხატვრულ ძლიერებას ეკუთვნის. დასახელებულ ლექ-
სებში ავტორი ახალ მხატვრულ სიცოცხლეს ანიჭებს ცხოვრებიდან ამო-
ღებულ მასალებს და დიდი ოსტატის ხელით იძერწება მონუმენტალური
ტიპები და ხასიათები ჩვენი ხალხის წიაღიდან დაბადებული. ისინი უბრა-

ლო, სტატიურად გადმოცემული პორტრეტები კი არ არიან, არამედ დინამიური სახეებია ჩვენი ცხოვრებისა. ილია მთავარ ყურადღებას აქცევს დასახატავ სახეების შემოქმედებითი ენერჯის და ლტოლვების მხატვრულ გადმოცემას. ისინი საზოგადოებრივ დინამიკაში მოცემული მხატვრული ტიპებია და მატარებელი იმ ენერჯისა, რომელიც „მგზავრის წერილებ“-ში ავტორმა თერვის სახეობაში დაინახა.

„გუთნის-დედა“ ხსენებული ციკლის გვირგვინია, ამ ლექსით იბადება ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნაშდვილი ხალხური სახე და პოეტურ კულტურაში რეალისტური მიმდინარეობა მკვიდრდება. „სტუდენტების სიმღერა“ და „ნანა“ თითქო აღნიშნულ სახეებს ემატება, რათა ხალხის შემოქმედებითს ენერჯის ჰქონდეს თავისი სიმღერები და ქართულ პოეზიის თემატიურ სამყაროში სრული განახლება დაიწყოს.

თემატიური სამყაროს განახლებით პოეტი სრულიად ემიჯნება რომანტიკოსების თემატიურ მასალას, გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ისტორიზმითა და მითიურ სახეებით გატაცებას, რომანტიკოსების ცხოვრების ფილოსოფიას, ანაკრეონულ პოეზიით შთაგონებულს და სპარსულ კილოთი ამღერებულ ლექსების ხასიათს. ილიას პოეზია საზრდოებულია მხოლოდ არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებით და პოეტის ლირიული ხმოვანება მაშინ არის გამარჯვებული, როდესაც ახალ სიცოცხლეს უნერგავს ცხოვრებიდან წამოჭრილ თემატიურ მასალას.

ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე გაურბიან სინამდვილის მხატვრულად გადმოცემას. მათი შემოქმედება არსებულ ცხოვრებასთან კონფლიქტშია და მიექანება საზოგადოებრივი სინამდვილის მიღმა. ისინი წარსული გმირების ხატობრივ სახეების გადმოცემას ცდილობენ.

როგორც შატობრიანის რენე არსებულიდან გაქცეული ეფარებოდეს უდაბური ბუნების წიაღს და იქ თავდავიწყებას ეძიებდა, ისე დასახელებული ქართველი პოეტებიც ისტორიული სახეების გაღერებაში ცდილობენ მოგზაურობას და ისტორიული სახეების ტრფიალით არსებულის დაფიწყებას.

ილია თითქო თავისი ლექსებით პასუხობდა გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ და „თამარის სახეს ბეთანიის ეკლესიაში“.

„აჩრდილის“ ავტორს რომანტიკოსებზე ნაკლებ არ ხიბლავდა საუკეთესო ფურცლები საქართველოს წარსულისა. მაგრამ პოეტის ფიქრით უმჯობესია:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი-ხალხს.

როგორც ზემოთ ითქვა, ხსენებული სტრიქონები სრულიად არ ამტკიცებს წარსულის უარყოფას და წარსულთან სამუდამოდ განშორებას...

წინააღმდეგ, ილიასათვის „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ისტორიულ წარსულისადმი სრულიად ახალი პოეტური დამოკიდებულება იწყება და პოეტისათვის ისტორიული სურათების გადმოცემა საჭიროა არსებული ცხოვრების მოწინავე იდეების გასამაგრებლად. პოეტმა წარსულში უნდა მონახოს ისეთი პიროვნება, რომლის თავდადება ხალხის კეთილდღეობისათვის, სანიმუშო და საჩვენებელ მაგალითად გამოადგეს ილიას გარშემო მოღვაწე ხალხის შვილებს. „დიმიტრი თავდადებულო“ იდეალიზირებული მეფეა, მაგრამ ამ ჰოეპით ილია ადიდებს ხალხის შვილს, რომელმაც თავის სიცოცხლე შესწირა ხალხის ბედნიერებას... ამისთანა წარსულმა უნდა შობოს აწმყო, რათა შეიქმნეს მომავალი, და ჩამოყალიბდეს ნამდვილი ხალხური მოღვაწე.

ასეთი კონცეპციის შედეგია „აჩრდილი“ს მთლიანობა და მთელი შემოქმედება ილიასი.

ილიას საერთოდ ისტორიულ მასალებზე მუშაობა არ უყვარდა. პოეტის თქმით მისი შემოქმედებითი ენერჯის ხასიათი უფრო ხალხის და არსებული ცხოვრების მხატვრობისკენ იყო მიმართული. ილიას ცოტა აქვს ისტორიული ხასიათის მხატვრული სახეები და ისტორიულ მასალაზე აშენებული მხატვრული ნაწერები. ილიას არ ეხერხებოდა აკაკისებური რომანტიული ჭვრეტა წარსულის სინამდვილეში და მისი რეალისტურ სურათებად მოქარგვა. აკაკის არა მარტო ხიბლავდა ისტორიას, არამედ სურნელზე ისტორიულ მასალებისა შესანიშნავ რეალისტურ ეპიზოდებს უნერგავდა პოეტს, ამის შედეგია უსათუოდ დიდი ოსტატობით შესრულებული ბატალური სცენები „თორნიკე ერისთავი“სა, ამასთანავე მან ცოცხალი ისტორიული სახეები გამოკვეთა „ბატარა კანში“, „ბაშიაჩუკში“ და „ნათელა“ში. ილიას მეფეები და ბატალური სცენები არ ხიბლავდა და გაუბოდა კიდევ ამგვარ მასალაზე მუშაობას. უნდა ვიფიქროთ, ილიას პოეტური ტენდენცია უპირისპირდებოდა არა აკაკის, არამედ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ და „თამარის სახეს ბეთანიის ეკლესიაში“. ორბელიანის ამ შესანიშნავ ლექსებში არ იყო რეალისტური განჭვრეტა წარსულისა და გაცოცხლება ისტორიულ გმირებისა. გრიგოლ ორბელიანის გმირები და ბატალური სცენები ფრესკული მანერით არის შესრულებული და ბიზანტიურ ფრესკების გვარად შინაგან დინამიკას მოკლებულია. ორბელიანი უმღეროდა ხსენებულ სტატიურ სურათებს და ეს მანერა პოეტური შემოქმედებისა ვერ ხიბლავდა ილიას და აკაკის. ილიასთვის არსებული ცხოვრება და აღაშინები იყო შემოქმედების ცენტრში დაყენებული და ამავე დროს ამ კრებულისაგან ილიას ხიბლავდა თერგის სიმბოლოს ქვეშ დაფარული სახე საზოგადოებისა; ამ საზოგადოების ძალის დასახატავად ვიწრო ხატობრივი მანერა წერისა არ გამოდგებოდა, რადგან ხსენებული მასალის დინამიკას უნდა მიქცეოდა შემოქმედების შთაგარი ყურადღება. მასალაც ილიას რეალისტურ ხატვის მანერას უკარნახებდა და პოეტმა რეალისტური ხატვის შედეგად ჩამოაქანდაკა „გუთნის-დედა“, „ქართლის დედა“, „კაკო ყაჩაღი“, „მუშა“ და სხვა მრავალი სახეები. ამ სახეების ხატვისას ილიამ

მთავარი ყურადღება მიაქცია ხსენებულ მასალის ყოველ მხრივ გაშუქებას და მათი სასიცოცხლო თვისებების დახატვას. ლექსების ამ ციკლში აგრეთვე ილიამ სცადა ტიპური ხალხური სახეები დაეხატა და პოეტის ლირიული დამოკიდებულებაც გამოეთქვა ამ მასალებისადმი. აღწერიით და ლირიული მანერა თქმისა ერთმანეთს გადაება და შეიქმნა ახალი ჟანრი პოეტური ფორმისა, სადაც ლირიკისა და ეპოსის თვისებები ორგანიულად დაუკავშირდა ერთმანეთს.

ეს სახეები აღიმართნენ ჩვენს პოეტურ სინამდვილეში, როგორც ეროვნული, ხალხური სახეები, და გახდნენ მთელი ხალხის საყვარელ ლექსებად. ამ შესანიშნავი ლექსების მასალები ილიამ უმთავრესად აიღო საზოგადოების დაბალი ფენის, ე. ი. გლეხობის წრიდან. ამიტომაც სრულიად გასაგებია, რომ თემატიური სამყაროც სრულიად ახალი იყო და ჩვენი პოეტური კულტურისათვის სრულიად უცნობი თემები აქედარუნდნენ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

თემატიური სამყარო და, მაშასადამე, ახალი სოციალურა წრე გამოჩნდა ილიას შემოქმედებაში; ილიას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია როგორც შინაარსობრივი ხალხურობა მხატვრული საწარმოებებისა, ისე მისი თემატიური დემოკრატიზაცია. თუ გავიხსენებთ ქართული პოეზიის თემატიურ სამყაროს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში. ჩვენწინ სრულიად უცხო სურათი გადაიშლება. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში გამეფებულია ე. წ. რეალისტური ქრონოგები ისტორიულ პირების ცხოვრებისა და ბატალური პოემები, მაგალითად, „ქეთევან წამებული“, „ილი-მოურავიანი“, „თეიმურაზის ცხოვრება“, „ასპინძისთვის“, „რუხის ბრძოლა“ და სხვა მრავალი; ამ ომებთან დაკავშირებით მომდინარეობდა ე. წ. მეომართა სადიდებლად შეთხზული ოდები და სიმღერები. შემდეგ იქმნებოდა სატრფიალო პოეზია და მასთან ერთად ქართულ პოეზიაში შემოიჭრა ე. წ. პოეტური ნატურმოტები: „ხილთა ქება“, „შემოდგომა და გაზაფხულის კამათი“... და სხვა. ამ თემატიური მასალის გვერდით მუშავდებოდა ე. წ. ლექსად თქმული პოეტიკის კანონები და... ლიტერატურულ მიმდინარეობათა ლექსად გადმოცემა. ხსენებული პოეტური მიმართების წარმომადგენლებად უნდა მივიჩნიოთ თეიმურაზი, არჩილი, მ. ბარათაშვილი და დავით გურამიშვილი. უმთავრეს სახეებში ამ ტრადიციებს მეცხრამეტე საუკუნეში აგრძელებენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ ეს თემები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებისთვის ყოველდღიური საკითხები იყო. ამნაირი ხასიათის ნაწერებად ვერ ჩაითვლება რომანტიკოსების ისტორიული პატრიოტიკა. ეს უსათუოდ გადასულ ჟამთა სურნელებას წარმოადგენდა და არა ნამდვილი ცხოვრების დანახვას.

დავით გურამიშვილის და, ნაწილობრივ, არჩილის გარდა ზემოთ დასახელებული პოეტებისათვის არ იყო დამახასიათებელი ხალხურობა და ხალხური თემები და მათი შესრულება არ იყო ხალხური ტენდენციებით გაჟღერებული; ეს პოეზიაც ხალხში არ გავრცელებულა. თვით ბესიკის სასიმღერო ლექსები ვერ მოედვა ხალხის ფანტაზიას, რადგან ბესი-

ქის ლექსებში ხალხურობა არსად არ არის, არც ფორმისა და არც შინაარსის მხრივ; ზესიკი იყო არისტოკრატი, ალექსანდრიელი ჟღერის პოეტი და რთული ლექსური ფორმებით მომუშავე. მხოლოდ გურამიშვილი მისწვდა ხალხურ მასალას. დავით გურამიშვილს ახასიათებდა დემოკრატიზაცია თქმისა: მეფეებისა და სარდლების გალერეაში მან გაბედულად შესძლო ქაცვია მწყემსის შეყვანა და შექმნა ბუკოლიკური პოემა; საზოგადოების დაბალი ყოფა აღწერა და ოსტატურად დაგვიხატა ზუნების სურათები. შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში გაიელვა რომანტიულ სამოსში გახვეულმა თავდაბალი ფენის წარმომადგენელმა, რომელმაც დიდი კვალი ვერ დაუტოვა რომანტიულ სკოლის პოეზიას, ბარათაშვილმა მაინც გაგვაგონა (როგორც თვითონ აღნიშნა) მდაბიოთა ხმა, „ღარიბი ვინმე მოგსულვარ, სოფლისა მუშა საწყალიო“, მაგრამ მონოლოგის მოქმელი ვერ იყო შთაგონებული ხალხის ინტერესებით და სოფლის მუშა ვერ გახდა ნამდვილ ხალხურ სახედ, მაგრამ აქედან პირდაპირი გზა გაიხსნა ილიას პოეზიისაკენ.

ამგვარად გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი (ნაწილობრივ), აკაკი, ვაჟა და ილია ხალხურ მეტყველებას ეწაფებოდნენ და ხალხიდან წამოჭრილ თემატიურ მასალას და სახეებს აქანდაკებდნენ პოეტურ შემოქმედებაში, ალორძინების ხანის პოეზიასა და ქართველი რომანტიკოსების თემებთან შედარებით ილიას თემატიკა და საერთოდ პოეტური მასალა ძთელ რევოლუციას მოასწავებდა პოეტურ კულტურაში. რომანტიკოსებისა და ალორძინების ხანის პოეტური შემოქმედების გაცნობა გვიმტკიცებს, რომ მათი აზრით ცხოვრებაში არსებობდა მაღალი, საშუალო და დაბალი მასალა. უფლება მხოლოდ პირველ ორ წყებას ჰქონდა გამოჩენილიყო პოეზიის ზედაპირზე. ილია და აკაკი როდესაც ე. წ. რომანტიკოსებისა და ალორძინების ხანის პოეტების მერ დამუშავებულ მაღალ თემებს ეხებოდნენ, ახერხებდნენ ამ თემების გამდაბიურებას, მათ განახლებას და საერთო სახალხო საკითხების დასმას... ილია და აკაკის მსოფლმხედველობა ძველ ისტორიულ თემებსაც ხალხურ სახეებად გარდაქმნიდა და სრულიად რეალისტური მხატვრული ნაწერები იქმნებოდა ჩვენს სინამდვილეში. აკაკი რომანტიულად განწყობილი იყო წარსულ საქართველოსადმი, მაგრამ როდესაც ისტორიულ თემას აშუქებდა, მაშინ გამოიჩენდა დიდ რეალისტურ პოეტურ მხედველობას და აღადგენდა წარსულში ნამდვილ ცოცხალ, რეალისტურ ყალმით შესრულებულ ისტორიულ სურათებს, ხალხისთვის მისაწვდომად გადამუშავებულს.

მაშასადამე, ილიას „გუთნის-დედი“თა და „კაკო ყაჩაღი“თ იწყება ახალი ხანა ქართულ პოეზიაში და მრავალი ახალი სახეები იბადებიან სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანიც არ უარყოფდნენ ხალხურ შემოქმედებას, მაგრამ მათ შემოქმედებაში შეჭრილი დემოკრატიული კილო ლექსის თქმისა არ შეიძლება ჩაითვალოს ილიას შემოქმედების წინამორბედად, როგორც ეს აშხ. ვ. კოტეტიშვილს წარმოუდგენია. უპირველეს ყოვლისა რომანტიკოსების ლექსებში თითქმის კილოა დემო-

კრავტიული იერის მატარებელი და არა ლექსებში გამოკვეთილი შინაარსი და პოეტური სახეები. მათი პოეტური სახეების დენა, იდეების სამყარო არ არის ხალხური ტენდენციების მატარებელი და ხალხის ინტელექტუალური და სოციალური ინსტინქტების გამომხატველი. რომანტიკოსების დემოკრავტიული იერის მატარებელ ლექსებში გამეფებულია ალევგორიული სატრფიალო ლირიკა და ქეიფის აპოლოგია, ანაკრეონული პოეზიისათვის დამახასიათებელი. ეს გზა უნდა იყოს ჰაფიზისა და საიათნოვას პოეტური კილოს დეკადანსის გამოვლენა და ნაწილობრივ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული პოეზიის გავლენა (რომელსაც ალ. ჰავჭავაძე კარგად იცნობდა). საიათნოვას ზედგავლენა, როგორც გრიშაშვილმა დაგვისურათა „ტფილისის ბოგემში“, გავრცელებულა ტფილისის ხელოსან პოეტთა შორის და ამით შექმნილა საწყისი ე. წ. ქალაქური ფოლკლორის ქართულ პოეზიაში. მაგრამ, როგორც გრიშაშვილმა უწოდდა, ეს იყო დეკლასირებული „ბოგემის“ ფოლკლორი, ამ ფოლკლორის შემქმნელ პოეტებს დაუპირისპირა ილია ჰავჭავაძემ, ჩემის აზრით, მეორე ხაზის მატარებელი ხალხური პოეტი. რომელსაც ესმოდა თავისი ცხოვრების სოციალური შინაარსი და ჰქონდა ნამდვილი ქართული ფოლკლორის გავლენა. ეს იყო პოეტი იოსებ დავითაშვილი.

ამგვარად ოსებ დავითაშვილისადმი ილიას განსაკუთრებულ ყურადღებას თვითონ ილიასთვის ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა. ილია ქალაქურ არა სუფთა ქართულს და უღარდებლობის გამომხატველ ხალხურ პოეზიას უპირისპირებდა ნამდვილ ქართულ და ხალხურ ინტერესების გამომხატველ ხალხურ პოეტს.

„ბოგემურ“ ფოლკლორის წარმომადგენლებთან ახლოს იდგნენ გრიგოლ ორბელიანი და ალექსანდრე ჰავჭავაძე და ეპიკურული დამოკიდებულება სამყაროსადმი ქალაქურ ფოლკლორისა ნათელი ხდება. ამ პოეტური ტენდენციის საწყისები ირანულ პოეტურ კულტურაში არის ჩამარხული და ამან დაბადა რომანტიკოსების ლექსების (ერთი ციკლოს) თქმის დემოკრავტიული კილო; ბლიაძეების სტვირიდან ალექსანდრე ჰავჭავაძემ მხოლოდ ლექსის კილო გადმოიღო და არა ხალხის გულისთქმა და მისი შინაარსი. ალ. ჰავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის ლექსებში ახალი ადამიანის სახეები კი არ არის ნაჩვენები, არამედ ხალხური იერის მატარებელი სიმღერებია შეთხზული.

დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნაწლობრე), ილია, აკაკი და ვაჟა ხალხურ გლეხურ ფოლკლორს ეწაფებოდნენ და მათ უფრო ხიბლავდა „ღარიბი ვინმე, სოფლის მუშა საწყალი“ და მისი სიმღერები.

გლეხურ, ან უკეთ, სოფლის ფოლკლორისა და ქართველ ხელოსანთა ნამდვილ კილოს შეთავსება სცადა იოსებ დავითაშვილმა, სუსტმა პოეტმა, მაგრამ პრინციპულად საიათნოვას ეპიგონობიდან განთავისუფლებულმა. ილია და აკაკიც ხალხურ პოეზიაში ეძიებდნენ უპირველეს ყოვლისა ხალხურს და ამავე დროს ქართველ ხალხისთვის დამახასიათებელ თვისებებს, რაც ნაკლებად ახასიათებდა ქალაქის ხალხურ პოეზიას. ასეთ

ტენდენციებში. დაიბადა პრინციპული განსხვავება ილიას, აკაკის, ვაჟას ერთის მხრივ და მეორე მხრით გრიგოლ ორბელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის დემოკრატიული კილოს მატარებელ ლექსთა შორის. ჩვენს რეალისტები გლახურ ფოლკლორში ეძებდნენ თავისთვის საჭირო მასალებს და მათი სიმღერების კილო გლახურ სიმღერებს ენათესავებოდა. ან უკეთ, მათი მელოდიები გლახურ სიმღერებთან ვითარდებოდნენ და მათი პოეტური შემოქმედება ხალხურ წრიდან ამოყვანილი სახეებით და ხალხის სურვილებით არის გაყენებული.

ილია ხალხურობის საკითხში განსხვავდებოდა აკაკის და ვაჟას პოეტურ პრინციპებიდანაც. ილია არსად არ მისდევდა ე. წ. ფოლკლორის პოეტურ ფორმას. ვაჟასებური ხალხური რითმებით სარგებლობაც არ უყვარდა ილიას. იგი აღნიშნავდა: პატარა ლირიკული ლექსი უსათუოდ უნდა იმღერებოდესო. სათანადოდ ილიამ კიდევ დასწერა სასიმღერო ლირიკული ლექსები, მაგრამ ილიას სასიმღერო ლექსები თავისი შინაარსობრივი და ფორმალური აგებულებით უახლოვდება ჰაინეს რომანსებსა და სიმღერებს... სასიმღერო ლექსებშიც ილიამ შეინარჩუნა ევროპული სიმადლე პოეტური შემოქმედებისა და მისი ლექსები „გახსოვს ტურფი“ და „სატრფოვ, ხშირად ლალი ფიქრი“ შესრულებულია ჰაინისებური პოეტური სიფაქიზით. ილიას ესმოდა ხალხური პოეზიის დიდი მნიშვნელობა და მოხიბლული იყო ქართული ხალხური სიმღერებით. მაგრამ ხალხურ სიმღერებშიაც არის მძალხარისხოვანი და დაბალხარისხოვანი შემოქმედებითი შესაძლებლობა... მაგალითად, ხალხური სიმღერაა „გოცაძე“ და „ლილეოც“.

ილია, აკაკი და ვაჟა ახარისხებდნენ ხალხურ პეოზიას და იოჩედნენ მძალხარისხოვან ხალხურ პოეზიის ნიმუშებს. ვაჟა და აკაკი სიმღერებში უფრო ხალხური ლექსების ფორმით სარგებლობდნენ და ხალხური ბოლოსართებით რითმავდნენ ხშირად თავიანთ ლექსებს. ილია ამგვარ ცდებს გაუბრბოდა ყოველთვის. ილია პოეტური ფორმის საკითხში ლექსის ევროპული ფორმით დამუშავების მომხრე იყო და კლასიკური ფორმების დამცველი. მაგრამ ილიაც ხშირად სარგებლობდა ხალხური თქმებით, ანდაზებით, აფორიზმებით და პოეტურ, ხალხისათვის მისაწვდომი სტილით ამუშავებდა. ილიას ხალხურობა ფორმისა შენარჩუნებული ჰქონდა ევროპულ ლექსის ტექნიკურ ასრულებასთან ერთად. ამ შემთხვევაშიც ილია ენათესავება ბარათაშვილის გენიას, რომელმაც „მდაბიო“ თემა, პოეტური თქმა და დიდი პოეტური ოსტატობა შესძლო შეეთანხმებინა და ევროპული იერი მიეცა ქართული ლექსისთვის.

ილიას პოეზიაში ხალხურობა გაგებულია ღრმად და პოეტის მიერ შეთხზული პიროვნება ყველა მანამდე არსებულ პოეტურ სახეებიდან განსხვავდება. ილიას პოეზიაში გამოხატული დადებითი ტიპი ხალხის შვილია, ე. ი. ხალხის ინსტინქტების და სურვილების მატარებელი, მისი იდეურობის გამომხატველი და ორგანიული ნაწილი ახალ ქვეყნისათვის მებრძოლ საზოგადოებისა. ქართველის დედამ დაინახა, რომ საქართველო ცოცხლდება, ეს სიცოცხლე მან იგრძნო იმაში, რომ „ხალხი აზვირთდა,

ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება. დიდა ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება... ამ სტრიქონებში ნათლად გამოხატულია, რომ როდესაც ხალხი შეიგნებს თავის ინტერესს, მაშინ ის დიადი ხდება და აუძლეველი. ილიას პოეტური შემოქმედებაც კეწმარტ ხალხურობას ემსახურებოდა. ილიას არა მარტო თემატიური სიახლე შემოაქვს. არა მარტო ხალხის წიალიდან გამოტანილ ხალხურ სახეებს აგვიწერს. არამედ ამ სახეებს ასრულებს ხალხისთვის მისაწვდომ პოეტურ ხერხებით და ხალხურ პოეტურ ელფერს აძლევს საკუთარ შემოქმედებას. ილიას შემოქმედების მსოფლმხედველობითი არე ხალხურია და მხატვრულად საზოგადოებრივ ცხოვრების ტიპური გამოხატულებაა... ამიტომაც ილიას ორბელიანისებური ფრესკული მანერა პოეტური ხატვისა არ აკმაყოფილებდა, არც კილო „შუაბაზრისა“ და „მუხამბაზისა“ ხიბლავდა პოეტს. ილია ცდილობდა მთელ პოეზიაში, ლირიულ ლექსებში გამოეკვეთა ტიპი და თავისი ლირიული დამოკიდებულებაც გამოეთქვა... ხალხის გრძნობით და ხალხური სიბრძნით ზიარებულმა პოეტმა ჩამოაქანდაკა წმინდა ეროვნული ხალხური სახე გუთნის-დედისა და ქართველის დედისა, რომლებშიაც პოეტმა გამოაჩინა უდიდესი ინტინი დასახატავ მასალებისადმი და დიდი მღელვარება შთაბერა სტრიქონებს. ბატონყმობის უღელქვემ მკენესარი გლეხის ფსიქოლოგია გამოაჩინა პოეტმა უდიდესი ექსპრესიით და გუთნის-დედას ათქმევინა:

ერთ ბედ-ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს ჭავი მიწა ჩვენ.
ბელტი ბელტზედა გადავაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვინოთ.

და ამ კაცს, რომელსაც ზეცა წართმეული ჰქონდა ძალით, შეეძლო ეთქვა მჭრელი სიტყვა თავის ბედის შესახებ. ეს სიტყვა იყო დაბეჩავებული გლეხობის სიტყვა, ბატონყმური ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული. გუთნის-დედას შეგნებული ჰქონდა საკუთარი ბედი და იცოდა, რომ მისი ადაშიანობა არსებულს სინამდვილეში გათელილია და სიპართლის თქმასაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა.

მე ჩემი ჭირის, ჩემი წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.

და გუთნის-დედა არსებულ სინამდვილის არაადაშიანობის შედეგად უთანასწორდებოდა ლაბას სახეობას. გუთნის-დედა სიტყვას გულში ჰკლავდა... იმ სიტყვას, რომელმაც გუთანივით უნდა აღმოფხვრას ბა-
ლახი ძირფესვიანად.

გუთნის-დედის სიტყვის შინაარსი შეადარა პოეტმა გლეხის სამუშაო იარაღის მნიშვნელობას და ამით პოეტმა ხალხური კოლორიტი შეუნარჩუნა გუთნის-დედის მხატვრულ გადმოცემასაც.

გუთნის-დედა სინამდვილის გამომხატველ მჭრელ სიტყვას გულშივე ჰკლავდა და მის სიტყვას გასაველი არა ჰქონდა არსებულ სინამდვილეში და გლეხი დასძენდა გაგულისებულს: „რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება“—ამ თქმაში მთელი გლეხობის გულისწყრომაა გამოხატული და ეს აზრი პოეტურად გაშლილია აფორისტულ წინადადებაში. ამ სტრიქონებში ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა ილიას ხალხურ სიბრძნესთან სიახლოვე და ხალხური მხატვრული მეტყველების ბუნება.

პოეტური ესკიზი „გუთნის-დედისა“ შინაარსით და მხატვრული ასრულებით კლასიკურ მთლიანობაშია გამოკვეთილი და უდიდესი მიღწევაა მეცხრამეტე საუკუნის პოეტური კულტურისა.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქო „გუთნის-დედაში“ და „მუშაში“ ილია პესიმისტურად უყურებდა ცხოვრების გარდაქმნის იდეას. გუთნის-დედა წინააღმდეგი იყო დაღონებისა და გადაწყვეტილი ჰქონდა გაეტანა გუთანი ბოლოს. ავტორი სულიერი დაცემულობის სანაცვლოდ ჰქადაგებდა აქტივიზმსა და ცხოვრებასთან შეჯახების იდეას. „კაკო ყაჩაღი“, „ქართლის დედა“ და სხვა მრავალი მხატვრული სახეები გვიმტკიცებენ ილიას სოციალურ ოპტიმიზმსა და ღომავლისადმი იმედიან დამოკიდებულებას. ილიას მთელ პოეზიაში შესანიშნავად დახატულია ხალხის ცხოვრებისადმი სიყვარული, მისი ბრძოლის უნარიანობა და რწმენა ბორკილების მალე დამსხვრევისა.

ამ სოციალურ გრძნობაში გამოსჭვივის კიდევ ერთი დიდი თვისება პოეტის ხალხურობისა და მისი მხატვრული შემოქმედების დამახასიათებელი თვისება. ხალხური შემოქმედება თავის ისტორიულ განვითარებაში არასოდეს არ ყოფილა პესიმისტური ჰანგების მატარებელი. ვისაც ცხოვრება ძალით ჰქონდა წართმეული, იმას უფრო მეტად უყვარდა ცხოვრების ჭიდილი და ცხოვრების სიავ-კარგე. ჩერსტერტონი სწორდა: „სწორედ ის პოეტები უმღეროდნენ ცხოვრებას უდიდესი სიყვარულით და ხალხისათვის მისაწვდომი პოეტური თქმებით, რომელნიც ხალხიდან გამოვიდნენ. ბრძოდნენ ლუკმა-პურისთვის და გაიარეს ეკლიანი გზა ცხოვრებისა“.

ხალხური შემოქმედებაც არასოდეს იმედს არ ჰკარგავდა ცხოვრებასთან ბრძოლაში და უმღეროდა და ხატავდა ხალხურ გმირებს, რომლებიც ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლები იყვნენ.

ამ შემთხვევაში ისინი ეტრფოდნენ ჩვეულებრივ კაცებს. რომელთაც არაჩვეულებრივ საქმეთა ჩადენა შეეძლოთ, რათა ცხოვრების უკუღმართობა დაეძლიათ და საზოგადოებაზე მალა დამდგარიყვნენ. ილიას უდიდესად ჰქონდა შეთვისებული ხალხის ოპტიმისტური გრძნობა და იმედიანი სიმღერებით მიმართავდა მკითხველ საზოგადოებას. ხსენებული თვისება ხალხური ინსტიქტისა პოეტმა შესანიშნავად დაგვიხატა პოემა „კაკო ყაჩაღში“.

ჯერ კიდევ „აჩრდილში“ გუთნის-დედას ილიამ შეატყობინა, რომ:

დედას ძუძუდგან შვილსა აპგლეჯენ.
შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
ვინ იცის, სიდან სად გაჰყიდინ...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან...

ეს სტრიქონები აღნიშვნაა ცხოვრებაში მომხდარი ფაქტისა, ხოლო ამ ფაქტის და საერთოდ ბატონ-ყმობის უფრო ძლიერი მხატვრული გახსნა და ახსნა ილიამ შესძლო „კაკო ყაჩაღში“ და კერძოდ ზაქროს ცხოვრების დასურათებაში. ზემოთ თქმულ სტრიქონებს „კაკო ყაჩაღში“ ილიამ ფაბულარული საყრდენი მისცა და შესანიშნავად გამოკვეთილი სიუჟეტით შექმნა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი პოემა.

მე მგონი ნაძალადევი პარალელები იქნებოდა „კაკო ყაჩაღის“ წინამორბედი გვეძებნა პუშკინისა და ნეკრასოვის პოეზიაში. პოემის მასალა, პოეტს მისცა ქართულმა სინამდვილემ და მხატვრული სახეების ჩამოყალიბებაში ხელი შეუწყო ქართულმა ხალხურმა პოეზიამ.

ხალხური პოეზიის რომანტიზმმა უკარნახა ილიას „კაკო ყაჩაღის“ მხატვრული განსახიერება და პოეტმა დიდი სიყვარულით მისცა მხატვრული აღდგენა ცხოვრების ნაკარნახევ თემას.

„კაკო ყაჩაღი“ რეალისტური ნაწარმოებია თავისი სოციალური საფუძვლით და იდეური გამიზნულობით, მაგრამ ის გაშუქებულია ხალხური რომანტიზმის, მხატვრული იერით; როგორც ზემოთ ვთქვით, ხალხური რომანტიული გმირისთვის დამახასიათებელია „ჩვეულებრივობა“, რომლითაც ის საზოგადოების შვილია. ხოლო თავის მოქმედებით გმირი ამალღდება ხოლმე შემქნელ საზოგადოების მალლა და გამოხატავს ხალხის ოცნებასა და სურვილს, ე. ი. იმას, რაც ჯერ არ არის, მაგრამ უნდა იქნეს. ამ ცნების დადასტურებაა მეურმის და ზაქროს შეხვედრა. ილიამ მეურმის ნატვრით გვიჩვენა, რომ მეურმის სურვილიც იმგვარია, როგორც ზაქროსი... ზაქრო იდეალია მეურმესი, მაგრამ ზაქროსა და კაკოს შეუძლიანთ გადაუდგენ ცხოვრებას და შეებრძოლონ არსებულ წყობილებას, ხოლო მეურმე სიტყვას გულშივე ჰკლავს და რჩება ჩვეულებრივ მდგომარეობაში... სულიერი კულტურაც ზაქროსი შემუშავებულია სწორედ ხალხის შთაგონებით და ხალხისებურად ბუნებასთან სიახლოვეთ. ზაქრომ პირველი ტკივილები განიცადა „როდესაც ბატონმა სახლს შოაშორა“, მაგრამ მალე ბუნების წიაღში ნაგარდმა პოემის გმირს დაავიწყა თავისი ბედი და ათქმევინა „ჩვენ ზტომით, ძახილით, მოვგროვებდებოდით მთის ცივ წყაროზედ“-ო. პოეტმა ზაქროს ბუნებასთან სიახლოვე გვაჩვენა დიდი ოსტატობით და ჰოლანდიური პეიზაჟების გვარად დაგვისურათა ზაქროს ბავშვობის გარემო. ბუნებასთან სიახლოვე და არსენას ზღაპრები, (რომელიც მოუხმენია ძროხის წყეესვისას ზაქროს)

აღვიძებდა ზაქროში თავისუფლების წყურვილს და არსენობის სურვილს უნერგავდა მას. შემდეგ ზაქროვ უჩვეულო ინსტინქტები გამოამჟღავნა ცხოვრების უკანონობის მიმართ.

როგორც ხედავთ, ილია ბუნებასთან სიახლოვეში უან-უაკ რუსოსავით ხედავდა თავისუფლების ინსტინქტის ჩასახვას და პიროვნების სულიერ სიფაქიზეს ბუნებასთან სიახლოვეთ გვიჩვენებდა. პოეტის თქმით, „ალაზანი შეუპოვარი“ როდესაც მეურმეს უყურებდა, „სჩიოდა, თითქოს კაცს ემდუროდაო“, მაგრამ თავისუფლების მეტროლომა

როცა მხედარმა მოხდენით ცხენი
მოსლიტა უცებ ლაზათიანმა,
გაფრინდა ცხენი, ვით შევარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მისცა მთამა.

ბუნება უკვე ეხმაურებოდა მეტროლის ფეხის ხმასა და თანაუგრძნობდა კიდევ. ასე რომ ბუნებასთან სიახლოვემ და არსენას ლექსების შემქნელი ხალხის შთაგონებამ შექმნა ზაქროს სულიერი კულტურა. ხალხის სულიერმა კულტურამ აამალა და გმირად გახადა ზაქროს პიროვნება. ხალხური კულტურით შთაგონებული გმირი უდიდესი სიმძაფრით აღუდგა ბატონყმობას და რადგან ერთი კაცი მოედანზე მეტროლოლად არ გამოდგება, მიაშურებს იქ, სადაც

კუდი-გორასთან ერთი ტყე არი,
უწინ ყაჩაღის იყო საფარი,
საშიში. ბნელი, გულდაწურული,
შეუვალი და წამობურული.
იქა ცხოვრობდა ბლაქიაშვილი
კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი.

პოეტის მიზანი ამჟამად, ბავშვობაში ბუნებას ზიარებული ზაქრო, ბრძოლის შემდეგ ისევ ბუნების წიაღში დაბრუნდა. ზაქრო და კაკო შილლერის ყაჩაღებით ბუნებას შეფარებულნი ებრძოდნენ სინამდვილის სულიერ სიმდაბლეს და საშინელ სოციალურ ჩაგვრას. ბატონისა და მამის შეხვედრაში პოეტი უდიდესი სიმძაფრით შეებრძოლა ადამიანის ღირსების გათელვის ცდას ბატონყმურ სინამდვილეში. შეებრძოლა ინსტიტუტს ბატონყმობისას და დაგვიხატა დიდი სულიერი სიმამლვე და ადამიანობა გლეხკაცობისა და გამარჯვების აუცილებლობის იდეა აღიარა.

ეს იდეა ჩამარხულია თვით ხალხის სიბრძნეში, ზაქრო და კაკო, ზიარებულნი ხალხის გულისთქმას, გახდნენ ხალხის მოწინავე ადამიანები, მათი ინტერესების დამცველნი და გამომხატველნი.

თავის სტილიური სიწმინდით ეს პოემა შედევროა. ილიამ პოემა შექმნა ნამდვილი ხალხური სიტყვიერი მასალით, ხალხური თქმები და ანდაზები თავისუფლად შეიტანა პოემაში; მთელ რიგ სტრიქონებს მისცა

ხალხური აფორიზმების ხასიათი და ძლიერ დაუახლოვა ხალხურ შემოქმედებას და ხალხის ხასიათის გამომხატველ თქმებს... მაგალითისათვის შეიძლება დასახელება:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ან კიდევ:

გულს გული იცნობს და ღონეს ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ღხენა... და სხვა მრავალი.

ამავე დროს პოემის სიუჟეტი, კომპოზიცია სრულიად რეალისტურია და პოემა გაშლილია რეალისტური ხერხებით და წმინდა ქართული კოლორიტით. ხშირად ყოფილა „არსენას ლექსის“ და „კაკო ყაჩაღის“ შედარება. უნდა ითქვას, რომ არსენას ხალხურ სიუჟეტს ილიამ პირველმა გასცა ე. წ. პოეტური პასუხი და ყველაზე ძლიერად ამოსწურა ხსენებული თემა. „არსენას“ მხატვრულ შესრულებაში უხათუოდ არის შეგავლენა ლუბოკისა, რაც „კაკო ყაჩაღ“-ში სრულიად დაძლეულია და გამოკვეთილია მაღალხარისხოვანი პოემა. პოემა თავისუფალია ყოველგვარ მხატვრულ პიუერბოლებისაგან და ხალხური რომანტიზმის ჰაერით ზომიერადაა შეზავებული პოემის დრამატულ დენასთან. ამ პოემით ქართულ პოეზიაში პირველად ჩნდება ნამდვილი პოეტური ეპოსი და ნამდვილი პოეტური თხრობით შესრულებული ლექსაცია: „კაკო ყაჩაღში“ ძლიერია ბელეტრისტიკის ტრადიციაც. ილიას მიერ დამკვიდრებული ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. და პოემას ნაწილობრივ გადაჰკრავს ლექსად დაწერილი მოთხრობის იერი.

IV

„აჩრდილ ში“ აღწერილი მხატვრული სურათები მრავალ გზით შეიმართება სინამდვილისაკენ.

„აჩრდილის“ ერთერთ განშტოებას პოემა „განდეგილიც“ წარმოადგენს. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ილიას პოემაში ერთი გზა მიდის პირდაპირ ცხოვრების სურათების რეალისტურ აღდგენისაკენ. ხოლო მეორე გზა ლირიული სქემებით სოციალური საკითხების გადაჭრას ცდილობს. ერთ შემთხვევაში ილიას პოემაში საზოგადოებრივი ფილოზოფია მოცემულია ცხოვრების სურათების მხატვრული ანალიზით, მეორე შემთხვევაში ილია ლირიული სქემებით, პოეტური ცნებებით ფილოზოფიურად ადასტურებს თავის საცხოვრებო და საბრძოლო პროგრამას. ამ მეორე გზის ეპიური რეალიზაცია პოემა „განდეგილი“.

„კაკო ყაჩაღი“ და „განდეგილი“ ერთი მედალიონის სხვადასხვა მხარეა. ზაქრო გარბის ცხოვრებიდან და შეეფარება ბუნებას, რათა ამ

შაფარიდან შეებრძოლოს საზოგადოებრივ უკანონობას. განდევილიც გარბის არსებულ ცხოვრებიდან, შეეფარება ბუნებას, რათა უარყოს ამქვეყნიური უსამართლობა და ღვთაებას შეეწიროს. „ჯაკო ყაჩაღის“ ბუნება ცოცხალია და მდაბიო, როგორც ამავე პოემის გმირები, (გაიხსენეთ ზაქროს მეძროხეობის ხანაში აღწერილი ბუნების სურათები). ხოლო განდევილის ბუნება ცივია და მგზავრის წერილებში აღწერილ მიუქარებელი მყინვარის წიაღთან შეფარებული. ზაქრო შორდება იმ ცხოვრების უკანონობას, რომელიც „აჩრდილშია“ პირველად აღწერილი, ხოლო განდევილიც შორდება ცხოვრების იმგვარ სურათს, რომელიც პირველად „აჩრდილშია“ ნაჩვენები (და რომლის აღწერა პოემა „განდევილშიც“ განმეორებულია.) „აჩრდილში“ და „განდევილში“ აღწერილი ცხოვრების სურათოვნობა ერთგვარია. ამიტომ პოემა „განდევილიც“ თავისებური გაგრძელებაა „აჩრდილისა“.

საინტერესოა ვიცოდეთ. განდევილი ავტორმა მყინვარწვევრ ქვეშ რისთვის დააბინავა. ბუნების და ცხოვრების აღწერა „აჩრდილისა“ და „განდევილისა“ რატომ ემსგავსება ერთმანეთს?

შეიძლება „განდევილს“ მეორე პირიც ჰქონდეს და როგორც ბაზალეთის ტბა, ალეგორიული ნაწარმოები იყოს. უორდრობის მტკიცებაში, რომ პოემა საქართველოს ცხოვრების სიმბოლიური გამოხატვაა, ათის ნასახი სიმართლისა.

შეიძლება ალეგორიულად გვიხსნიდეს ავტორი წარსულისა და ახალი ძალების შეხვედრის იდეას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ნამდვილი ქართული კოლორიტი პოემისა. რასაც ჩვენის აზრით შინაარსობრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ცხოვრების სიმბოლო პოემაში მწყემსი ქალის სახით გვევლინება. რაც ნიშნავს, რომ გმირი დაბალი ფენის წარმომადგენელია და, მაშასადამე, საქართველოს სიცოცხლის ძალის მატარებელია ილიას მტკიცებითვე. შეიძლება „აჩრდილში“ აღწერილი ცხოვრება მოითხოვდა წარსულის დახმარებას და ყრველდღიურ ცხოვრებაში მაღალი ფენის და არსებულ ცხოვრების შერიგებას. დაბალი წრის წარმომადგენელი თვითონ ავიდა ოლიმპზე, რათა განდევილი. ან უკეთ „უკვდავი-სული“ (ან კიდევ უფრო მკაფიოდ; აჩრდილში მოვლენილი მოხუცი) ჩამოეყვანა ძირს და ცხოვრების ჭიდილში ჩაეგბა.

„განდევილში“ მაღალმა ფენამ აღიარა დაბალი ფენის ძალა და სიმშვენიერე. მაგრამ ისტორიულად განწირულმა ძალამ ვერ მოახერხა ახალთან შედუღება და დაიღუპა: ხიდი „განდევილშიც“ ჩატეხილი დარჩა.

ამგვარად ლირიული სქემების საშუალებით. ილიამ ისევ სცადა საქართველოს მთლიანობის იდეის გარკვევა და ამ საკითხის ფილოსოფიური გადაწყვეტა. შეიძლება ვინმემ იფიქროს. „განდევილს“ საკაცობრიო მნიშვნელობას ვუქარგავდეთ. ეს შენიშვნა სრულიად არ იქნებოდა შართალი, რადგან სწორედ ქართული სინამდვილის სოციალური პრობ-

ლემები ილიამ იმდენად აღამაღლა მხატვრულად, რომ პოემა იტევს საქართველოს სინამდვილის სიმბოლიურ გამოხატვას და საკაცობრიო იდეების სამყაროს ეთანაბრება. ერთის მხრივ პოემაში მოცემულია, როგორც „აზრდილში“ და „მგზავრის წერილებში“ მყინვარისა და თერგის სიმბოლოების შეხვედრა და მათი დაკავშირება. მეორე მხრივ პოემა საერთოდ მიმართულია ასკეტიზმის წინააღმდეგ და ცხოვრების დასაცავად ავამიზნული. ასევე იცავდა ილია თერგს და ებრძოდა მყინვარის განყენებას „მგზავრის წერილებში“, როგორც „განდეგილში“ განდეგილის განდგომას. „მგზავრის წერილებში“ პოეტმა მოახერხა ნაციონალური და ინტერნაციონალური მნიშვნელობა შეენარჩუნებინა და შეექმნა ნამდვილი მონუმენტალური სახე ნაწარმოებისა. აქვე უნდა დავძინოთ, თვით მყინვარიც და თერგიც მაღალსა და დაბალ ფენას ახასიათებდა ქართულ სინამდვილისას. მაგრამ ამავე დროს ისინი ჩვენ გვაგონებდნენ გოეთესა და ბაირონს, ე. ი. ყველა ერებისთვის გასაგებ და დამახასიათებელ საზოგადოებრივ ტენდენციებს. ასე თავსდება „განდეგილშიც“ ქართული დამსოფლიო საკითხები და ერთ მთლიანობაში იკვეთება ბრძოლა საქართველოს მაღალი ფენისა და საერთოდ ცხოვრებიდან განდგომილ ასკეტის წინააღმდეგ.

შეიძლება თემის საკაცობრიო მხატვრულ სიმალეზე აყვანის ცდამ ბოლოსდაბოლოს მიჩქმალა და მეორე რიგში დააყენა საქართველოს სოციალური საკითხები? მაგრამ ჩვენთვის ცხადია, ილიამ საქართველოს პირობების გასაშუქებლად დაიწყო პოემა და შემოქმედების პროცესში სხვა შედეგი მიიღო. ნათქვამია, კოლუმბი ინდოეთის გზის აღმოსაჩენად მიდიოდა და მოულოდნელად ინდოეთის გზის ნაცვლად ამერკა აღმოაჩინაო. ასეთი შემთხვევები შუამოქმედების პროცესში ბევრია. ხშირად შემოქმედების პროცესში მიღებული მოულოდნელი შედეგი ბევრად მეტი ვიდრე წინასწარი დაფიქრება.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ უორდროპის ქალის მტკიცებას, რომ ამ პოემით ილიას შემოქმედებაში ესტეტიზმის ქარმა დაუბერა და მთლიანად „განდეგილი“ ესტეტიური რეალიზმის გამართლებაა. მართალია, „განდეგილში“ მკაფიო ქართული კოლორიტია, მაგრამ პოემას მაინც ზოგად ენოციურობის იერი დაჰკრავს და ქართული ცხოვრება. „ზოგად ცხოვრებასთან“ დაკავშირებულია დიდი მხატვრული ოსტატობით.

როგორც ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული, „განდეგილი“ ჰიზნია ცხოვრებისა და მიწიერ ცხოვრების ჭიდილში ჩაბმის აპოლოგია. პოემას შეეძლო ეპიგრაფად ჰქონოდა ბარათაშვილის სტრიქონები „...რადგანაც კაცნი გვქვიან, — შეილნი სოფლისა. — უნდა კიდევ. მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“. ბარათაშვილის ცხოვრების ფილოსოფია, ლირიულ ფორმაში მოცემული, ილიამ ეპიურ ტილოში განავრცო და გააგრძელა. პოეტი ამ პოემით აღვივებდა ცხოვრების და მოქმედების უნარს და ერთხელ კიდევ ადასტურებდა, რომ „მოძრაობაა და მოძრაობა ყველაფერი“.

ცხოვრების გამარჯვების გამოხატვით პოეტი ცდილა განემტკიცებია ჩვენში ფილოსოფია აქტივიზმისა და ფილოსოფიური საყრდენი მიეცა საერთოდ რეალისტურ მხატვრულ აზროვნებისათვის.

პოემის ნაციონალურ და ზოგად ხასიათის შესანარჩუნებლად საჭირო იყო მთელ მხატვრულ შესაძლებლობათა მობილიზაცია და გადაწყვეტა ძლიერ რთული პოეტური ამოცანისა. ილიამ „განდეგილის“ სიუჟეტს საფუძვლად დაუდო ხალხური ლეგენდის ფაბულა და ამით გზა გაიკაფა მსოფლიო მთარულ ფაბულისაკენ... როგორც ცნობილია, ხალხურ შემოქმედებაში ლეგენდის დამახასიათებელი თვისებაა, ძლიერი ნაციონალური კოლორიტი და ამავე დროს მორალური ინტერნაციონალური ტენდენციები; ლეგენდის ფაბულაც ხშირად ნაციონალურ და ინტერნაციონალურ თვისებებს აერთიანებს, სწორედეს თვისება ლეგენდისა შეინარჩუნა ილიამ და პოემა გვაგონებს ბევრი ევროპული მხატვრული ნაწარმოების ფაბულას. მაგრამ „განდეგილი“ ისეთ ქართულ სამოსელშია გახვეული თავისი მხატვრული კოლორიტით, პოეტური თქმის ხალხური თვისებებითა და პოეტური სახეებით, ისე ოსტატურად ჩასმულია საქართველოს ბუნების ჩარჩოში, რომ პოემა გამოიციქრება როგორც ამ ბუნების ნაკვეთი და მისი გაგრძელება.

ილიას მხატვრული ოსტატობის პოზიცია, „განდეგილში“ რეზლიზაცია ქმნილი, საწყისებს ლებულობდა ლესინგის პოეტიკაში უმთავრესად. ამის შესახებ კიტა აბაშიძემ ვაკვრით მიგვითითა „განდეგილის“ ერთი მხატვრული დეტალის დახასიათებისას. ლესინგის „ლაოკონის მხატვრული კონცეპციის ზეგავლენა ილიას შემოქმედებაში უფრო ღრმაა. ვიდრე კიტა აბაშიძეს წარმოედგინა. ლესინგი ლაოკონში მოგვითხრობს. თუ როგორ შესძლო ჰომეროსმა მშვენიერი ელენეს სილამაზის გადმოცემა.

ელენე ავტორმა შეახვედრა ტროადის მოხუცებს და იმ ზეგავლენით, რომელიც ელენემ მოახდინა მოხუცებზე; დაახასიათა ელენეს მშვენიერება. მაშასადამე, ლესინგის აზრით პოეტმა კი არ აღწერა ელენეს გარეგნული მშვენიერება, მაგრამ მკაფიოდ გვაგრძობინა განსაკუთრებული ხერხით ელენეს მაღალი სილამაზე. ილიამაც ამავე ხერხს მიმართა და მწყემსი ქალის სილამაზე გვამცნო განდეგილის ახტკინებით. ზემოთ ნაჩვენები ხერხი არა მარტო სილამაზის დაახასიათებლად გამოიყენა პოეტმა, არამედ დასახელებულ სცენის საშუალებით ააშენა ილიამ პოემის დრამატიული კვანძი.

ცხოვრებას განშორებულმა განდეგილმა, დაინახა რა ქალის სიმშვენიერე. სასოწარკვეთაში ჩავარდა. ამ ქვეყნიური ზრახვებით გაიმსჭვალა. ამ ხერხით ილიამ ქალის სილამაზე დაახასიათა და პოემის დრამატიული კვანძიც გაგვიხსნა. შემდეგ პოეტმა ასეთივე ხერხით განაგრძო დეტალების დასურათებაც და ეცადა აღწერითი მანერა მხოლოდ ბუნების გადმოცემის დროს შეენარჩუნებინა. ილიას საერთოდ მოზაიკური ხატვა პოეტური სურათისა არ უყვარდა. „განდეგილში“ გვერდი აუარა საერთოდ მოზაიკურ ხატვას და შექმნა ნამდვილი მონუმენტალური სახეები. თვით განდეგილის სახე რატომღაც აღწერა ავტორმა ამბობენ, ერთმა მეგობარ-

მა ურჩია განდევილის გარეგნობა დაეხატა, რადგან მეგობრის აზრით განდევილის სახის წარმოდგენა პოემის მიხედვით შეუძლებელი ხდებოდა. ილიასაც დაუჯერებია შენიშვნისათვის და პოემაში ჩაუმატებია შემდეგი სტრიქონები:

სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი;
სიწმინდის მადლით დაჰმშვენებოდა
და მაღალს შუბლსა, ნაოქად შეკრულს,
შარავანდები გადაჰვენოდა.

ხსენებული აღწერა განდევილის გარეგნობისა პოემისათვის საჭირო არ იყო და „განდევილის“ მთლიან სტილს ნაწილობრივ არღვევს კიდევც.

ლესინგის მხატვრული კონცეპციის მიხედვით მოცემული სხვა სახეე-
ში და დრამატიული სცენები უარყოფენ ზემოაღწერილ ხატვის პრინციპს.
ქალის სახის ჩვენებაში აღწერითი ხატვა არ გამოუყენებია ავტორს და
მაინც შესანიშნავად შესძლო ჩვენთვის ცხადად დაენახებია მშვენიერე-
ბა მწყემსი ქალისა:

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად.

ან კიდევ:

თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერ ნაკლსა.

ამ ავტორისტული პოეტური თქმით პოეტმა შესძლო გადმოეცა ნამ-
დვილი სილამაზე ქალისა და შემდეგ ხელოვნური განათების საშუალე-
ლით კიდევ უფრო მეათეოდ გაეხადა ჩვენთვის მწყემსი ქალის მშვენიე-
რება და მიმზღველობა.

მოზიდა შეშა, ცეცხლი ანთო.
რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
ბნელი სენაკი სინათლით მორთო,
ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
სტუმარს, იქ მჯდომელს ზედ მოეფინა,
გასაოცარი რალაც შვენება
განდევილს თვალწინ წარმოედგინა.

ამ სტრიქონებში რემბრანდტის სურათების მსგავსად მოცემულია გა-
ნათება მწყემსი ქალისა და ცეცხლის შუქზე ჩნდება ქალის სილამაზე სე-
ნაკის სიბნელის ფონზე გამოკვეთილი. ცეცხლი არა მარტო განათების
საშუალებაა, არამედ თითქო მონაწილეობას ღებულობს ქალის სილამა-
ზის ათვისებაში:

უზნითა შერქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს უცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

ამ მხატვრულ სურათში უსათუოდ არის რუსთაველის გავლენაც: თინათინ მზესა სწუნობდა და მზე თინათინებდა-ო; მაგრამ ამ სახეში მეორე მხარეცაა საინტერესო: ბუნების ძალა თითქო ეკამათება ქალის მშვენიერებას; თვით ქალის სახეში ბუნება მოსჩანს უპირველეს ყოვლისა და მწყემსი ქალი, რომელიც ცხოვრების წარმომადგენელია და გლეხის შვილია, ბუნების შვილიც არის; ბუნების შვილს მყინვარის სახე ხიბლავს და მყინვარის მშვენება ქალის პიროვნებაში მუდამ სცხოვრობს. ასეთ გარემოცვაში ქალი ბუნების გააზრებული მხატვრული სახეა. ჩვენ ვიცით წინა თავებიდან: განდევლის შინაგანი დრამა რომ ეჩვენებინა პოეტს გამოკვეთილად, ჯერ ბუნების წიაღში მოახდინა ექსკურსია; დაგვიხატა ბუნების დიდი დრამატიული ჭიდრილი. შეამზადა განდევლის სიუჟეტური სიმძაფრე და ბუნების ჭიდილის ფონზე სიუჟეტი უფრო რელიეფურად წარმოგვიდგინა. ბუნების სურათოვნება და „განდევლის“ შინაარსი ორგანიულად დაუკავშირა ერთი მეორეს და ორივე სურათის მღელვარებაზე შექმნა მთლიანი ორკესტრი პოემისა.

V

როგორც ვხედავთ, ილიას ბუნების პოეტურ სიყვარულში იყო დიდი ნაკადი შეღინგისებური პანტეისტური ფილოსოფიისა. ილიას პანტეისტურ-პოეტურ ტენდენციას შემდეგში ჩვენ ვხედავთ თავისებურად გადათარგმნილს და გაგრძელებულს ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. ვაჟა-ფშაველამ ახალე ხარისხი მისცა ილიას მიერ გაკაფულ გზას და შექმნა განსაკუთრებული სკოლა მთის პოეზიისა.

არტურ ლეისტი იგონებს, რომ ილიას განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა ბუნების მიმართ. ილიას უთქვამს: „რამდენს სიამოვნებას აძლევს ადამიანს ბუნების ცხოვრება და მისი სურათის მშვენიერება. ჩვენს წინაპრებს ამბი განცდა არ ჰქონიათ და მათ ბუნებასთან საუბარი არ შეეძლოთ“).

ეს გვიმტკიცებს, რა დიდი სიყვარულით მიმართავდა ილია ბუნებას და რა დიდი ადგილი ეჭირა მის პოეტურ სალაროში ბუნების სურათებს. პირველად ილია კავკასიის ბუნების პეიზაჟით მოხიბლულა, რომლის ტრადიციები შექმნეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ. გრ. ორბელიანმა, პუშკინმა და ლერმონტოვმა. თავის წინამორბედთა შორის ილიაზე მეტი გავ-

*) აქვე უნდა აღინიშნოს. რომ ამ მტკიცებაში ილია უსათუოდ სცდებოდა. თუ გავიხსენებთ დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის“ შესავალს, თეიმურაზ I დახატულ ბუნების სურათებს და გურამიშვილის მიმართვას მნათობებისადმი. ეს დებულება შემცდარად უნდა მივიჩნიოთ.

ლენს მოუხდენია პირველ ხანებში გრ. ორბელიანს და მის მონუმენტალური სტრიქონები:

წყალნი მთით დაქანებულნი აღმასებრ უფსკრულს ცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს. კლდენი ბანს ეუბნებიან

ილიას თან სდევდა ყოველთვის. პოეტი თითქოს ცდილობდა შეჯიბრებოდა ამ შესანიშნავ სტრიქონებს და მყინვარების სურათოვნების გადმოცემის დროს დაემარცხებია ისინი.

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივი ვერ შეჰხებიან

ან:

აღმოჩნდა მთების ზემოდ მყინვარი
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ... და სხვა.

ამ სტრიქონებში ილიას მხატვრული ძლიერება უსათუოდ უსწორდება ორბელიანის მხატვრულ შესაძლებლობას და როგორც გოტიური ძეგლები, ისე მიიმართებიან ილიას მყინვარები ქართულ პოეტურ პეიზაჟებში. ყვარლის მთებშიც ასეთივე პლასტიური ხატვით მოცემულია სიდიადე ბუნებისა და მისი სურათების დინამური განვითარება. ამასთანავე პოეტი ყოველთვის ორბელიანთან განსხვავებით ცდილობდა ბუნების სურათებისადმი დიდი სოციალური შინაარსის მიცემას და პეიზაჟის ხელოვნებაში შეჰქონდა სრულიად ახალი. სიტოცხლე. ილიას პოეტურ პეიზაჟი ცხოვრების დენასთან დაკავშირებულია და როგორც „აჩრდილის“ გარჩევაში დავინახეთ, ბუნებასა და ადამიანის ცხოვრების შორის საკრალური ნათესაობაა მონახული. ხატვის მანერით ილიას ბუნება ბარათაშვილის ბუნებას უფრო უახლოვდება; ბარათაშვილმა „ჩინარ“ში აღნიშნა, რომ

...არს ენა რამ საიდუმლო
უასაკოთაც და უსულოთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათის. საუბრის. *).

ბარათაშვილმა თვითონვე სცადა ეს ენა გაეგო და თავისი ცხოვრება ბუნების ცხოვრებას დაუახლოვა. მაგრამ ბარათაშვილისთვის ობიექტური სამყარო და, მაშასადამე, კერძოდ ბუნებაც საჭირო იყო თავისი პიროვნული დრამის გადმოსაცემად:

მახსოვს იგი დრო, სწამო დრო, როს ნადვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
და წყნარ სალამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი.

*) ამ ლირიკული დებულების სტილიზაცია ვაჟამ გვიჩვენა ეპიურ ტილო „ბჰვის მკამელში“, სადაც მინდიაშ. მართლაც ახსნა ბუნების საიდუმლოება. ავტორი.

ამგვარად „მერანის“ ავტორისთვის შინაგან ცხოვრების გამოვლინები-
შათვის იყო საჭირო ბუნების განწყობილება. ილიასთვის კი ბუნებას
უფრო საზოგადოებრივი ნოვალეობანი ჰქონდა დაკისრებული, მისი ბუ-
ნება სოციალური ხასიათის მატარებელია. მტკვრის მიდამოში მას აგონ-
დებოდა თითქო ჩვენი წარსულ, იქ დამარხული, და ამბობდა:

მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროს გადაეც ეს ჩემი კვნესა.

ელეგიაში პოეტი ხედავდა ბუნების ძილის მშვენიერებას, რომელიც
მის სამშობლოს ძილს ეალერსებოდა და ამ სურათიდან გამოწვეული
რეაქცია სამშობლოს ბედის უკუღმართობას აგონებდა დიდ ოსტატს.
აყვავებული მთები და აყვავებული მდელი პოეტში ბადებდა სურვილს
სამშობლოს ცხოვრების აყვავებისას და პოეტი ცდილობდა ბუნებისა და
ქართველი ხალხის აყვავება ერთგვარად მომხდარიყო. როგორც ხედავთ,
ილიას ბარათაშვილივით შეეძლო საუბარი ბუნებასთან. მას ესმოდა უასა-
კოთა და უსულოთ ენა, მაგრამ მისი ბუნება უფრო სოციალურად გააზრ-
ებული იყო და მისი პოეტური პეიზაჟი სოციალური ინსტანქტების პა-
ტარებლად გამოდიოდა.

თვით ბარათაშვილის შესანიშნავი სურათი „მორბის არაგვი, არა-გვი-
ანი“ პოემის ორნამენტი და არა თემის პოეტური კონცეპტარია, ხოლო „კა-
კო ყაჩაღში“, „განდეგილში“ და „აჩრდილში“ ბუნების სურათები გან-
საკუთრებული სიუჟეტური თვისებების მატარებელია და პოეტის იდეურ
სამყაროს ახალ კუთხიდან გვიჩვენებს. ილიას მყინვარები მონუმენტალო-
ბასთან ერთად ატარებენ უდიდეს სოციალურ შინაარსს და ნაწილობრივ
გვავგონებენ შელლის „მონბლანის“ ფილოსოფიურ პოეტურ სურათებს.
დყინვარში გამოჩნდა ილიას ფილოსოფიური დამოკიდებულება ბუნებისა-
დმი, რომლის საწყისები ბარათაშვილის „ჩინარში“ უნდა ვეძიოთ და ნაწი-
ლობრივ ალექსანდრე ქავჭავაძის „გოგჩის ტბაში“, მაგრამ, როგორც აღვ-
ნიშნეთ, ილიას ბუნება უფრო რეალისტურია, მისი პლასტიური მხარე-
ები ხელშესახები და უფრო მკაფიოა. ილიას პოეტურ პეიზაჟში პლას-
ტიური რეალიზმია გამეფებული. აქვე უნდა აღინიშნოს, როგორ თავი-
სებურად ეგუებოდა ილიას ბუნება პოემების შინაარსსაც.

როგორც ვიცით, „კაკო ყაჩაღში“ აღწერილი ბუნება უფრო დემოკრა-
ტიულია და მდაბიო, ხოლო განდეგილის ბუნების გარემოცვა, უფრო
ამაღლებული ტონითა დაწერილი და პოემის შინაგან ცხოვრებას ეთან-
ჭმება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ილიას განათება პეიზაჟისა, რაც
ფერწერითი მხატვრობის ზედგავლენას უნდა მიეწეროს:

ამობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.

ცისა ლაჟვარდი, ვით წაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან პლუვოდა
და გამსქვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში კრთოდა.

აგრეთვე ილიას სხვა პოეტურ პეიზაჟებში ახასიათებს გრაფიულ-
შოსმა სურათებისა და გრაფიული მხატვრობის ზედგავლენაც:

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ....
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მდდგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეჩერებულა.

ან კიდევ:

და თეთრი ზოლი შორი მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქებოდა.

ეს გრაფიული მოხაზვა პეიზაჟისა და ხან კი ფერწერითი განათება
ილიას პოეტურ პეიზაჟს აძლევდა უდიდეს კოლორიტს და პოეტის ოსტა-
ტობას უახლოვებდა დიდ ოსტატებს ევროპულ პოეზიისას: გოეთესა და
ნაწილობრივ, ლამარტინსაც.

მაგრამ ილიას პოეტურ პეიზაჟს ყოველთვის ჰქონდა თავისი ინდი-
ვიდუალური ტონალობაც, რომელიც განუმეორებელია ევროპულ პოე-
ზიაში. „ელეგის“ ლირიული კონპოზიცია უსათუოდ გოეთეს „ლამის
მეხრის სიმღერას“ ენათესავება და „მწუხარება“ გოეთეს „ლამის ფიჭ-
რებს“ უახლოვდება. „ელეგია“-ში არის ნაჩვენები გოეთესებური ბუნე-
ბის დიადი სიწყნარის გადმოცემა, მაგრამ თუ გოეთე ცდილობდა ბუნე-
ბის სიწყნარე დაეახლოვებინა ადამიანთან, ილიას ბუნება სულ სხვა რე-
სქციის გამომწვევი იყო. ილიას ბუნების მხატვრობაში ილვიძებდა სა-
ზოგადოებრივი დინამიკის, მოსურნე ოსტატი და ბაირონის პატივის-
მცემელი.

VI

ამგვარად ილიას პოეტური კულტურის ფორმაციაში, გარდა ქართუ-
ლი პოეტური ტრადიციებისა, მონაწილეობა მიიღეს ევროპის დიდმა ოს-
ტატებმა: ბაირონმა, შილლერმა, პუშკინმა, ჰაინემ და სხვამ. სატრფიალო
ლირიკაში ილიამ განიცადა დიდი გავლენა ჰაინესი და, ნაწილობრივ-
ლერმონტოვისა.

არტურ ლეისტი გადმოგვცემს, რომ ილია გოეთეს ყველაზე მაღლა
აყენებდა, მის გენიას ბაირონსაც ამჯობინებდა და იტყოდა: „თქვენო
ოლიმპიელი! რამდენ აზრთა და გრძნობათ ძალა სჩანს შიგო“.

ზემომოყვანილი ამონაწერიდან ცხადია, ილიას დიდი სიყვარული გოეთეს შემოქმედებისადმი. თვით ილიამ თავის თავი მიაკუთვნა ევროპულ ხაზს ქართულ პოეზიისას. როგორც აშხ. პავლე ინგოროყვა აღნიშნავდა, სიტყვა „ევროპიულობა“ ილიას ტერმინია განსაკუთრებულ პოეტურ ტენდენციის აღსანიშნავად ქართულ პოეზიაში. ილიამ ეს ტენდენცია ამგვარად წარმოგვიდგინა. დავით გურამიშვილი პირველი შემომტანია ევროპეიზმისა ქართული ლექსის გამოთქმაში. შემდეგ ალექსანდრე ქავჭავაძე. რომელიც ნაწილობრივ ცდილობდა გაეერთინებინა ევროპული გზა ქართულ მწერლობაში, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი ნამდვილი ბრწყინვალე წარმომადგენელია ევროპული გზისა ჩვენში. ჩვენ გვინდა ცოტათი გავშალოთ ეს დებულება, რათა გამოვარკვიოთ ილიას როლი ქართულ მწერლობაში და ევროპეიზმის განმტკიცებაში.

იგივე არტურ ლეისტი გადმოგვცემს, რომ ილიას ირანული პოეზია არ უყვარდა. ის ფიქრობდა, რომ ირანულმა პოეზიამ ცუდი ზედგავლენა მოახდინა ქართული პოეზიის განვითარებაზე. ამიტომაც ილია ხუფრო მისდევდა ქართულ პოეზიაში იმ ტრადიციას, რომელიც ევროპულ კულტურას უკავშირდებოდა. ჩემის აზრით, ევროპული ტენდენციის მტარებელი პოეტები: დავით გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი როდესაც მიმართავენ თავიანთ პოეტურ ჩანგს დასავლეთ ევროპის პოეტურ კულტურისაკენ, ამით ისინი თავისთავად ამყარებდნენ ორგანიულ კავშირს შოთა რუსთაველის პოეზიასთან.

ამის საუკეთესო საბუთია დავით გურამიშვილის პოეტური პოზიცია. როგორც ვიცით, დავით გურამიშვილმა უკრაინული, პოლონური და რუსული პოეზიის გავლენით შექმნა ახალი პოეტური ფორმები და მთლიანად ქართული პოეზია დასავლეთისკენ მიაბრუნა, შეუწარმოა რა ამავე დროს პოეტურ თქმასა და პოეტურ მასალას ნამდვილი ქართული ხასიათი. ამავე გურამიშვილმა წამოაყენა შოთა რუსთაველის პოეტური გზის სიდიადე მე-18 საუკუნეში, იგი ამბობდა:

როდესაც ბრძენმა რიტორმა
შოთამ რგო იგავთ რეო და
ფესვ ღრმა ჰყო, რტონი უჩინა,
ზედ ხილი მოიწეოდა.
ორი გზით ნაყოფს მისცემდა,
ვისგანაც მოიჩხოდა.

ე. ი. სიბრძნეს და სილამაზეს რუსთაველი ერთგვარად სთესსო, ამბობდა გურამიშვილი. ამგვარად გურამიშვილი თავის თავზე სწერდა:

ვით მხედარს ყრმისა მცირისა
წკეპელსა ზედა ჯდომანი
მიემსგავსების ცხენოსანს
ჯოხის რბენათა ხტომანი,
ეგრეთვე შოთა რუსთაველსა
ეს ჩემი ლექსთ მიხედომანი.

თანახმად მოყვანილი სტრიქონისა. გურამიშვილი თავის თავს რუსთაველის მოწაფედ სთვლიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთაველის აფორიზმები იყო გამოსავალი წერტილი, საიდანაც დაიბადა გურამიშვილის ხფორიზმები და მისი დიდაქტიკური პოეზია. ცხადია, უფრო ირანული კულტურის მატარებელი პოეტები რუსთაველით არ იყვნენ გატაცებულნი. არჩილ მეფის მოწმობით თეიმურაზი ჩახრუხაძეს რუსთველზე უფრო შალღა აყენებდა; თვით თეიმურაზი „მაჯამაში“ აღნიშნავდა, რომ მისაღეჭი სჯობდა რუსთველის ლექსს და მაინც რუსთველს აქებენ, „მე იმან გამაგულისაო“. ჩახრუხაძეს ილია არ სთვლიდა დიდ პოეტად. გურამიშვილი და ილია რუსთველის შეფასებაში ერთნაირ პოზიციასზე იდგნენ.

გურამიშვილი ამბობდა, ლექსი რუსთაველისებრ ნათქვამი მე სხვისათვერ ვნახეო... სწორედ ამის შედეგათ თუ გავიხსენებთ გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ და „გამლექსავის შესახებ“, (სადაც მოცემულია აფორისტულ თქმებით გურამიშვილის დიდაქტიკა) ჩვენ მივხვდებით რუსთაველის ნამდვილ ზეგავლენას გურამიშვილზე. უმთავრესად ეს გავლენა მოდიოდა „ვეფხისტყაოსნის“ შესავლიდან და ავთანდილის ლოცვიდან... შემდეგ გავიხსენოთ ავთანდილის მიმართვა მზისადმი, და მის მიერ თინათინის და მზის შედარება და მკითხველი დაინახავს, რომ გურამიშვილის მზის მიმართვა სავსებით იქიდან გამოპდინარეობს... გურამიშვილი პირდაპირ ამბობდა „მზეო ჩემო თინათინი ხარო...“ გურამიშვილმა რუსთაველის აფორიზმების დემოკრატიზაცია მოახდინა პოეზიაში და მას ღიდაქტიკური იერი მისცა.

პოეზიის ახსნა, რომ „შირობა სიბრძნის ერთი დარგია“ გურამიშვილისთვის კანონი იყო და მან მთელი გვერდები უძღვნა რუსთაველის ამ დებულების მტკიცებას და მის პოპულარიზაციას.

მართალია, ბარათაშვილს არ გამოუთქვამს თავისი აზრი რუსთაველის შესახებ, მაგრამ ბარათაშვილიც ხსენებული პოეტური პოზიციების მატარებელი იყო. ქართულ პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი პოეზია აზიარა ევროპის მოწინავე პოეზიის კულტურას და თავისთავად დაუპირისპირდა თეიმურაზის, ბესიკის და ნაწილობრივ ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის პოეზიის კულტურას, „მისთვისაც პოეზია სიბრძნის დარგი“ იყო. მან დაუბრუნა აფორისტული აზროვნობა ქართულ პოეტურ კულტურას, ფილოსოფიური სიმაღლე მისცა პოეტურ კულტურას და ისევ დაამყარა კონტაქტი რუსთაველის პოეტურ შთაბგონებასთან. თუ გავიხსენებთ ავთანდილის ანდერძს:

თუ საწუთრომან დამამზოს ყოველთა დამამზობელმან,
ლარიბი მოგკვდე ლარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ველარ შემსუღრონ ამზრდელთა და ვერცა მისანდობელმან... და სხვა:

და ამ სტრიქონებს შევადარებთ:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის.

ნუ დამიტბროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელითა შორის ტრიალის მინდვრის.

დაზინახავთ სრულ ნათესაობას პოეტური განცდისას და ბედის ყი-
ვილზე ერთნაირ ჩივილს.

ავთანდილის ანდერძში მოცემულმა ფილოსოფიურობამ და პოე-
ტურმა აფორიზმმა მისცა ერთგვარი საბაზი ბარათაშვილის მერანის გა-
ქანებას.

ავთანდილის ანდერძი იწერებოდა და ავთანდილი მიდიოდა „რათა-
მოძმესა თვისსა სიძნელე გზისა გაადვილებოდა“ და ახალი ხარისხი მის-
ცემოდა საკუთარ საზოგადო მოღვაწეობას.

ავთანდილმა იცის „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვა-
რულსა „და მან რად გასწიროს მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა“. ამ-
გვარად ბარათაშვილს შეუძლია მერანზე ქროლისას გახდეს ყორანთა და-
საყვიარათ, ან შავმა ყორანმა გაუთხაროს საფლავი მდელითა შორის.
ოღონდ მოძმესა თვისსა გზა გაუკაფოს მიმავალმა მხედარმა. პოეტური
ინვენტარი და თვით მხედრის სახით მოცემა კოსმიურ ძალთა მადიებელ-
ადამიანისა, ბარათაშვილმა რუსთაველიდან წამოიღო და ლირიულ ფორ-
მაში გამოსთქვა ღრმა ფილოსოფიური ხედვა სამყაროსი, რომლის საფუ-
ძველი რუსთაველს პოეტურ კულტურაშია.

თუ გავიხსენებთ ბარათაშვილის სტრიქონებს, „მხოლოდ ვარსკვლავ-
თა თანაშავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“, უსათუოდ გაგვახსენ-
დება ავთანდილის სიმღერა მნათობების მიმართ, სადაც რუსთაველის
გმირი ვარსკვლავებს თანაშავალებს მართლაც ამცნობდა თავის საიდუ-
მლოებს.

როგორც ვხედავთ, როდესაც ქართული პოეტები მიაპყრობდნენ
თვალს დასავლეთის პოეტურ კულტურისაკენ, ეზიარებოდნენ ევროპულ
აზროვნებას, საქართველოში იქმნებოდა მაღალშინაარსით სავსე პოეტური
კულტურა და ის თვისისთავად პოვებდა თავის საწყისებს რუსთაველის
პოეზიაში.

ილია ჭავჭავაძე რუსთაველის პოეტურ ტრადიციებს ბარათაშვილთან
გავლით უახლოვდებოდა. ბარათაშვილისადმი სიყვარული ილიას შემოქ-
მედებს ბოლომდე შერჩა:

ვინ იცის. თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი,
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ.

სწუხდა პოეტი და სჯეროდა, რომ ის ბარათაშვილთან ერთად
აგრძელებდა მოაზროვნე და დიდ ემოციურ პოეტურ კულტურას. ილიას
ლირიკულ ლექსებს: „მტკვრის პირას“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემო მკვლელო“,
„ვაი მას“, „ოჰ სად არიან სიჭაბუკეც, სიტკბონი შენნი“ ატყვია ბარათა-
შვილის ზეგავლენა.

თანახმად მოყვანილი სტრიქონისა, გურამიშვილი თავის თავს რუსთაველის მოწაფედ სთვლიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთაველის აფორიზმები იყო გამოსავალი წერტილი, საიდანაც დაიბადა გურამიშვილის ბფორიზმები და მისი დიდაქტიკური პოეზია. ცხადია, უფრო ირანული კულტურის მატარებელი პოეტები რუსთაველით არ იყვნენ გატაცებულნი. არჩილ მეფის მოწმობით თეიმურაზი ჩახრუხნაძეს რუსთველზე უფრო შალდა. აყენებდა; თვით თეიმურაზი „მაჯამაში“ აღნიშნავდა, რომ მისი ლექსი სჯობდა რუსთველის ლექსს და მაინც რუსთველს აქებენ, „მე იმან გამაგულისაო“. ჩახრუხნაძეს ილია არ სთვლიდა დიდ პოეტად. გურამიშვილი და ილია რუსთველის შეფასებაში ერთნაირ პოზიციას იღებენ.

გურამიშვილი ამბობდა, ლექსი რუსთაველისებრ ნათქვამი მე სხვისათ ვერ ვნახეო... სწორედ ამის შედეგათ თუ გავიხსენებთ გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ და „გაპლექსავის შესახებ“, (სადაც მოცემულია აფორისტულ თქმებით გურამიშვილის დიდაქტიკა) ჩვენ მიხვდებით რუსთაველის ნამდვილ ზეგავლენას გურამიშვილზე. უმთავრესად ეს გავლენა მოდიოდა „ვეფხისტყაოსნის“ შესავლიდან და ავთანდილის ლოცვიდან... შემდეგ გავიხსენოთ ავთანდილის მიმართვა მზისადმი, და მის მიერ თინათინის და მზის შედარება და მკითხველი დაინახავს, რომ გურამიშვილის მზის მიმართვა სავსებით იქიდან გამომდინარეობს... გურამიშვილი პირდაპირ ამბობდა „მზეო ჩემო თინათინი ხარო...“ გურამიშვილმა რუსთაველის აფორიზმების დემოკრატიზაცია მოახდინა პოეზიაში და მას ლიდაქტიური იერი მისცა.

პოეზიის ახსნა, რომ „შაირობა სიბრძნის ერთი დარგია“ გურამიშვილისთვის კანონი იყო და მან მთელი გვერდები უძღვნა რუსთაველის ამ დებულებების მტკიცებას და მის პოპულარიზაციას.

მართალია, ბარათაშვილს არ გამოუთქვამს თავისი აზრი რუსთაველის შესახებ, მაგრამ ბარათაშვილიც ხსენებული პოეტური პოზიციების მატარებელი იყო. ქართულ პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი პოეზია აზიარა ევროპის მოწინავე პოეზიის კულტურას და თავისთავად დაუპირისპირდა თეიმურაზის, ბესიკის და ნაწილობრივ ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის პოეზიის კულტურას, „მისთვისაც პოეზია სიბრძნის დარგი“ იყო. მან დაუბრუნა აფორისტული აზროვნობა ქართულ პოეტურ კულტურას, ფილოსოფიური სიმაღლე მისცა პოეტურ კულტურას და ისევ დაამყარა კონტაქტი რუსთაველის პოეტურ შთაგონებასთან. თუ გავიხსენებთ ავთანდილის ანდერძს:

თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხობელმან.

ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან.

ველარ შემსუდრონ ამზრდელთა და ვერცა მისანდობელმან... და სხვა.

და ამ სტრიქონებს შევადარებთ:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,

ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,

ლებლად. ილიამ, აკაკისთან ერთად შექმნა ახალი სოციალური იდეების ჯამოსამქველად განსაკუთრებული ხალხური პოეტური ენა.

ნათქვამა, რომ ეპიგონების გამრავლება ხელს უწყობს ნოვატორის დაბადებას და ასეც მოხდა ილიასა და აკაკის გამოსვლისას. მათ გამოსვლას ერთის მხრივ წინ უძღოდა რომანტიკოსების მალაფარდოვანი სიტყვიერი კულტურა, ხოლო მეორე მხრივ დიდი რომანტიკოსების ეპიგონების პლედია. ეპიგონებმა დასცეს ის დიდი ხარისხი პოეტური კულტურისა, რომელიც გააჩნდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს და გრ. ორბელიანს.

ამხ. აკ. გაწერელიამ აღნიშნა და უნდა დავეთანხმოთ, რომ რომანტიკოსების ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ორი მიმდინარეობა იყო: არქაისტები და დარბაისელები. წმინდა არქაისტებს მიეკუთვნებიან უმთავრესად პლატონ იოსელიანი, გრ. ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძე, რომელთაც წინ უძღოდა ანტონ კათალიკოსის ნორმები სალიტერატურო ენისა, ხოლო ბარათაშვილი და ალ. ორბელიანი მიეკუთვნებიან დარბაისელთა ფრთას. უნდა ვიფიქროთ, რომ დარბაისელთა ენა თავადაზნაურობის უფრო ცოცხალი და სასაუბრო ენა იყო.

ხოლო პლატონ იოსელიანის სარდლობით მომუშავე მწერლების ლიტერატურული ენა უფრო მწიგნობრულ-არქაული იყო. ანტონ კათალიკოსის სქოლასტიური ნორმები ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობისა შეფობდა რომანტიკოსების მართლწერაში. ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეგნებულად სცადა გაერღვია ხსენებული ტრადიცია. ბარათაშვილის პოეტური ენა დარბაისლურ ტენდენციებს ამქვეყნებდა და ცოცხალ საბაზო ენასთან დიდად იყო დაკავშირებული. მის პოეტურ ენაში ბევრი იყო ხალხური გამოთქმები და მდაბიო კილოც. „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო“-ს შესახებ თვითონვე სწერდა: ეს ლექსი მდაბიოთა ენაზე დაწერეო. „ბედი ქართლისაში“ მანვე მოგვცა არაგვის სანაპიროების პეიზაჟი და პოეტური ენაც პეიზაჟის აღწერილობისა საკმაოდ დემოკრატიულია. მართალია, ამ ნაწყვეტში უფრო სინტაქსიური უბრალოებაა ენისა დაცული. მაგრამ ესეც დიდრ მიღწევია რომანტიკოსების ხანაში. ალექსანდრე ჭავჭავაძეს და გრიგოლ ორბელიანს ახასიათებდა როგორც სინტაქსიური და ეტიმოლოგიური არქაიზმი; ისე სიტყვიერი მასალის არქაიზაცია. ბარათაშვილისთვის ლექსკუთრი მასალის არქაიზაცია არ არის დამახასიათებელი. ბარათაშვილის არქაიზმი უმთავრესად გამოსკვივის სიტყვის ეტიმოლოგიურ დაყენებაში.

რომანტიკოსების ეპიგონებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის ენა მნატვრულად გააღარიბეს და არქაისტული ელფერო პოეტურ მემკვიდრეობისა სავალდებულოდ გაიხადეს. ილიას მოწინააღმდეგე მესხიევი სწერდა, სასაუბრო ენაში ზამი საფეხურიარ: მაღალი, საშუალო, და დაბალი. მესხიევის აზრით, მაღალი და საშუალო სასაუბრო ენა დასაშვები იყო სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ხოლო დაბალი წასაუბრო ენის შემოშვება მწერლობაში მესხიევს არ მიაჩნდა სასურველად. ილია აღუდგა საერთოდ რომანტიკოსთა ეპიგონობას. მათ სალიტერატურო ენასაც დაუპირისპირა ახალი, არა სამსაფეხურად განშტო-

ებული ენა, სრამედ ერთი სახალხო სალიტერატურო ენა. ილიასთვის აუცილებელი იყო ხალხური ლიტერატურული მეტყველება, რადგან ილია თავის ნაწერებით სახალხო საკითხებში ეხებოდა. მის თემატიკურ და იდეურ სამყაროს სჭიროდა ხალხური ლიტერატურული ენა.

რომანტიკოსების ეპიგონებზე დიდი გავლენა ჰქონდა რუსულ პოეტურ მეტყველებასაც. მე-18 საუკუნეში ქართულ სასულიერო მწერლობის რუსულ სასულიერო მწერლობასთან სიახლოვის და 19 საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალურ ოჯახებში რუსული ენის გავრცელების შედეგად მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს პოეტურ ენას დიდი გავლენა დააჩნია რუსულმა მეტყველებამ. ფეოდალური წრეების რუსეთის მონარქიის მოხელეებად გადაქცევის და მათი სასაუბრო ენის გავრცელების გამო ილია სწერდა:

ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც — გარეთ, თუ შინა.

ჩვენ წინეთ გვქონდა აღნიშნული ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის ლექსის ფორმაზე პუშკინის და ყუკოვსკის ზედგავლენა და ქართული ლექსის ბუნების გადაგვარება. ამ ხანებში ქართულ პოეტურ ენაში რუსული მახვილების გადმონერგვა დაიწყო და რუსული ლექსის ბუნების მიხედვით ქართული რითმების შექმნაც სცადეს. ილიამ და აკაკიმ ამგვარი ოპერაციები ჩვენი რომანტიკოსებისა დაჰგმეს და ქართულ ლექსს დაუბრუნეს წმინდა ქართული ხასიათი, გამომდინარე ხალხურ ლიტერატურულ ენის თვისებიდან.

თუ ყურადღებით გადავიკითხავთ ილიას ნაწერებს, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი დიდი ოსტატი ყოველთვის არ ყოფილა რეალისტური გზის დამცველი პოეტურ ენაში. ილიას პირველ ნაწერებში დიდი ზედგავლენა გრიგოლ ორბელიანის პოეტური მეტყველებისა. ეს ზედგავლენა უნთავრესად გამჩნევიან ლექსში „ყვარლის მთებს“. ამ ლექსში ილიას ეტყობა განსაკუთრებული სიტყვიერი მასალის შერჩევის ცდა. სიტყვეზის ეკლესიური დაბოლოვება და ხშირად სინტაქსიური არქაიზმიც. საკმარისია გავიხსენოთ ხსენებულ დებულებებს დასადასტურებლად:

როცა ჰღმოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
ვითარ მრისხანე დაქრილ ლომთა საშიშნი ხმანი,

და შევადაროთ:

წყალნი, მთით დაქანებულნი,
აღმასებრ უფესკრულს სცვიფიან.

მათი ნათესაობაც ნათლად წარმოგვიდგება. ლექსის აწეული ტონალობა, სიტყვიერი მასალის განფენილობა, ორბელიანისა და ილიას მოყვანილ სტრიქონებში ერთგვარია. შემდეგ ილიას პოეტურმა ფრაზამ შეტი სი-

სადავე და ხალხური თქმების იერი მიიღო. ამ მუშაობის შედეგად დაიბადა:

ვაი-ვაგლახით, წვითა და დაგვით
შიძმე უღელი გამიწევია.

ან კიდევ:

აყვავებულა მდელი,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

ასეთ უბრალო და ყველასათვის მისაწვდომ წინადადებებით ლექსის აშენებამ ააღლვა „ცისკარში“ შეკრებილი ცრუკლასიკურ სმენის პოეტები და მწერლები. მათთვის მიუღებელი იყო ასეთი დემოკრატიზაცია პოეტური ფრაზისა. ილიას ფრაზა უკვე სავსებით ეყრდნობოდა ხალხურ ფოლკლორსა და ხალხის საბაასო ენას, (განსაკუთრებით გლეხობისას).

ილიას პოეტურ განვითარებაში ლიტერატურულმა ენამ დიდი ცვალებადობა განიცდა. ილიას არ უყვარდა ნოშვებული ფრაზა და ყოველთვის მის ლიტერატურულ ფრაზას ოსტატობის ელემენტი უნდა შერჩენოდა. უკანასკნელ პერიოდში პოეტურ ფრაზას ისევ დაუწყობილია მსხვაგვარი დამუშავება და ზედმეტ მდაბიურობას ლიტერატურულ ენისას გაუბოდა. ილიას ფრაზას ყოველთვის ეტყობოდა ოსტატის ხელი და პოეტურ ლაბორატორიაში მუშაობის იერი. ჩვენს პოეტს ფლობერის მსგავსად უყვარდა ფრაზის წვალება და განსაკუთრებული „რაკურსით“ დაყინვა.

ნიკო ნიკოლაძემ შეატყო ილიას მუშაობას ასეთი გადახრა და უსაყვედურა კიდევ „კაცია ადამიანის“ ავტორს ლიტერატურული ენის საკითხში გამემარჯვენება. მაგრამ ილია შეგნებულად მიდიოდა ახალი გზით და პოეტურ ფრაზას შეუნარჩუნა დიდი სიმძაფრე და მაღალი ხარისხი. პოეტი ყოველთვის ცდილობდა მისულიყო ხალხურ მეტყველებასთან, ხალხური ენიდან მიღებული მასალა აეყვანა მაღალხარისხოვან პოეტურ ენამდე და ამგვარად თვით მოეხდინა გავლენა ხალხის საბაასო და სამწერლო მეტყველებაზე. ეს უკანასკნელი მოვალეობა ილიას პოეტურმა ენამ ჯეროვანად შეასრულა, ამით საძირკველი დაუმკვიდრა თანამედროვე სალიტერატურო ენასაც.

*) იხ. ჩ. წერილი ლიტერატურულ გზებში „პუშკინი და ქართველი რომანტიკოსები“. ავტორი.

3. გმრამე

შაირისა და გრძელი შაირის გამოყენების კანონზომიერება „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთველის 16 მარცვლიანი ლექსის ორი ნაირობის — შაირისა და გრძელი შაირის შემცველი სტროფები „ვეფხისტყაოსანისა“ წარმოგვიდგენს ჩვენ რიტმიულ მრავალფეროვნებას, რაიც განსაკუთრებულს სიდიადეს ანიჭებს მთელს პოემას, რომლის მსგავსი რამ პოეზიის სხვა რომელსამე ძეგლს არ ახასიათებს და რომლის პარალელი ჩვენ მარტოდენ ქართულ ხუროთმოძღვრებას, ან კიდევ ქართულ პოლიფონიურ სიმღერაში შეიძლება ვიპოვოთ. ქართული ხუროთმოძღვრების წესისამებრ, სადაც თალის ორივე მხარეს მდგარი სვეტების ჩუქურთმა სხვადასხვანაირია ისევე, ამ ორი სხვადასხვა ლექსის საშუალებით იქმნება ისეთი რიტმიულად მტკიცე და თავისებური ქარგა, რომელიც სავსებით შეეხამება იმ განწყობილებასა და გარემოებას, რომლის ასახვა პოეტს მიზნად დაუსახავს.

ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ, რამდენად არის დაცული „ვეფხისტყაოსანში“ „შაირისა და გრძელი შაირის“) შენაცვლების კანონზომიერება. სწავნარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვინდა გავშალოთ მამუკა ბარათაშვილის დებულება შაირისა და გრძელი შაირის შესახებ: „ამ თ ვ ი თ ო ს ნ უ ლ ე ბ ე რ ე მ ე ტ ნ ა კ ლ ე ბ ო ბ ი თ ე ს ო რ ი ვ ე შ ა ი რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა შ მ ე ბ ი შ ე ი ქ ნ ა“ (იხ. ჭაშნიკი, ხელნაწერი № 1550 გვ. 137-147) მამუკა ანსხვავებს ამ ორ შაირს იმდენად, რომ მათ „სხვა და სხვა ზემს“ უწოდებს.

მართლაც და ეს მოსაზრება სავსებით სწორია. შაირის ლექსი, გამართული დიქორულნი ტეტრაამეტრის მიხედვით სხვა ვითარებისა და განწყობის გზდმოსაცემათა მომართული, ვიდრე გრძელი შაირი, რომელიც ექვს ტერფიან ლექსს წარმოადგენს.

*) ჩვენ გამოვიყენებთ იმ თერმინებს, რომელნიც მოეპოება მამუკა ბარათაშვილს — აქამდე მიღებული სახელწოდება რუსთველის ლექსისა „მაღალი შაირი“ და „დაბალი შაირი“ უკუგდებულ უნდა იქნას, როგორც უსაფუძვლო. შაირს უწოდებს მამუკა დიქორებისაგან შემდგარ ოთხტერფიან ლექსს, ხოლო გრძელ შაირს ექვსტერფიან ლექსს, რომელიც შესდგება კვთხ სამმარცვლიან და ორ ორმარცვლიან ტერფებისაგან.

შაირის ლექსი, ქორეების განმეორების გამო, უფრო ცხოველი და დინამიურია, ვიდრე გრძელი შაირი. გრძელი შაირის ლექსი დამძიმებულია, უმთავრესად მძიმე სულიერ განცდათა გადმოცემისათვის არის შესაფერისი.

შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ თითქოს შაირის ლექსთა ცვალებადობა მარტოდონ ამ ნიშნის მიხედვით იყოს შესაძლებელი. ის, რაც ჩვენ თითოეული შაირის ხასიათის შესახებ ვთქვით, მისაღებია ძირითადად და ძალაში რჩება, მხოლოდ იმ შემთხვევათა მიმართ, როდესაც შაირის თუ გრძელი შაირის შედარებით დიდი რაოდენობა ერთად თავმოყრილი, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ შეიძლება მოვიყვანოთ დინამიურობის შემცველი გრძელი შაირის ლექსი ან კიდევ მძიმე განცდების გადმოსაცემად გამოყენებული შაირის ლექსიც. მაგრამ ასეთ შემთხვევებში შაირთა ეს სახეობანი როდია წარმოდგენილი ერთი მეორის მიყოლებით. ასეთ შემთხვევებში თითო ან ორი სტროფი შაირის და გრძელი შაირისა ერთი მეორეს შეენაცვლება. ასეთი შენაცვლება პოემის თემის ცვალებადობაზეა დამოკიდებული.

ასე რომ, ცალკეულ შემთხვევებში, ლექსის შენაცვლება ზოგჯერ შეიძლება გამოწვეული იქნეს სიუჟეტურ გადასვლის შემთხვევაში ან კიდევ იმის გამო, რომ გადმოცემა რიტმიულად მრავალფეროვანი იყოს.

ჩვენ შეიძლება მოვიყვანოთ პოემიდან ისეთი, მეტად საგულისხმო-ერო მაგალითი, შაირის ლექსის გამოყენების გარკვეულ სისტემაზე რომ ძიუთითებს.

ალსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სტროფები, რაც კი ტარხელა შეეხება, ვიდრე ტარხელისა და ავთანდილის დაქმობილებამდე სულ შაირის ლექსით არის გამართული.

დავიწყოთ თუ გინდ მისი ნახვის პირველი შემთხვევის აღწერიდან.

87. ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, *)

88. გ. შ.

91. ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუხარდა.

92. მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი.

93. გ. შ.

94. რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შეშობრუნდა.

97. თვალთა ხელე უკუ-ივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა.

101. რა სცნა მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა.

114. მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა;

120. თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი, ხმელთა მვლელად.

135. გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა.

227. ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა.

230. მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰფრინა.

245. ყმამან უთხრა: „დაო, ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვიდეს“

*) „ვეფხისტყაოსანის“ ციტატები მოყვანილია კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციის მიხედვით.

246. იგი ტევერი გაეხშირა დანაგლეჯსა, მათსა თმასა.

247. გ. შ.

249. მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არ ასრე ჯდა,

296. „რად დაბრუნდი“, მოახსენა, მითხარ, რაცა წაგეკიდა“.

297. სვედად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე.

298. ქალსა ცრემლი გადმოსცივიდეს ას-ნაკეცი ბევრის ბევრად.

299. ყოვლი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია?

303. გ. შ.

301. ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა სადმცა კაცი რად დაჰბადა.

302. ქალმან ჰკადრა: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვიაჯ დია.

303. გ. შ.

304. ყმამან უთხრა: „რას მენუკვი, არა ვიცი, გამიცხადე.

როგორც სჩანს პირველი სტროფიდან დაწყებული დიდი უმრავლესობა (26 სტროფიდან 21 სტროფი) შაირითაა გამართული, სწორედ იმის გამო, რომ შაირს რიტმის დინამიურობა ახასიათებს.

მაგრამ, თავი რომ ვაწებოთ ასე ცალკე ამოგლეჯილ მაგალითების მოყვანას, ჩვენ შეგვიძლია უფრო ნათლად დავადასტუროთ ჩვენი დებულება პოემის გაბმული ტექსტის ანალიზით, რომლითაც ეს კანონზომიერება უფრო თვალნათლივ დასანახი გახდება.

აი ნადირობის სცენა:

78. მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწოდომელი,

აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი.

ამის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, თვით ნადირობის ამბავი შაირის ლექსით მოდის.

79. ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქსა წაუხმიდეს.

80. იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს.

ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო, ალვას, ედემის ხეს!“

ეხლა სწყდება უკვე უშუალო გადმოცემა ნადირობისა და მისი დასასრულია მოცემული მხოლოდ, ამიტომ ბუნებრივია გადასვლა.

81. იგი მინდორი დალივეს, მართ მათგან განარბენია,

ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია...

მეფე როსტევეანის გაგზავნილები ზელცარიელი უკან ბრუნდებიან. იათი მოთხრობა შესრულებულია გრძელი შაირით:

124: მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით.

ხოლო შემდეგ მომდევნო სტროფები, რომელშიაც სულ სხვა განწყობილებაა, შაირის ლექსს წარმოადგენს:

125. მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,

126. ესე თქვა და სიხარულით თამაშობა აღიადა...

127. ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ქცვა ოდენ მართ პერანგი.
მოახსენა: „გებრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.

აქ უკვე სხვა გარემოებაა, ამიტომ მოსალოდნელია ლექსის შეცვლაც.

128. ავთანდილს მიხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა,

129. ავთანდილ ლალი უკადრი, მივა, არვისგან რცხვენოდა...

130. გაძრცივლსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპრონი...

131. დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა.

132. ქალმან უბრძანა: „ზარი მლევს შე მაგისისა თხრობისა...“

133. ყმაძან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმა-ლა ვით იქნების?“

133 სტროფიდან ვიდრე 147-ის ჩათვლით, თექვსმეტი სტროფი: სხვა ლექსის ჩაურევლად. სულ შაირითაა გამართული, რალა თქმა უნდა სწორედ ამ ლექსით შეიძლებოდა საუკეთესოდ გადმოცემული ყოფილიყო ავთანდილისთვის მოულოდნელი დეკლამაცია. თინათინის მიერ სიყვარულის გამომქვადნება, ერთგულების ფიცი და მათი ერთად ყოფნის ამბავი.

ასევე მრავლად არის წარმოდგენილი შაირის ლექსი იქ, სადაც გადმოცემულია „ავთანდილის წიგნი თავის ყმათა თანა და მისი წასვლა“.

როგორც ვიცით, ავთანდილი ნადირობის დროს გაუსხლტება თავის მხლებლებს. მისი გაქცევის სცენა განსაკუთრებით აღსანიშნავია. რადგან შაირის რიტმი ხომ ასე შეეფერება ამ სტროფებში გადმოცემულ სურათს:

188. რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს.

189. „ღმერთი, ლომო, შენად ნაცვლად სხვასა ვისმცა დანერგვიდეს“.

190. იგი ველი გაიზბინა, ლაშქართაგან გაეკიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ლექსითაა შესრულებული აგრეთვე წინა სტროფები, რომელშიც წერილის გაგრძელებაა წარმოდგენილი (წერილის დასაწყისის ორი მომდევნო სტროფი გრძელი შაირით არის გამართული. სტროფი 181, 182) სადაც ლაპარაკია, შერმადინის შესახებ (სტროფები: 183 ვიდრე, 189-მდე).

ამავე შაირის ლექსია გამოყენებული ასმათის და ავთანდილის დიალოგის გადმოსაცემად, როდესაც ავთანდილი მუქარას მიმართავს:

262. ქალმან უთხრა: „რას შეგესწარ, ძე ვინ ვარო, ანუ შენო!“

263. კვლაცა ჰკითხა ზენარობით, მიუყარნა მუხლნი წინა,

264. ვგრე უთხრა: „მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო?“

265. ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი.“

მომდევნო ორი სტროფი გრძელი შაირის ლექსით არის შესრულებული. აქ ასმათი თითქოს შეუტირდება თავის ბედსა და სიკვდილიც მისა და სასიკეთოდ მიუთვლია, ამიტომაც არის რომ ამ სტროფების რიტმი წინა სტროფებთან შედარებით, სადაც წინააღმდეგობა იყო დაახული, უფრო დინჯია და მძიმე:

266. კვლა ეტყვის: „ყბაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო?

267. ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია...

268 სტროფი ისევ შაირითაა გამართული, რადგანაც აქ ჯერ ერთ-ავთანდილის თემაა და შემდეგ, ახალი სიტუაციის დასაწყისის შეიცავს, რადგანაც ავთანდილი თავის მიზნის მისაღწევად ეხლა უკვე სხვა ხერხს მიმართავს.

268. ყმამან თქვა თუ: „არ ეგების აწ იჩისი ასრე თქმევა,

სხვასა რასმე მოვიგონებ, სჯობს საქმისა გამორჩევა“.

შემდეგი სტროფი ისევ გრძელი შაირისა არის, რადგანაც ასმათი ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულა, ხოლო „ავთანდილ ქვე ზის ტირილად“, განაწყობილება შეცვლილია, შეცვლილია სწორედ დრამატიზმის გაძლიერებით და ბუნებრივია, რომ რიტმიც შეიცვალოს. აღსანიშნავია ისიც, რომ რიტმიული სქემა ამ ლექსისა სწორედ შეეფერება მასში ასახულ გარემოებას daac *).

269. ქალი დაუჯდა კუშტ-გვარად, ქუშობს, ჯეროთ არ დამტკბარია... როგორც სქემების ანალიზიდან დავინახეთ 2a და cd რიტმით გამართული სტროფები სწორედ მძიმე განცდებს აგვისახავს.

270 სტროფი ისევ შაირის ლექსია, სადაც ასახულია ასმათის თანაგრძნობა ავთანდილის გლოვის გამო. ამ შემთხვევაში ლექსის შენაცვლება ამ ახალ ვითარებასთან უნდა იყოს შეთანხმებული. მართლაც და შისი მომდევნო სტროფები 271 და 272, ავთანდილის სიტყვებს რომ შეიცავს, აგრეთვე შაირის ლექსია.

273—სტროფიდან კი გრძელი შაირია. იგი აქ მიტომ არის საჭირო, რადგანაც გამიჯნურებულ ავთანდილისადმი ასმათის თანაგრძნობას გადმოგვცემს. შემდეგ შაირის რამდენიმე სტროფი მოსდევს გრძელი შაირის ქვემოთ მოყვანილ სტროფებს:

273. რა ქალსა მიხვდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება,

274. იტყვის თუ: „ამა სიტყვითა მას ფერი შეეცვალეღის.

გასაგებია აგრეთვე ლექსის შეცვლა 275 სტროფიდან: აქედან მო-

*) იმის მიხედვით, თუ რა რიგ არის მასში განაწილებული ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფები, გრძელი შაირის რიტმები წარმოდგენილია ოთხ ძირითად სქემის საშუალებით:

$$a = 323/323$$

$$b = 323/233$$

$$c = 233/323$$

$$d = 233/233.$$

სქემა შედგენილია იმის მიხედვით, თუ სად მოდის ორმარცვლიანი ტერფი, რადგან გრძელი შაირის ექვსტერფიან ლექსში მხოლოდ ორი ორმარცვლიანი ტერფია, ხოლო ოთხი სამმარცვლიანი, ამიტომ ლექსის თავისებურებას სწორედ ამ ორმარცვლიან ტერფის ადგილშენაცვლება ქმნის.

მაგ. x სქემით გამართული ლექსი მძიმე განცდის გადმოცემისათვის არის შესაფერისი, რადგან ორმარცვლიანი ტერფები აქ ერთიმეორისგან მეტად დაშორებულია და მას პირველი და მეხუთე ადგილი უჭირავს. იგივე შეიძლება ითქვას ხ სქემის შესახებ.

ყოლებული ვიდრე 279 — სტროფამდე ავთანდილის სიტყვაა და ამდენად მართლაც სავსებით შესაფერისია მისი ახალი რიტმის მიხედვით გამართვა, ავთანდილის მოთხრობისათვის შესაფერი დინამიურობის მინიჭების მიზნით, რომ ამ სიტყვებმა ასმათზე რაც შეიძლება მეტი გავლენა მოახდინოს.

275. ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად.

276. ჩემსა თავსა მიჯნურობა მართალია, არ ნაქორად...

277. მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე.

ასმათის სიტყვა აგრეთვე შაირის ლექსითაა შეთხზული და ეს პასუხი სწორედ რომ ავთანდილის სრული თანაგრძნობით არის გამოწვეული.

278. ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისგან უამესი.

279. მაშა რადგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე.

280. სტროფში ხომ ასმათი უკვე თანაგრძნობაზე შორს მიდის, აქ დარიგება, რჩევაა უროპლისოდ ავთანდილი მიზნის მიღწევას ვერ შეძლებს, კიდევ მეტი, მას დაღუპვაც კი მოელის, თუ ასმათის დარიგებისამებრ არ მოიქცევა. ამდენად ბუნებრივია ლექსის შეცვლა:

280. აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები.

ხოლო პასუხი ავთანდილისა ისევ შაირითაა აგებული. იგი ავთანდილის ჭკუამახვილობას აღსატურებს, პირდაპირი პასუხის ნაცვლად არაკია მოთხრობილი.

281. ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა.

282. ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ, მანდა, მომიცდიდე...

რაკი არაკი მთავრდება, ავთანდილის პასუხის უკანასკნელი ნაწილი, ერთ სტროფს რომ შეიცავს, გამართულია გრძელი შაირით და ეს ცვლილება მით არის გამოწვეული, რომ იგი წარმოადგენს თვით ავთანდილის დასკვნას.

283. აწ დაო, შენთა ხელთაა ჩემი საშელი ყელისა.

ამის შემდეგ ისევ გრძელდება ასმათის მიერ შეწყვეტილი თემა. ავთანდილმა თავი შეაბრალა ასმათს, იგი სავსებით მოხიბლა მისმა გულწრფელმა აღსარებამ და რაკი ასმათის სიტყვა შაირით იყო გამართული, 284 სტროფიც იმავე ლექსით გრძელდება, ხოლო შემდეგ, როდესაც ასმათი ავთანდილის შესახებ ამთავრებს საუბარს და ტარიელზე გადადის, აქ იცვლება ლექსიც და ორი სტროფი 285 და 286 გრძელი შაირითაა გამართული. რაც შეიძლებოდა, სთქვა ასმათმა, მან გამოამჟღავნა ტარიელისა და თვისი სახელი და შორეულად მიახვედრა მათი ვარამის მიზეზსაც.

285. იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვნების. (cccc).

286. გითხრობ. თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა (abbc) და ისევ დარიგებას მიჰყო ხელი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ავთანდილი ტარიელის წინაშე.

ტარიელის მოახლოვება, სწრაფი გადაწყვეტილება დამალვის შესახებ და სხვა, ერთი სიტყვით, ამ საუბრისა და ამ გარემოებათა შემცველი ოთხი სტროფი შაირის ლექსითაა დაწერილი.

287. ამის მეტსა ვერას გითხრობ' მე სიტყვასა ამისთანსა.
 288. ამას გვედრებ, მოიცადო, თავი სხვაგან არსად არო...
 289. ქალსა ყმამან მოუსმინა, დამორჩილდა, დართო ნება.
 290. ქალმან უთხრა: „ყმაო, ღმერთმან მოგცა ჟამად, რაცა გინა.

ტარიელის შემოსვლა, მათი შეხვედრა, ტარიელის გლოვა, მისი სასოწარკვეთა, ყოველივე ეს გრძელი შაირის ლექსით გაუმართავს რუსთველს და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ოთხი სტროფის რიტმიული ქარგაც განწყობილებისად არის შერჩეული.

- baaa 291. ავთანდილ ქვაბსა დამალა ქალმან მალვითა მალითა.
 bccb 292. ამარტია ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან.
 abbb 293. ავთანდილ სარკმლით უჭერეტდა ტყვე, საკნით ნახატები.
 babc 294. მან ქალმან ხელ ჰყო კვესითა გზება ცეცხლისა ნელისა.

მაგრამ მიიძინებს ტარიელი, კვლავ წამოვარდება და ისევ საშინელ ვაებასა და ბოლმას მიეცემა: შემდეგ დიალოგია ასმათსა და ტარიელს შორის. ასმათი სიტყვას ჩამოუგდებს მისი მარტოობის შესახებ. ეს ამბავი გადმოცეულია აგრეთვე ოთხი სტროფის მანძილზე და შედარებით მეტი დინამიურობისა გამო შაირის ლექსით არის დაწერილი:

296. „რად დაბრუნდი“, მოახსენა, მითხარ, რაცა წაგეკიდა...
 297. სევდად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე...
 298. ქალსა ცრემლი გარდმოსცივდეს ასნაკეცი ბევრის-ბევრად.
 299. ყოვლი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია...

ტარიელის პასუხი ასმათის საყვედურის გამო წარმოდგენილია გრძელი შაირის ლექსით. მისი მწუხარება და სასოწარკვეთილება სჩანს ყოველი სტროფის თითოეულ სტრიქონში.

რიტმიული ქარგა ამ სტროფისა ასევე შესაფერია 2a და cd შენაერთი. განსაკუთრებით კი მეორე და მეოთხე სტრიქონია ძლიერი:

300. a უბრძანა: დაო, ეგვა მსგავსი შენისა გულისა,
 c მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა!
 a ვის ძალ-აქვს პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ მოსულისა?
 d ჩემი ღზინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.

301 სტროფი შაირის ლექსია. აქ კვლავ იმაზე ლაპარაკობს. რომ ტარიელს ასმათის გარდა სხვა არავინა ჰყავს თანამგრძნობი, ასევე შაირის ლექსით (302 სტროფი) უპასუხებს ასმათი, რომლითაც იგი ნიადაგს შეამზადებს ავთანდილის გამოძევატებისათვის.

303 სტროფი კი, ისევ ასმათის საყვედურია ტარიელის მიმართ, უკატურობის გამო ნათქვამი და გამართულია გრძელის შაირის ლექსით.

304—შაირის სტროფში კვლავ ტარიელის ჩივილია მარტოობის გამო.

304. ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მეცა რას ვეცადე...

305 სტროფში ისევ იცვლება რიტმი, გრძელი შაირის ლექსით გამო-

თქმულია საიდუმლო და ფიცის მოთხოვნა, რომ ტარიელი უცხო ჭაბუკს არას დააკლებს. ეს სტროფი ასკვნის მთელს მათ საუბარს, მისი შედეგია და ამდენად მეტად მნიშვნელოვანია, ამასთან შეფარდებულია აგრეთვე ლექსის რიტმიც *cbcd*.

305. c ქალმან კვლა ჰკადრა: „გაგსაჯე მეტითა შეგონებითა,
b მაგრა თუ კაცი მოგვევარო, მოგყვეს თავისა ნებითა,
c იგი ვიახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა,
d ჰფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არ სავნებლისა ვნებითა.

ამასთან არის შეხამებული აგრეთვე ტარიელის პასუხის შემცველი, იმავე რიტმის ლექსით წარმოთქმული სტროფი:

306. უთხრა თუ: დო, არა ვარ სულ ცნობა დაკარგულია.

ამას მოსდევს ასმათის სრული გამომჟღავნება შაირის ლექსით და ამ ამბით გახარებული ტარიელის პასუხი აგრეთვე შაირით:

307. მოახსენა: „ვპოვე ვინჟე მიჯნურობით გამოჰკრილი...

308. ყმამან უთხრა: „თუ მაჩვენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ...

აი მიღის კიდევ ასმათი ავთანდილის საფართან და გამოჰყავს იგი, ტარიელს მოეწონება ავთანდილი, მოეგებება. მას, ისინი ერთიმეორეს შეხვდებიან. ეს ორი სტროფი გრძელი შაირისა. ერთი — ავთანდილის საფართიდან გამოსვლისა და მეორე — ტარიელთან შეხვედრისა, შესრულებულია c და d რიტმით. 309 *bccc* 310 *dddd*. რაიც მეტად რომ არ შეიძლება, ისე შეეფერება პოემის მნიშვნელოვან, საკვანძო ადგილს.

309. ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად.

310. გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად...

311 სტროფი შაირის ლექსისა გამოხატავს მათ შეხვედრას. ისინი ერთი მეორეს ეხვევიან და ჰკოცნიან, აქაც ლექსის შეცვლა სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერი.

311. მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დარიდეს.

312 სტროფში გადმოცემულია მათი ტირილი, მიტომაც ეს სტროფი გრძელი შაირის სწორად ამ განწყობილებისათვის შესაფერ რიტმიულობას შეიცავს. აქ *2d-სა* და *ab* შენაერთია მოცემული.

312. მობრუნდეს, ყმამან ავთანდრლს ხელი შეუპყრა ხელითა. *bcdad*
ტირილი შესწყდა, ეხლა ტარიელი ავთანდილის ვინაობას გამოკითხავს. თემის შეცვლასთან დაკავშირებით ლექსიც იცვლება, ასე რომ მომდევნო 313 სტროფი შაირის ლექსია.

313. ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული; ამ სტროფს მოსდევს ავთანდილის მოთხოვნა, იგი შეიცავს შვიდ სტროფს, აქედან პირველი სამი სტროფი გრძელი შაირისა; სადაც ლაპარაკია მის

ვინაობაზე თავის სატროფოზე, სიყვარულზე, ტარიელის ნახვისა და ლაშქართა დახოცვის შესახებ.

314. ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებია...

315. მე პატრონისა ჩემისა ასული შემეყვარებია.

316. შენ. მილორს განახეთ გაჭრილი, ჩვენ ზედა გარდგეიკიდნით.

მაგრამ, როცა სიტყვა ჩამოვარდება როსტევანის მოყმეთა დახოცვისა, მეფისა და ავთანდილის გამოდევნების შესახებ, შეიცვლება ლექსიც. ასე რომ მომდევნო 317 სტროფი უკვე შაირია, რადგან აქ შედარებით წინა სტროფებთან მეტი დინამიურობაა და, რაც მთავარია, ტარიელის თემაა:

317. ყველაკასა მათრახითა თავი უხმლოდ გარდაჰკვეთეთ.

როსტევანის მიერ ტარიელის უნაყოფო ძებნისა და თინათინის დავალებისათვის პოეტი ისევ სცვლის ლექსს და ავთანდილის თხრობის ეს ორი უკანასკნელი სტროფი ისევ გრძელი შაირითაა გამართული.

318. ჭმუნვა შეეჭმნა, — თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერია...

319. მიბრძანა: „მიცან ამბავი მის მზისა წარხდომილისა...

რიტმიულად ორი სტროფიდან პირველი 2c და 2a შენაერთია, ხოლო მეორე 2a და cb-სი.

უკანასკნელი სტროფი, ავთანდილის მოთხრობისა, შაირის ლექსადაა, რადგანაც აქ თემა შეცვლილია და იმ. თურქთა ნახვას შეეხება, რომლებმაც ავთანდილს ტარიელის ამბავი უთხრეს.

220. აქანაშლის მნახავიცა კაცი შენი არ მენახა.

ტარიელის პასუხი აგრეთვე შაირის ლექსით მოსდევს.

321. ტარიელსაც მოეგონა ომი მათი მაშინდელი.

322. რას მაქნევდით, რა გინდოდათ, ერთმანერთსა რითა ვგვანდით?

323. მოვიხედე, მომეწია რა პატრონი შენი, განახე....

აქ სრულდება ძველი ამბის მოგონება და გადასვლაც მოსალოდნელია, მართლაც შემდეგი ორი სტროფი გრძელი შაირისაა.

324. კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება...

325. აწ ვაშად მოხველ, მიამა ნახვა შენისა პირისა...

ამას ავთანდილის პასუხი მოჰყვება. ამ პასუხის სამი სტროფიდან ორი სტროფი გრძელი შაირითაა, ხოლო უკანასკნელი შაირის ლექსია:

326. ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთად ენისა...

327. მოვსულვარ, შენად შეყრამდის ვიყავ ამბისა მძებნელი...

328 სტროფში მიტომ არის შეცვლილი ლექსი, რადგანაც აქ ტარიელის ნახვით გამოწვეული სიხარულია ასახული.

328. ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა...

329 სტროფის ისევ გრძელი შაირით ტარიელის პასუხი იწყება, რომელშიაც ავთანდილისადმი თანაგრძნობაა გამოთქმული „მიჯნური, მიჯნურსა შეებრალების“, ხოლო მეორე 330 სტროფი შაირის ლექსითაა, თემის შეცვლასთან დაკავშირებით. — კარგი გიქნია, რომ აქ მოსულხარ, მაგრამ როგორ უნდა შევსლო ჩემი თავგადასავალის მოთხრობაო — უპასუხებს ტარიელი. აქ ასმათი ჩაერევა საუბარში და 331 სტროფი, ისევ შაირით, ასმათის ტარიელისადმი თხოვნას წარმოადგენს:

331. ვხედავ, ისევ ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების,
ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ჰქმნას, რა ღონე აეგების.

შემდეგი 332 სტროფი ისევ ასმათის სიტყვის გაგრძელებაა, მაგრამ გრძელი შაირით გამართული. ასე რომ ასმათის პასუხის შემცვლელი ორი სტროფიდან, პირველი შაირის ლექსია, ხოლო მეორე — გრძელი შაირისა, რადგანაც ამ უკანასკნელში უფრო ძლიერი განცდაა გადმოცემული.

ამავე განწყობილებით განაგრძობს ტარიელი, გრძელი შაირის 333 და 334 სტროფში ისევ თავის უკურნებელ სევდას დასტირის.

334. კაცმან ვით ჰპოვოს, ღმრთისაგან რაც არა დანაბადია.

მაგრამ 335 სტროფში უკვე იმედია გამოთქმული:

335. მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთი მზითა,
ორი მისი მოწყალეა დღესცა მომცა ამა გზითა...

და სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ განწყობილებასთან ერთად იცვლება თვით ლექსიც, რომელიც ამ შემთხვევაში შაირთა.

აქ დასრულდა მისი სიტყვა, შემდეგ თვით პოეტი აღწერს მის განცდას, ამის გამო იცვლება ლექსიც.

336. მას დღესა ღომი ტარიელ შეგებითა აიესებოდა.

ასე რომ, ამ ლექსს შეცვლა, თემის შეცვლით, ანუ გადასვლით არის გამოწვეული, ხოლო როცა პოეტი ტარიელს ალაპარაკებს, ისევ შაირს მიმართავს:

337. ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დაცა იდოს...“

338. ასმათს უთხრა: „მოდი, მოჯე, თანა წყალი შოიტანე...“

აგრეთვე შაირითაა გამართული 339 სტროფი და ამ თავის უკანასკნელიც — 340 სტროფიც.

339. ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარი ამოყარნა...

340. მოსთქვამს: „ჰაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო...“

ოთხივე ეს სტროფი ტარიელის მოთხრობისათვის შემზადებაა, ამით უნდა აიხსნას, რომ ოთხივე შაირის ლექსითაა დაწერილი.

ამნაირად, ზემოთმოყვანილი თავის ლექსთა ცვალებადობის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ რუსთველი გარკვეულ მხატვრულ მიზანთა შეფარდებით ამ თუ იმ განწყობილებისა და სურათისათვის მიმართავს შაირის ლექსის ამა თუ იმ სახეობას.

ასე რომ, ლექსთა ცვალებადობა დამრკიდებულია იმ კონკრეტულ მხატვრულ მიზნისაგან, რომელიც დასახული აქვს შემომქმედს.

ჩვენ შეგვიძლია ისიც გავარკვიოთ, თუ რა შემთხვევაში იქნება პოსალოდნელი ლექსის შეცვლა. ცხადია, რომ პოემაში ლექსის შეცვლის ორი გარემოება შეიძლება აღინიშნოს: ერთი—პოემის ამა თუ იმ ადგილის განწყობილებასთან შეთანხმებით, მეორე—გადასვლის შემთხვევაში, ე.ი. როდესაც თემა იცვლება, გარდა ამისა აღსანიშნავია კიდევ ერთი რაში: არის ისეთი შემთხვევაც, შედარებით მცირერიცხოვანი, როცა ძნელი ხდება ლექსის შენაცვლება ერთ ან მეორე შემთხვევას მიეკუთვნოს, როცა ლექსის შეცვლა გამოწვეულია მრავალფეროვანებისათვის. ასეთი შემთხვევა პოემაში მეტად მცირეა და ძირითადში მაინც, რამდენადაც შაირის გამოყენების კანონზომიერებაზეა ლაპარაკი, ისევ პირველი ორი კატეგორიის მიზეზი უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

ეხლა საჭიროა დავასკვნათ, რა შემთხვევაში მიმართავს პოეტი შაირს და რა შემთხვევაში გამოიყენებს გრძელ შაირს. პოემაში შაირი უმთავრესად გვხვდება, სადაც დინამიურობა და მოულოდნელობა არის ასახული, ხოლო გრძელი შაირი ისეთ შემთხვევაშია მოსალოდნელი, როცა სულიერი ღელვაა, ან მძიმე განწყობილების შემცველი სურათის გადმოცემა საჭირო.

შემოთმოყვანილი მაგალითებიდან ეს სჩანს. მაგრამ ამ დებულების კიდევ მეტი საფუძვლიანობისათვის ჩვენ მოვიყვანთ პოემიდან კიდევ ორ შემთხვევას, სადაც ერთი მეორის მიყოლებით მრავლად არის გამოყენებული შაირი და გრძელი შაირი.

შაირის მაგალითად ავიღებთ ტარიელისა და ხატაელების ბრძოლის სცენას. ხატაელების მეფეს რამაზს სურს მოატყუოს ტარიელი. მაგრამ ჯაშუშის პირით იგი გაიგებს ლალატის შესახებ და რამაზის ჯარის შესახებ დრად ემზადება.

485 სტროფიდან დაწყებული 495-მდე, გარდა ერთი სტროფისა, სულ შაირის ლექსითაა გამართული. აი ეს სტროფებიც:

485. შევთვალე თუ: „მეცა ვიცი, რაცა ჩემთვის გაგივია...

486. რა მივიდა მოციქული, კვლამცა რადლა გამოგზავნეს!

487. შუბი ვსთხოვე, ზელი ჩავყავ. მუწარადის დასარქმელად...

488. ახლოს მიველ, შემომხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა.

489. შიგან ასე გავერივე; ზნოლის ჯოგსა ვითა ქორი...

490. ერთობილნი მომეზვივნეს, მგრველივ შეიქმნა ომი დიდი.

491. საღამო უამს დაიხახა ქედით. მათმან დარაჯამან...

492. ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე არა... გ. შ.

493. იგი ნახეს, გასაქცევად გაემართნეს, შევეკვლენით.

ამნაირად ტარიელის მუქარისა და ბრძოლის სცენა, სულ რვა სტროფის სივრცეზე გაშლილი. შაირის ლექსითაა გამართული. მართლაც, ამ მეტად ინტენსიური მოქმედების შემცველი სცენა სწორედ მიტომ ახ-

დენს გავლენას მკითხველზე, რომ ყველა ამ სტროფების სივრცეზე დიქორეები ერთი მეორეზეა მიყოლებული, დაწყებული იქიდან, როდესაც ტარიელი ხატაელემ ბრძოლად იწვევს (485 სტროფი), მოციქულის მისვლა და კვამლის ავარდნა, ტარიელის შეჭრა მტრის ჯარში, მისი შეუდარებელი მედგრობა და გამირობა, დამალული ჯარის მოსვლა და მთელი მხედრობის შეპყრობა — ყველაფერს ეს გამართულია შაირის ლექსით. რადგან ასეთი ამბის გადმოცემას სწორედ ესოდენ მოძრავი რიტმი შეეფერება. რაიც ამ სახის ლექსს ახასიათებს.

მაგრამ ყველა სტროფი კი არ არის გამართული შაირის ლექსით, აქედან გამოჩნაკლისს შეადგენს 492 სტროფი, ეს სტროფი გრძელი შაირის ლექსადაა იმიტომ, რომ სულ სხვა ვითარებას შეიცავს. 492 სტროფში ლაპარაკია იმაზე, თუ საიდან აღმოჩნდა ეს ჯარი, რომელიც მოვიდა ტარიელის დასახმარებლად და, რადგანაც ეს სტროფი ჩართული არის ბრძოლის ამბის გადმოცემაში და ტარიელის განმარტებას წარმოადგენს, ამიტომაც პოეტს იგი გრძელი შაირით გაუმართავს. აი ეს სტროფიც.

492. ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანეს მე არა,
რა ეცნათ, წამოსულიყვნეს, ღამე წამორთვით ეარა,
ვერ დაიტევდა მინდორი, და არე მათათა ეარა;
გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლასა, ბუკმან ხმა გააზეარა.

რა თქმა უნდა, აქ არც მძიმე განცდა არის, თუმცა გრძელი შაირის ლექსია, მაგრამ ლექსის შეცვლა თემის ძირითადად შეცვლით არის გამოწვეული და მართლაც, ამ თვალსაზრისით მოყვანილი მაგალითი ამის შესანიშნავი ნიმუშია.

გრძელი შაირის გამოყენების სისტემის დასადასტურებლად მოვიყვანთ პოემის ერთ თავს. აი ეს მაგალითიც „წიგნი ნესტან დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი“ და აქედან მხოლოდ იმ სტროფებს გამოვყოფთ, რომელშიაც ნესტანის წერილია.

ნესტანის წერილი შესდგება 18 სტროფისაგან 1315 — 1372. აქედან 12 გრძელი შაირის ლექსია, ხოლო დანარჩენი ექვსი შაირისა. 1355 სტროფი წერილის დაწერის პირობების აღწერას შეიცავს. მტირალი ნესტანი სწერს წერილს:

1355. აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი, მტირალი.

1356 სტროფით იწყება თვითონ წერილი. ამ სტროფში ნესტანი თავის წერილის შესახებ ლაპარაკობს, რომ იგი ორივეს გულის გამოწაკენესია.

1356. „ჰე, ჩემო, ესე უსტარი, არს ჩემგან მონაღვაწები...

1357. ხედავცა, ჩემო, სოფელი, რათა საქმეთა მქმნელია!

1358 სტროფში ისევ სოფლისა და უამის გაუტანლობაზეა ლაპარაკი ამიტომ, რაკი 1557 და 1558 სტროფებში იგივე თემაა, ცხადია, რიტმის

ცვალებადობა არის საჭირო, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ეს მსგავსი თემა შაირის შეცვლის საშუალებით არის მხატვრულად გამართლებული.

1359 სტროფი გამოხატავს ნესტანის სიხარულს ტარიელის ამბის ცნობის გამო.

ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა შევაწონე.

1360 სტროფი ნესტანის თავგანწირვისა და მისი უბედობის გამოგლოვება, ამიტომ პოეტს კვლავ გრძელი შაირი გამოუყენებია.

შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად...

1361 სტროფი, აგრეთვე გრძელი შაირისა, ნესტანის თავგადასავლის მოთხრობას წარმოადგენს.

სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების;

შემდეგი სტროფი, სადაც ნესტანი ქაჯეთსა და ტყვეობაზე ლაპარაკობს, ისევ შაირის ლექსია, რადგანაც ახალი ვითარებაა განმარტებული.

1362. აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მიმისართა.

გრძელი შაირით მიდის ნესტანის საპყრობილის აღწერა.

1363. ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან.

1364. ნუთუ ესენი გეგონნეს სხვათა მებრძოლთა წესითა?!

1365. შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა.

ნესტანი სთხოვს ტარიელს — ნულა შეეცდებიო ჩემს ხსნას, რადგან ეს შეუძლებელი საქმეა და ტყუილ-უბრალოდ თავს ნუ დაილუპავო — ურჩევს. 1366 სტროფში ლექსი იცვლება, რადგან ნესტანის ერთგულობის ფიცის და თავგანწირვის გადმოცემისათვის პოეტს შაირი აურჩევია, რაკი აქ მართოდენ ბედის წერის წინაშე ჩივილი კი არაა, არამედ მტკიცე გადაწყვეტილებაც სჩანს.

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი...

1367 სტროფი ისევ განწყობილებისა და თემის ცვალებადობას აღნიშნავს, აქ ნესტანი საიმპევეყო ცხოვრების შესახებ ოცნებობს და ეს განცდები გრძელი შაირის ლექსითა გამოთქმული.

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა.

ხოლო როცა ეს ხაზი კიდევ უფრო ძლიერდება, ოცნებით მომავალი ნარადიული არსებობის შესახებ, რასაც იგი მზეში სახავს, რომელსაც იგი უნდა შეურთდეს და როცა ამის გამო ნესტანი სიკვდილს სრულიად შეურთავდება, ამ განცდის გადმოცემისათვის რუსთველი შაირის ლექსს გამოიყენებს.

1368. მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი.

1369. მე სიკვდილი აღარ მიმიძის, შემოგვედრებ რადგან სულსა...

1370 სტროფში ნესტანი სამქვეყნო ვითარებას უბრუნდება:

წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა...

შეიცვლება აგრეთვე ლექსის „ხმაც“, აქ უკვე გრძელი შაირის ლექსია. ისე რომ გრძელი შაირის ლექსითაა უმძაფრესი განცდით გამსჭვალული წერილის ორი უკანასკნელი სტროფი.

1371. c რაცა ვიჩივლე, ბედისა ჩემისა კმა საჩივარად,

c სცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.

c შენთვის მოკვდები, გავხდები ყორანთა დასაყვიარად,

c ვიდრე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატივიარად. *).

1372. d აჰა ინიშნე, ნიშანი შენეულისა რიდისა,

d გარდმიკვეთია ალაში, ჩემო, ერთისა კიდისა,

b ესელა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა,

c რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა!“

მართლაც და ამაზე უძლიერესი ადგილი მთელს პოემაში იშვიათად მოიპოვება და ამიტომაც ესენი სწორედ გრძელი შაირის ლექსით გამოუთქვამს. შეუდარებელ ხელოვანს.

როგორც სჩანს, ნესტანის წერილში უმთავრესი მნიშვნელობის ადგილის გამომხატველი სწორედ გრძელი შაირის ლექსებია და მიტომაც 18 სტროფში 12 ამ შაირზე არის გამოთქმული. რა თქმა უნდა, შაირის ლექსის გარეშე შეუძლებელი იყო ამ წერილის ასეთი სრულყოფილი სახით გამართვა, რადგანაც თვითეული შემთხვევა ლექსის შეცვლისა გამართლებულია, როგორც თემატიურად, ისე რიტმიულადაც. ხოლო ექვს გარეშეა, რომ ძირითადი ამ წერილში—მისი საფუძველი—გრძელი შაირის ლექსია.

მაგრამ როდია საკმარისი ამის აღნიშვნა. საჭიროა აგრეთვე მიეთითოს იმ უაღრესად მნიშვნელოვან ვითარებას, აქ მოცემული გრძელი შაირის რიტმის სქემა რომ გვისახავს.

a = 7 სტრიქონი

b = 11 — „ —

c = 19 — „ —

d = 8 — „ —

სქემების მიხედვით წარმოდგენილი ციფრების უბრალო თვალის გადავლევაც კი ააშკარავებს, რომ აქ სჭარბობს ისეთი რიტმები გრძელი შა-

*) აღსანიშნავია, რომ ამავე რითმით არის დაწერილი რუსთველის თანამედროვეის არსენ იყალთოელის დავით აღმაშენებლის ეპიტაფი, რითაც შეუდარებელის სიზუსტით დასტურდება ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება გრძელი შაირის რიტმების თავისებურობის შესახებ.

c ვინ ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩამესხნეს,

c თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს,

c თევზნი ამერთა წყალთან იმერთა წყალთა შთამესხნეს,

c აწე ამათსა მომქმედსა გულზედა ხელნი დამესხნეს.

ირისა, რომელიც ყველაზე უფრო შეეგუება ძლიერ ვნებათა ლელვის გადმოცემას, მაგალითად, $C = 19$ სტრიქონი, შედარებით შვიდ განწყობილებას რომ შეეხება. მხოლოდ $a = 7$ სტრიქონი, ხოლო კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ორი უკანასკნელი სტროფიდან პირველი სულ c -გან შესდგება, ხოლო შემდეგი $2(c$ და $c)$ შენაერთს წარმოადგენს.

გარდა ამისა ცხადია, რომ გარკვეული კანონზომიერებაა დაცული გრძელი შაირისა და შაირის ლექსის გამოყენების დროს. გრძელი შაირის რიტმების ანალიზით ამ კანონზომიერების შენიშვნა შესაძლებელი გახდა. თვით გრძელი შაირის ლექსების რიტმების სახეობათა მიმართ.

რუსთველის პოემისაგან მითჯანსხვადება სხვა შემდეგი დროის შაირებით დაწერილი თხზულებანი, რომ იქ არც შაირის შენაცვლების მხრივ და არც გრძელი შაირის რიტმების გამოყენების მხრივ გარკვეული კანონზომიერება დაცული არ არის. ამიტომაც შაირის ლექსით წერა როდინიშნავს ყველა იმ თავისებურებათა დაცვას, რაიც მხოლოდ და მხოლოდ რუსთველს ახასიათებს. სოუჟეტი ხომ შეუდარებელი ხელოვნებით და მხატვრობით არის გამართული. ამას თან ერთვის აგრეთვე პოემის რიტუიული მრავალფეროვანება არა მარტოდენ მრავალფეროვანებისათვის შექმნილი, არამედ შინაარსის თავისებურებასთან შეთანხმებით, პოემის სოუჟეტის დინამიკასთან და მდგომარეობის დრამატიზმთან დაკავშირებით.

სტროფის შემადგენელი სტრიქონების მთლიანობა, თვით სტროფის რიტმიული, იდეური, შინაარსობრივი მთლიანობა, კანონზომიერება გრძელი შაირისა და შაირის შენაცვლებისა, დაკავშირებით შინაარსის ცვალებადობასთან, გრძელი შაირის რიტმების შენაცვლება, ამავე მიზეზით გამოწვეული, უმდიდრესი რიფმა და ალიტერაცია — აი ის საშუალებანი, რომლითაც რუსთველი თავის პოემას სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებად ქმნის.

პასუხისმგებელი რედაქტორი ალექსანდრე ჭიუჭილი.
მდივანი — ალ. აბაშელი.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, უორესის ქ. 5.
მთავლიტი № 16759. შეკვ. № 826. ტირაჟი 5000.

1937 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად 18 მან.

ნახევარი წლით 9 „

ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

ბელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპერატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი. ს.